მადლობას მოვახსენებ მილი მეჯლისის წევრებს, აზერბაიჯანის უზენაეს საბჭოს ჩემს მიმართ გამოჩენილი ნდობისათვის და გარწმუნებთ, რომ ძალისხმევას არ დავიშურებ, შევეცდები ვზიდო ეს მძიმე ტვირთი და აღირსებულად შევასრულო ეს ამოცანა. მინდა აღვნიშნო, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დღევანდელ მძიმე, არეულ-დარეულ და დამაბულ სიტუაციას სრული პასუხისგებლობით აღვიქვამ. ამ თანამდებობის მიღებისას ჩემს პასუხისგებლობას ვხვდები და ამის გათვალისწინებით ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი ჩემს ძალაშია. მე აქ გრძელი მოხსენების გაკეთებას არ ვაპირებ, მაგრამ რამდენიმე სიტყვა აუცილებლად უნდა ვთქვა. როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ჩემს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიმაჩნია აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიული მიღწევის - აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაცვა, გამლიერება, განვითარება. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას 1918 წელს დაარსებული აზერბაიჯანის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ტრადიციებზე დაყრდნობით, თანამედროვე მოთხოვნილებების, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. მე მუდამ ვიმუშავებ ამ მიმართულებით და ეჭვი არავის შეეპაროს, რომ ჩემი სიცოცხლის დარჩენილ ნაწილს

მხოლოდ და მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ განვითარებას მივუძღვნი. ამასთან დაკავშირებით მინდა გაცნობოთ, რომ ჩემი აზრით, რაც არ უნდა მოხდეს, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ამის შემდეგ დამოუკიდებლობას აღარასოდეს დაკარგავს, არც ერთი სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღარ შევა, არც ერთი სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი აღარ გახდება. ვრცელდება გარკვეული ხმები, მოსაზრებები ყოფილი საბჭოთა კავშირის აღდგენის შესახებ, მის შემადგენლობაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაბრუნების ალბათობის თაობაზე. ეს უტოპიაა. მე ამ მოსაზრებებს ვუარყოფ და აზერბაიჯანის ყველა მოქალაქეს მოვუწოდებ ასევე უარყოფს ეს მოსაზრებები. რესპუბლიკის წინაშე დიდი და რთული ამოცანები დგას. დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად დასაბრუნებელია სომხეთის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაპყრობილი ტერიტორიები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერეტორიული მთლიანობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი, ომი უნდა დასრულდეს, მშვიდობა უნდა დამყარდეს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებმა მშვიდობისა და კეთილდღეობის პირობებში უნდა იცხოვრონ და თავიანთი ქვეყანა ისე ააშენონ, როგორც მათ სურთ. ამიტომაც ეს საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ამის შემდგომაც ეს საკითხები უზენაესი საბჭოს ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ამაში სრული პასუხისმგებლობით გარწმუნებთ.

გუშინ განცხადებული დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთისა და თურქეთის ინიციატივით, ომის ვითარებიდან ჩვენი თანდათანობით გამოსვლის პირველი ნაბიჯია. ალბათ, ამ სფეროში მომავალში უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რათა

აზერბაიჯანის რესპუბლიკა მთლიანად ფლობდეს თავის ტერეტორიებს და ჩვენი ხალხი საომარი მდგომარეობიდან გამოვიდეს.

მაშასადამე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობა ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. დამოუკიდებელ აზერბაიჯანში დემოკრატია უნდა განვითარდეს. ყველანაირად უნდა წახალისდეს პოლიტიკური პლურალიზმი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევა, კანონის დარღვევა დაუშვებელია. სახელმწიფოს აღმშენებლობა და საზოგადოების ფორმირება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებს. პოლიტიკაში და ეკონომიკაში უნდა დომინირებდნენ თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ადამიანის თავისუფლების, ადამიანის უფლებების დაცვის და თავისუფალი ეკონომიკის პრინციპები. ანუ ჩვენი რესპუბლიკა უნდა გააყვეს იმ გზას რომელსაც ერთი წლის წინ დაადგა. ეს სწორი, ჭეშმარიტი გზაა და ამ გზას ჩვენი რესპუბლიკა უფრო გაბედულად უნდა გააყვეს. დარწმუნებული იყავით, რომ პირადად მე მუდამ ამ გზის ერთგული ვიქნები.

ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ რთულ ვითარებაში ყოფნის მიზეზია ის მოვლენები, რომლებიც განვითარდა 4 ივნისს ქალაქ განჯაში. ეს სამინელი მოვლენები იყო, სისხლი დაიღვარა, ჩადენილია დანაშაული. ყველაფერი უნდა გამოძიებულ იქნას და ყველამ, ვინც კანონი დარღვევა, ვინც დანაშაული ჩაიდინა, რომელიც მზრიდნაეც არ უნდა იყვნენ ისინი, კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი. ამ საკითხებს შეისწავლის დეპუტატთა საგამომიებო კომისია. ჩვენ კი შექმნილი რთული სიტუაცია უახლოეს დროში უნდა მოვაგვაროთ. გუშინ პრეზიდენტ აბულფაზ ელჩიბეითან ვისაუბრეთ, მე განჯაშიც ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს იმ პირებთანაც,

ვინც მე მახლდა, და იმათთანაც ვინც საპირისპირო მხარეს წარმოადგენს. ამიტომაც ვვარაუდობ, რომ ყველა ჩვენი ძალისხმევა დაგვეხმარება ამ რთული სიტუაციიდან გამოვიდეთ, ხელს შეუწყობს ამ დაპირისპირების დასრულებას. მაგრამ მითქვამს, და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: იარაღის ხმარების მხარდამჭერი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავხდებით. ეს დაპირისპირება მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ურთიერთშეთანხმების გზით, მოლაპარაკებების გზით უნდა დარეგულირდეს. ვვარაუდობ რომ, ჩვენი ხალხის სიბრძნე, გავლენიანი ადამიანების, აზერბაიჯანის ინტელიგენციის, აზერბაიჯანის აქსაკალების ერთიანი ძალისხმევა და ჩვენი მოღვაწეობა უეჭველად მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე.

შევექმნით რა აზერბაიჯანში დემოკრატიულ, დამოუკიდებელ რესპუბლიკას, ვიბრძოლებთ რა ცივილიზებული საზოგადოებისთვის, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ საყოველთაო მსოფლიო ფასეულობებით. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ აზერბაიჯანმა, მიაღწევს დამოუკიდებლობას თავისი მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად, შეძლოს თავისი ისტორიული მიღწევები, თავისი ეროვნული ტრადიციები დაანახოს მთელ მსოფლიოს. ვფიქრობ, აზერბაიჯანელ ხალხს ამ თვალსაზრისით დიდი ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე პოტენციალი გააჩნია. ამ ყველაფრის ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში აზერბაიჯანი დამოუკიდებელი დემოკრატიული ქვეყანა იქნება და ჩვენი საზოგადოებაც დემოკრატიული გახდება, აგებული იქნება რა დემოკრატიულ, სამართლებრივ, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე. ამისათვის არსებობს ჩვენი მეცნიერება და ჩვენი კულტურა, ისტორიული ტრადიციები და ჩვენი რელიგიური მრწამსი - ისლამი - ყველაფერი ეს ერთად ქმნის დიდ საფუძველს. ჩვენი

ამოცანა მდგომარეობს ამ ყველაფრის ეფექტურად გამოყენებაში.

აზერბაიჯანში დამაბულობის მიზეზი მხოლოდ ყარაბაღის პრობლემასთან, ანუ აზერბაიჯანის მიმართ სომხეთის აგრესიასთან არ არის დაკავშირებული. აზერბაიჯანში განვითარდა მოვლენები. სამწუხაროა რომ, აზერბაიჯანში არსებული დამაბულობის ერთ-ერთი მიზეზია აზერბაიჯანში დიდი ხნის მანძილზე მცხოვრებ ერებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის გამწვავება. აზერბაიჯანი ათწლეულებით, ასწლეულებით აქ მცხოვრები ადამიანების სამშობლო იყო და შემდგომშიც ასე უნდა იყოს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერეტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქე, განურჩევლად მათი ეროვნებისა, რელიგიისა, პოლიტიკური კუთვნილებისა, თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს. თუ ჩვენ შევძლებთ ამ პრინციპებით ვიხელმძღვანელოთ და გავატაროთ ისინი ცხოვრებაში, მაშინ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა, ეროვნებათა გაერთიანებასაც შევძლებთ. ეს ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ვიმედოვნებ, რომ ამ ყველაფერს მივაღწევთ.

საგარეო პოლიტიკის სფეროში გასული ერთი წლის განმავლობაში ბევრი საქმე გაკეთდა. მაგრამ კიდევ უფრო ბევრია გასაკეთებელი. ვფიქრობ, აზერბაიჯანის რესპუბლიკამ როგორც დემოკრატიულმა სახელმწიფომ ყველა სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობა უნდა დაამყაროს. ნებისმიერი სახელმწიფოს შიდა სტრუქტურის, შიდა პოლიტიკის მიმართულებისგან დამოუკიდებლად, ჩვენ მასთან ნორმალური ურთიერთობა უნდა დავამყაროთ. პირველ რიგში, საჭიროა აკულტურული, ეკონომიკური, სახელმწიფო ურთიერთობები დამყარდეს ჩვენს უახლოეს მეზობლებთან. ამ თვალსაზრისით რესპუბლიკის

მოსახლეობა უდავოდ მხარს უჭერს ურთიერთობებს თურქეთის რესპუბლიკასთან. მეზობელ ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან ჩვენი ურთიერთობა გასაუმჯობესებელია და უნდა განვითარდეს. რუსეთი დიდი სახელმწიფოა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელია. უჭველია, რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა ამის მერე უკეთესი, უფრო ფართო და ნაყოფიერი უნდა გახდეს, უნდა ეყრდნობოდეს დამოუკიდებლობის პრინციპებს. ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ, ამჟამად დამოუკიდებელ ყველა სახელმწიფოებთან – უკრაინასთან, ბელარუსიასთან, საქართველოსთან, შუა აზიის ქვეყნებთან, ყაზახეთთან, პრიბალტიკის ქვეყნებთან, მოლდოვასთან - ჩვენ უფრო მჭიდრო ურთიერთობები უნდა დავამყაროთ. ეს ჩვენ ძალიან გვჭირდება, ვინაიდან ამ სახელმციფოებთან წლების, ასწლეულების მანძილზე ჩვენ ძალიან ახლო ეკონომიური, კულტურული, ადამიანური ურთიერთობები გვქონდა. ამ კავშირების გაწყვეტა არ შეიძლება, პირიქით, ისინი უნდა გაძლიერდეს. ეჭვი არ მეპარება, რომ სწორედ ასეთი პოლიტიკა დაეხმარება აზერბაიჯანის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირებასა და განვითარებაში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა უკვე მსოფლიო დონეზე გავიდა. ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ბოლო დროს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიმართ დადებითი განწყობა ყველას გვახარებს და ვფიქრობ, ეს ურთიერთობები უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს. უნდა გავაღრმავოთ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ინგლისთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან. ჩვენი ურთიერთობები მუსულმანურ ქვეყნებთან, არაბეთის ქვეყნებთან, თურქულენოვან ქვეყნებთან უფრო სწრაფად უნდა განვითარდეს. ერთი სიტყვით, მინდა გაგაცნოთ

ჩემი პოზიცია საგარეო პოლიტიკის სფეროში. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ამ მიმართულებით ვაპირებ მოღვაწეობას, ჩვენი პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოს, მთავრობის წარმატებულ საქმიანობაზე ვიზრუნებ.

მაგარამ ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია განჯაში მომხდარი მოვლენების და ამ მოვლენებით გამოწვეული დამაბულობის განმუხტვა. მილი მეჯლისის სხდომაზე, ამ ტრიბუნიდან მივმართავ აზერბაიჯანის ყველა მოქალაქეს, ჩვენს ძმებს, დებს, შვილებს და ვაცხადებ, რომ ჩვენი რესპუბლიკა ახლა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ყველაზე დიდი სირთულე ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაა, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის აღდგენაა. ამიტომ ყველა შიდა შუილი, შიდა დავა უნდა გადაიდოს. მე მივმართავ აზერბაიჯანის ხალხს, განჯის მოსახლეობას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დეპუტატს - სურეთ ჰუსეინოვს, მის თანამებრძოლებს და მოვუწოდებ მათ სიბრძნისკენ, ადამიანური ურთიერთობებისაკენ. ჩვენს რესპუბლიკას ახლა ეს უფრო სჭირდება და მათ უნდა იცოდნენ, მთელმა ხალხმაც უნდა იცოდეს, რომ ახლა ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ. აზერბაიჯანისთვის ამ საბედისწერო ჟამს ჩვენ დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ. ახლა ყველა ძალა უნდა გაერთიანდეს, ყველა პოლიტიკური პარტია, ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ყველა ადამიანი – ყველა უნდა გაერთიანდეს. ყველამ უნდა დაივიწყოს წყნა. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და აზერბაიჯანი ამ მძიმე სიტუაციიდან გამოვიყვანოთ. ვფიქრობ, განჯის მოსახლეობა, განჯის მიმდებარე რაიონებში მცხოვრები ადამიანები ჩემს ხმას გაიგებენ და მხარს დამიჭერენ. სურეთ ჰუსეინოვი შეისმენს ჩემს ხმას ,

ბრძნულად მოიქცევა და ჩვენ ამ უბედურებას თავს დავადწევთ. მე მოგიწოდებთ მოღვაწეობისთვის ამ მიმართულებით, გაერთანებისთვის. გთხოვთ, გადასდით წვრილმანი წყენა, ჭორები, მათი დროც მოვა. ვისაც ვინმესთან თუ რამე აქვს გასარკვევი, სხვა დროს გაარკვევს. ახლა ამისი დრო არ არის.

ამასთან დაკავშირებულ ერთ საკითხსაც მინდა შევეხო. ზოგიერთ წრეებში ჩემს შესახებ ლაპარაკობენ, რომ თუ ჰყვიდარ ალიევი ისევ რომელიმე თანამდებობას დაიკავებს აზერბაიჯანში, ის ვილაცაზე შურს იძიებს. ცუდად მოექცევა იმას, ვინც თავის დროზე მისი წინააღმდეგი იყო ან მასთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. სრული პასუხისგებლობით ვაცხადებ, რომ შურისძიების გრძნობა ჩემს ბუნებაში საერთოდ არ არის. ეს უბრალოდ ცალკეულმა ადამიანებმა ხელოვნურად შეთხზეს და ჩანს, რომ ამით მათ სურთ არა მხოლოდ ლაქა მომეზონ, არამედ ხელი შეუწყონ ჩვენს გათიშვას. გაბრძნობით, რომ არასოდეს არ გამიტაცებს შურისძიების გრძნობა. თუკი ვინმე, როდესმე არასწორედ მომეპყრო, რაღაც დააშავა, დამიჯერეთ რომ, მე მათ დიდი ხანია ვაპატიე. მე არასოდეს დავსულვარ ასეთი გრძნობების დონეზე და არასოდეს არ დავუშვებ ამას. არა იმიტომ, რომ ახლა თქვენ მენდეთ და ასეთ თანამდებობაზე მოვედი. არა. მე, როგორც უბრალო მოქალაქეს, არასოდეს არვისთან მტრობა, შურისძიება, ან ვინმესთვის ცუდის გაკეთება არ მდომებია და არც მოვიწოდებ. მაგრამ თანამდებობის ჩარჩოებში, უდავოდ, ყველა ვალდებულია მისდიოს დისციპლინას, ყველა კანონს უნდა დაემორჩილოს, ყველამ კანონის მოთხოვნა უნდა შეასრულოს, კანონის უზენაესობა უნდა უზრუნველყოს მე ამ გზაზე მე ჩემს პრინციპებს არ გადავუხვევ.

ვიმედოვნებ რომ, უზენაეს საბჭოსთან, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან აბულფაზ ელჩიბეისთან ერთად, ყველანი

ერთად შევძლებთ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას. ამასთან დაკავშირებით ყველას ერთიანობისაკენ მოგიწოდებთ.

გმადლობთ!



## აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის სიტყვა მორწმუნე თანამემამულეებთან შეხვედრაზე ჯუმას მეჩეთში საქართველოში - თბილისი, 1996 წლის 9 მარტი

ძვირფასო დებო და ძმებო! ძვირფასო მეგობრებო!

მე აქ ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფები როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მოპატიჟებით. აი, უკვე ორი დღეა, რაც ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით ვსარგებლობთ და ვიღებთ საჭირო ზომებს ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა შორის, ჩვენს რესპუბლიკებს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

მე აქ ჩამოვედი იმის შემდეგ, რაც მოვინახულე აზერბაიჯანის გამოჩენილი მოღვაწეების - მირზა ფათალი ახუნდოვის, მირზა შაფი ვაზეხის და ფათალი ხან ხოისკის საფლავები, დავესწარი ძეგლის გახსნას აზერბაიჯანის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ფათალი ხან ხოისკის საფლავზე.

ეს აზერბაიჯანელ მუსლიმანთა მეჩეთია, ალაჰის სახლია, წმინდა სახლი. მეჩეთის მონახულება, ალაჰის თაყვანისცემა, მისი მცნებებისადმი მორჩილება ყველა მუსლიმანი ადამიანის მოვალეობაა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ქართულ მიწაზე, ქალაქ თბილისში არსებობს ადგილი, სადაც აზერბაიჯანელებს შეუძლიათ თაყვანი სცენ ალაჰს, აქვთ თავიანთი მეჩეთი. ყოველი აზერბაიჯანელი, ყოველი მუსლიმანი მოდის ამ მეჩეთში, რათა თაყვანი სცეს ალაჰს, ილოცოს, შეასრულოს მუსლიმანის მოვალეობა. ეს დიდი ღირებულებაა. ამავე დროს ეს იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენ თბილად არის

განწყობილი ქართველი ხალხი აზერბაიჯანელი ხალხის, ყველა სხვა ხალხის მიმართ. ეს მოწმობს ქართველი ხალხის პატივისცემას სხვა რელიგიების მიმართ. მე ამას ძალიან დიდ შეფასებას ვაძლევ.

თქვენ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, საქართველოს მოქალაქენი ხართ. თქვენ მოღვაწეობთ და შემდგომშიც იმოღვაწეებთ საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში. კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნავ, რომ მას შემდეგ, რაც ჩემი მეგობარი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს მეთაური გახდა, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მდგომარეობა გაუმჯობესდა, მათ მართლაც ყველა უფლება მიენიჭათ და ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ. ერთ-ერთი ასეთი უფლებაა სინდისის, რწმენის თავისუფლება. დღეს ჩვენთან აზერბაიჯანშიც და საქართველოშიც კონსტიტუციით დამტკიცებულია ადამიანის ყველა უფლება, მათ შორის რწმენისა და სინდისის თავისუფლებაც.

აქ, ქართულ მიწაზე, თქვენ, აზერბაიჯანელმა მუსლიმანებმა დღემდე შეინარჩუნეთ თქვენი რელიგია და დღეს უფრო ფართო შესაძლებლობა გეძლევათ თქვენი რელიგიის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. ეს დემოკრატიისა და თავისუფლების გავლენის ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენს. ამიტომ, აზერბაიჯანელი ხალხის სახელით მადლიერებას გამოვხატავ ქართველი ხალხისა და მისი პრეზიდენტის მიმართ.

კვლავ ვიმეორებ, თქვენ საქართველოს მოქალაქენი ხართ. საქართველოს ყველა წესი და კანონი თქვენი წესი და კანონიც არის. თქვენი მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში. თქვენი მოქალაქეობრივი ვალია ძალისხმევა არ დაიშუროთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის და



დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, მონაწილეობა მიიღოთ ყველა ღონისძიებაში, რომელიც ტარდება საქართველოში, ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად, თანადგომა გაუწიოთ მას.

მე მოხარული ვარ, რომ თქვენ აქ თავისუფლად და დამოუკიდებლად ცხოვრობთ, შეგიძლიათ ისარგებლოთ თქვენი უფლებებით და თავისუფლებებით. ამავე დროს მინდა გამოვთქვა რწმენა იმისა, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს მომავალშიც მიეცემათ ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, ისინი იშრომებენ და მონაწილეობას მიიღებენ აღმშენებლობით საქმიანობაში როგორც საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები და ძალისხმევას არ დაიშურებენ საქართველოს რესპუბლიკის, სახელმწიფოს გასაძლიერებლად.

ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრულ, ძმურ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს ურთიერთობა ურღვევია, და ჩვენ ამ დღეებში ვცდილობდით და მომავალშიც ვეცდებით განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრული კავშირები.

წარმატებას გისურვებთ თქვენს საქმიანობაში. გულში ვიხუტებ, ვკოცნი საქართველოში მცხოვრებ ყოველ აზერბაიჯანელს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ ყველა თქვენგანს. საქართველოს რესპუბლიკას, ქართულ სახელმწიფოს დასახული მიზნების წარმატებით განხორციელებას ვუსურვებ. გმადლობთ.

ჩემი ამ მეჩეთში ყოფნის აღსანიშნავად, გადმოგცემთ წმინდა წიგნს, ყურანს აზერბაიჯანულ ენაზე, რათა მოგეცეთ შესაძლებლობა მშობლიურ ენაზე წაიკითხოთ იგი. ჩემგან საჩუქრის სახით თქვენი მეჩეთისთვის მიიღეთ ხალიჩა და შეინახეთ სამახსოვროდ.

გმადლობთ.

## აზერბაიჯანში საქართველოს კულტურის დღეების ჩარჩოებში ჩატარდა ორი ქვეყნის ხელოვნების ოსტატთა გალა-კონცერტი 1996 წლის 22 მაისი

აზერბაიჯანში საქართველოს კულტურის დღეების ჩარჩოებში 1996 წლის 22 მაისს „რესპუბლიკის“ სასახლეში ჩატარდა ორი ქვეყნის ხელოვნების ოსტატთა გალა-კონცერტი.

კონცერტს ესწრებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰიდარ ალიევი.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრებმა.

შემდეგ „რესპუბლიკის“ სასახლის სცენაზე გამოვიდნენ მომხმე რესპუბლიკების საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივები და შემსრულებლები. წარმატებით ჩატარებული კონცერტის დასასრულს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი შეხვდა მონაწილეებს და მიულოცა მათ ბრწყინვალე კონცერტის ჩატარება.

**აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის  
გამოსვლა საქართველოს და აზერბაიჯანის  
ხელოვნების ოსტატთა კონცერტზე, რომელიც  
გაიმართა აზერბაიჯანში საქართველოს  
კულტურის დღეების დასრულებასთან  
დაკავშირებით  
"რესპუბლიკის სასახლე", 1996 წლის, 22 მაისი**

გულწრფელად მივესალმები ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეებში მონაწილეობისათვის ჩამოსულ ჩვენ ქართველ მეგობრებს.

მიუხედავად ყველა სიმძნელისა, ხელოვნება მუდამ ცოცხლობს. ხალხი ხელოვნებასთან – სიმღერებთან, მუსიკასთან, ცეკვასთან კავშირში ცხოვრობს. დღესაც ასეა, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანშიც და საქართველოშიც მდგომარეობა მარტივი არ არის. ხალხი მომავალშიც ხელოვნებასთან კავშირში იქნება.

ხელოვნება ყოველთვის აახლოვებდა, აერთიანებდა ხალხებს. დღესაც ასეა, როდესაც საქართველო და აზერბაიჯანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ფორმირების, სრულიად ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის რთულ პერიოდში იმყოფებიან როდესაც ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები მრავალ დანაკარგს განიცდიან, ამ ყველაფრის მიუხედავად, ხელოვნება გვაახლოვებს და გვაერთიანებს.

მე მიხარია, რომ დღეს კვლავ თავს იჩენს ჩვენი ძველი ტრადიციები და ადათ-წესები. ჩვენ კიდევ ერთხელ გულწრფელად და მეგობრულად ვეგებებით მოძმე ქართველი ხალხის ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს.

მე მთელი გულით მოგესალმებით და მშვენიერ წარმოდგენას გილოცავთ. ქართული ხელოვნება

აზერბაიჯანში ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა. თქვენი ხელოვნება, კულტურა ძალიან ახლობელი და ძვირფასია ჩვენთვის. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ გავეცანით მას, შევხვდით ქართული სიმღერების და ცეკვების შემსრულებლებს, კიდევ ერთხელ მოვიხიბლეთ მათ მიერ საკუთარი ხალხის ხელოვნების წარმოდგენის ოსტატობით.

მთელი გულით მოგესალმებით, მიხარია, რომ ჩვენთან სტუმრობთ. წარსულში ჩვენ ყოველთვის გულწრფელი შეხვდრები გვქონდა, შესვენებებიც იყო, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ ეხლა ჩვენი მშვენიერი ტრადიციები აღვადგინეთ. საქართველოში, თბილისში ჩატარდა აზერბაიჯანის კულტურის დღეები, ახლა კი, აზერბაიჯანში, ბაქოში ქართული კულტურის დღეები ტარდება.

ცოტა ხნის წინ აქ, ჩვენთან იმყოფებოდა ჩემი მეგობარი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. სულ ახლახანს კი, მარტში, პრეზიდენტ შევარდნაძის მოწვევით მე გავემზავრე საქართველოში, თბილისში. ჩვენს შორის ძალიან საინტერესო საუბარი, აზრთა ურთიერთგაცვლა, ურთიერთხელსაყრელი მოლაპარაკებები გაიმართა. ჩვენ ბევრ მნიშვნელოვან დოკუმენტს მოვაწარეთ ხელი. ამიერიდან, საფუძველი ჩეყარა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მარადიულ მეგობრობას.

თქვენ, ხელოვნების მოღვაწეები ყველას ეხმარებით, მართლაც აახლოვებთ ჩვენს ხალხებს და ქმნით პირობებს ჩვენი მეგობრობის განსამტკიცებლად, თანაშემრომლობისათვის, რათა შევძლოთ ხელიხელჩაკიდებულად გავიაროთ როგორც ქართველი, ასევე აზერბაიჯანელი ხალხებისათვის ისტორიის ეს ურთულესი პერიოდი.

დღეს, ამ კონცერტში, საქართველოს და აზერბაიჯანის ხელოვნების მოღვაწეები მონაწილეობდნენ, ისინი ერთი

კოლექტივით წარდგენენ. იმის გარჩევაც კი რთული იყო, თუ ვინ გამოდიოდა და საქართველოს, და ვინ აზერბაიჯანის სახელით. ყველანი ჩინებულად გამოხვედით. ტაშს მთელი გულით გიკრავდით, იმის თქმაც კი გამიჭირდება, ვის მეტი ტაში შეხვდა, ვის ნაკლები. ყოველ შემთხვევაში, ტაშის დაკვრით ხელები მტკივა.

დღეს აქ ქართული და აზერბაიჯანული სიმღერები გაჟღერდა. ქართველებმა აზერბაიჯანული სიმღერები, აზერბაიჯანელებმა ქართული სიმღერები შესრულეს. ეს აბსოლუტურად ნორმალური, ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მართალია, ერთ დროს ამ ყველაფრისაგან ძალიან შორს ვიყავით, მაგრამ ჩვენ მეგობრობას მიჩვეულნი ვართ, რადგან ეს მეგობრობა წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ, მათ ჩაუყარეს მყარი საფუძველი ჩვენი ხალხების მეგობრობას, ჩვენ კი ამ მეგობრობას ვავითარებთ და ვაძლიერებთ.

კიდევ ვიმეორებ. თქვენ, ხელოვნების ოსტატები ამ მიმართულებით დიდ, ამ თვალსაზრისით კეთილშობილურ საქმეს აკეთებთ. თქვენი სახით, ქართველ ხალხს, საქართველოს, ქალაქ თბილისს, მეგობარ ედუარდ შევარდნაძეს, ყველა ჩემს დას და მძას, საქართველოს ყოველ მოქალაქეს მხურვალე სალამს ვუძღვნი. გულწრფელად ვუსურვებ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, წარმატებას ახალი ცხოვრების შექმნაში, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს შენებაში.

თქვენ ყველანი კარგად გამოხვედით, კარგად გამოიყურებოდით, ყველანი ლამაზები, მშვენიერები ხართ. ვფიქრობ, დარბაზის რეაქცია ამის ნათელი დადასტურებაა. ყველას გკოცნით, გეხვევით, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, ბედნიერებას გისურვებთ.

## გაიმართა ვარნა-ფოთი-ბათუმი-ილიჩევსკის საბორნე გადასასვლელის გახსნის საზეიმო ცერემონია 1999 წლის 17 აპრილი

ვარნა-ფოთი-ბათუმი-ილიჩევსკის საბორნე გადასასვლელის გახსნის საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად 1999 წლის 17 აპრილს ფოთის პორტში ჩავიდნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა.

სამი სახელმწიფოს მეთაურებმა გაჭრეს წითელი ლენტე, რომელიც სიმბოლიურად საბორნე გადასასვლელის გახსნას ნიშნავდა. შემდეგ გაიმართა მიტინგი. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ტრანსპორტის მინისტრმა.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, მიესალმა რა საპატიო სტუმრებს, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ტრანსკავს პროგრამას და ევროპა-აზიის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის რეალიზაციას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1996 წლის დეკემბერში ოდესაში აზერბაიჯანის, უკრაინის და საქართველოს მთავრობებს შორის „თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე“ ხელმოწერის დროს. სწორედ ამიტომ ნიშანდობლივია ამ სახელმწიფოთა პრეზიდენტების მონაწილეობა გახსნის ცერემონიაში. მათი ყველა მცდელობა ამ ისტორიული პროექტის განვითარებისთვის მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ახალი ობიექტი მნიშვნელოვანი როლის როლს შესრულებს შავი ზღვის ქვეყნებს - უკრაინას, საქართველოსა და ბულგარეთს შორის სატვირთო მიმოსვლის სისტემაში და აგრეთვე

უზრუნველყოფს აზერბაიჯანისა და კასპისპირა ქვეყნების საიმედო სატრანსპორტო კავშირს ევროპასთან.

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის  
ჰვიდარ ალიევის სიტყვა ვარნა– ფოთი--ბათუმი–  
ილიჩოვსკი ბორანის გახსნაზე ფოთის პორტი,  
1999 წლის 17 აპრილი**

თქვენო უდიდებულესობავ, საქართველოს პრეზიდენტო, პატივცემულო ედუარდ შევარდნაძე!

თქვენო უდიდებულესობავ, უკრაინის პრეზიდენტო, პატივცემულო ლეონიდი კუჩმა!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო, მეგობრებო!

ყველას გულითადად გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას - ფოთი-ილიჩოვსკი-ვარნას საბორნე გადასასვლელის გახსნას.

ფოთი-ილიჩოვსკის საბორნე გადასასვლელი ტრანსკავკასიური დერეფნის მნიშვნელოვანი ელემენტი და შემადგენელი ნაწილია. დღეს ტრასეკას გეგმები და ამ გეგმების რეალიზაციასთან დაკავშირებული ჩვენი მიზნები რეალობა ხდება. ცენტრალური აზიის ევროპასთან და ევროპის ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელი ტრანსკასპიური სატრანსპორტო დერეფანის გამოყენებასთან დაკავშირებით რამდენიმე წლის წინ ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს, უზბეკეთს, თურქმენეთს და აზერბაიჯანს შორის. ამ შეთანხმებას შემდეგ მაგისტრალის ტრასაზე მყოფი სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ.

ჩვენს ქვეყნებში განხორციელდა კიდევ მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ კავკასიაში ტრასეკას პროგრამის „დასავლეთი-

აღმოსავლეთი“ განხორციელებას. გასული წლის სექტემბერში ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ტრასეკას პროგრამასთან, ისტორიული აბრეშუმის დიდი გზის აღდგენასთან დაკავშირებით. დღეს ჩვენ მობილიზებულნი ვართ იმისათვის, რომ ტრასეკას პროგრამა განხორციელდეს, ისტორიული აბრეშუმის გზა აღდგეს, რადგან ეს დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ჩვენ ქვეყნებს. და ამასთან დაკავშირებით საბორნე გადასასვლელის შექმნა ფოთი-ილიჩოვსკის უბანზე, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთების წარმატებით გადაზიდვას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ უკრაინის, შავი ზღვის, საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, უზბეკეთის და სხვა ტერიტორიების გავლით - ეს ჩვენი გეგმების, აბრეშუმის დიდი გზის აღდგენის პროგრამის მეტად მნიშვნელოვანი რგოლია.

ამას აზერბაიჯანში ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ყველაფერს ვაკეთებთ ტრანსკასპიური დერეფნის ნაყოფიერი განვითარების ხელშესაწყობად და მომავალშიც ძალისხმევას არ დავიშურებთ ამ სატრანსპორტო დერეფნის შესაძლებლობების გასაფართოებლად, დასავლეთიდან აღმოსავლეთში და აღმოსავლეთიდან დასავლეთში ტვირთების უფრო აქტიური გადაზიდვის უზრუნველსაყოფად.

მოხარული ვარ, რომ დღეს ამ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მომეცა. ვულოცავ საქართველოს პრეზიდენტს, პატივცემულ ედუარდ შევარდნაძეს, უკრაინის პრეზიდენტს, პატივცემულ ლეონიდ კუჩმას, ევროკავშირის ქვეყნების და აქ მყოფ ყველა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობენ აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნის რეალიზაციაში. ყველას

გისურვებთ აყვავებას, წარმატებას, ახალ-ახალ მიღწევებს ამ დიადი პროგრამის განხორციელებაში.

მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მონაწილეობდა ფოთი-ილიჩოვსკის საბორნე გადასასვლელის პროგრამის რეალიზაციაში. პატივცემულო მეგობრებო, გისურვებთ მიღწევებს და ახალ წარმატებებს.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

## შედგა ბაქო-სუფსის საექსპორტო ნავთობსადენის და სუფსის სახმელეთო ტერმინალის გახსნა 1999 წლის 17 აპრილი

წარმატებით დასრულდა მშენებლობა ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა, რომელიც 1994 წლის სექტემბერში აზერბაიჯანის მთავრობასა და უცხოურ სანავთობო კომპანიებს შორის ხელმოწერილი „საუკუნის კონტრაქტის“ განსახორციელებლად მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. ნავთობსადენის სიგრძე შეადგენს 830 კილომეტრს, პროექტის სიმძლავრე - 5,1 მილიონი ტონა, მაქსიმალური სადღეღამისო გამტარუნარიანობა - 115 ათასი ბარელი. სუფსაში აგებულია ოთხი ტერმინალი. თითოეულის მოცულობაა 250 ათასი ბარელი.

17 აპრილს სუფსაში შედგა ბაქო-სუფსის საექსპორტო ნავთობსადენისა და დასავლეთის მიმართულებით კასპიის პირველადი ნავთობის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი სუფსის სახმელეთო ტერმინალის გახსნის ოფიციალური საზეიმო ცერემონია.

ამ ჭეშმარიტად ისტორიულ მოვლენაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმაძემ. ეს მოვლენა წარმოადგენს ახალ მნიშვნელოვან ეტაპს აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში, რომელიც ახდენს მათი დამოუკიდებლობის გაფართოების დემონსტრაციას მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გზით. ზეიმის მრავალრიცხოვანი მონაწილეები მქუხარე ტაშით შეხვდნენ სამი მეგობრული სახელმწიფოს მეთაურებს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მან განაცხადა, რომ

ეს დღე მისი ქვეყნის უახლესი ისტორიის დასაწყისია. იმიტომ, რომ ამ დღეს ტანკერები გაივსება აზერბაიჯანელი ხალხის შრომითი გენის მიერ მოპოვებული ნავთობით. მან აღნიშნა, რომ საქართველო ბაქო-სუფსის პროექტს აფასებს არა მარტო ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისით, თუმცა ეს პროექტი ნიშნავს ათასობით სამუშაო ადგილს და მრავალი მილიონი დოლარის ინვესტიციას. ამ პროექტის მნიშვნელობა უფრო დიდია როგორც მისი განხორციელებისას აღმოცენებული ფართო რეგიონალური კოოპერაციის და თანამშრომლობის ნათელი მაგალითი. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრა ჰეიდარ ალიევის სიბრძნემ, გამბედაობამ და სიმამაცემ.

### აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის მოხსენება სუფსაში, ბაქო- სუფსის ნავთობსადენის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე, 17 აპრილი 1999 წელი

თქვენო აღმატებულეზავ, პატივცემულო საქართველოს  
პრეზიდენტო, ედუარდ შევარდნაძე!

თქვენო აღმატებულეზავ, პატივცემულო უკრაინის  
პრეზიდენტო, ლეონიდ კუჩმა!

ქალბატონებო და ბატონებო, მეგობრებო და  
სტუმრებო!

გულითადად მოგესალმებით და ამ სასიამოვნო  
შეხვედრასთან დაკავშირებით უდიდეს სიხარულს  
გამოვხატავ. გულითადად მივესალმები ქართველ ხალხს,  
საქართველოს ყველა მოქალაქეს და ვუსურვებ  
მშვიდობას, კეთილდღეობას და აყვავებას.

დღეს ჩვენ ერთ-ერთი ისტორიული მოვლენის მოწმენი  
ვართ. დასრულდა ბაქო-სუფსას ნავთობსადენის აგების  
უაღრესად შრომატევადი სამუშაო და დღეს საზეიმოდ  
აღვნიშნავთ მსოფლიო ბაზარზე აზერბაიჯანული,  
კასპიის ზღვის ნავთობით დატვირთული პირველი  
ტანკერის გამგზავრებას.

საუკუნის დასაწყისში გაყვანილ იქნა ნავთობსადენი  
ბაქო-ბათუმი. ეს იყო პირველი ნავთობსადენი ევროპაში.  
ახლა მე-20 21-ე საუკუნეების გასაყარზე გავიყვანეთ  
ნავთობსადენი ბაქო-სუფსა, რომელიც აზერბაიჯანის  
ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტირებას  
უზრუნველყოფს. ეს შესაძლებელი გახდა საქართველოს,  
აზერბაიჯანის და აზერბაიჯანის საერთაშორისო  
საოპერაციო კომპანიაში შემავალ ნავთობკომპანიათა  
ერთობლივი ძალისხმევით. ეს არის ლოგიკური შედეგი  
ჩვენი მცდელობისა, რომელიც დაიწყო 1995, 1996, 1997  
წლებში. ეს არის პრაქტიკული განხორციელება  
"საუკუნის კონტრაქტისა", რომელსაც ხელი მოეწერა  
აზერბაიჯანში 1994 წლის 20 სექტემბერს აზერბაიჯანის  
სახელმწიფო ნავთობკომპანია და მსოფლიოს 9 ქვეყნის  
წარმომადგენელ 11 მსხვილ ნავთობკომპანიას შორის.  
1994 წლის 20 სექტემბერს დადებული "საუკუნის  
კონტრაქტი" წარმოადგენს დამოუკიდებელი  
აზერბაიჯანის ნავთობის ახალი სტრატეგიისა და  
დოქტრინის დასაწყისს.

აზერბაიჯანი ნავთობისა და გაზის უძველესი ქვეყანაა.  
50 წლის წინ აზერბაიჯანმა მსოფლიო პრაქტიკაში  
პირველად დაიწყო ზღვის სიღრმიდან ნავთობის ამოღება  
სამრეწველო გზით. 1949 წლის ნოემბერში კასპიის  
ზღვაში "ნეფდამლარის" (ნავთობის ქვები) მიდამოებში  
ნავთობის ძლიერმა შადრევანმა ამოხეთქა, რამაც  
მსოფლიოს ნავთობის მოპოვების ახალი ერის დასაწყისი  
აუწყა.



ჩვენს დროში აზერბაიჯანი ითვლება კასპიის ზღვიდან ნახშირწყალბადოვანი ნედლეულის ამოღების ინიციატორად, რა თქმა უნდა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ნავთობკომპანიების მონაწილეობით. 1994 წელს დადებულმა "საუკუნის კონტრაქტმა" დაუდო დასაბამი ნავთობის ამ დოქტრინის განხორციელებას. ეს არ იყო ადვილი. ხელშეკრულების ხელმოწერისა და განხორციელების პერიოდში დიდ სიძნელებებს გაუძეველით, დიდი წინამძღვრობების გადალახვა მოგვიხდა.

ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგაც დიდ სიძნელებებს, ტრაგიკულ შემთხვევებსაც კი გადავაწყდით. იცოდეთ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ აზერბაიჯანში ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწეების წინამძღვრ ტერორისტული აქტები განხორციელდა. რამდენიმე დღის შემდეგ აზერბაიჯანში შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, რაც ზოგიერთ ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და შიდა რეაქციული ძალების მიერ იყო მომზადებული.

მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. რამდენიმე თვის შემდეგ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა განმეორდა. შემდეგ იყო ტერორისტული აქტების მცდელობათა მთელი სერია. ყველაფერი ეს უკავშირდებოდა იმას, რომ დამოუკიდებელმა აზერბაიჯანმა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო. აზერბაიჯანი თავისი ბუნებრივი რესურსების, ნავთობისა და გაზის სიმდიდრის გამოყენებას თავად შეუდგა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს განხორციელებინა დასავლეთის ნავთობკომპანიებთან ერთად და ამით საფუძველი ჩაუყარა აზერბაიჯანში და მთლიანად კასპიის ზღვის აუზის მდიდარობში უცხოური ინვესტიციის მოზიდვას.

ჩვენ გადავლახეთ ყველა სიძნელე. "საუკუნის კონტრაქტი" ხორციელდება. 1997 წლის ნოემბერში "ჩირაგის" საბადოდან ამოვიღეთ პირველი ნავთობი და დავიწყეთ მისი ტრანსპორტირება ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენით. ეს ნავთობსადენი რუსეთის ფედერაციასა და აზერბაიჯანს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად სპეციალურად ამისათვის იყო გაყვანილი.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის მიმართულებას ვგეგმავდით, აუცილებლად მივიჩნიეთ დასავლეთის მიმართულების ალტერნატიული ნავთობსადენის არსებობა. მინდა აღვნიშნო, რომ ამას ზოგიერთ წრეებში, ზოგიერთ ქვეყნებში დიდი უკმაყოფილებით, პროტესტით შეხვდნენ. მაგრამ ჩვენსას მივაღწიეთ, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტირება დავიწყეთ და მილსადენის მაქსიმალური სისწრაფით პრაქტიკული აშენებისათვის საქმის ორგანიზებას შევუდევით.

დღეს დიდ სიხარულს განვიცდი, რადგან ნავთობის ამოღებისა და ექსპორტირებისათვის შემუშავებული დიდი პროგრამის განხორციელება შევძელით ოთხ წელზე ცოტა მეტ დროში.

ბუნებრივია, ყოველივე ეს ერთობლივი ძალისხმევით მოხდა. მოვაწერეთ რა ხელი პირველ ხელშეკრულებას 1994 წელს, ამ საქმეს მსოფლიოს მრავალ კომპანიასთან ერთად ვაგრძელებთ. მსოფლიოს ნავთობკომპანიათა ეს მხარდაჭერა, მათი დიდი ინტერესი ბუნებრივი რესურსებისადმი, კასპიის ზღვაში არსებული ნახშირწყალბადოვანი ნედლეულისადმი, რომელიც აზერბაიჯანის კუთვნილ სექტორში მდებარეობს, ეს



უცხოური ინვესტიციები ამ გეგმის წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფენ.

1994 წლის სექტემბრის შემდეგ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ ხელი მოაწერა კიდევ 15 დიდ კონტრაქტს, რომლებიც ითვალისწინებენ კასპიის ზღვის აზერბაიჯანის კუთვნილ სექტორში და ხმელეთზე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ნავთობისა და გაზის საბადოების ერთობლივ ათვისებას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობას იღებს მსოფლიოს 14 ქვეყნის წარმომადგენელი 32 მსხვილი ნავთობკომპანია ეს არის ჩვენი უდიდესი საქმე კასპიის ზღვის ბუნებრივი რესურსების გადამუშავებისათვის ინვესტიციის მოზიდვის სფეროში. ამ ინიციატივის გამოჩენით ჩვენ სტიმული მივეცით ნავთობისა და გაზის მოპოვების საქმეს კასპიის ზღვის სხვა სექტორებშიც. დიდი სამუშაო მიმდინარეობს ყაზახეთის, თურქმენეთის, რუსეთისა და ირანის სექტორებშიც. ჩვენ ყოველივე ამას მივესალმებით, რადგან კასპიის ზღვაში ნავთობისა და გაზის ძალზე დიდი მარაგია, რომელიც საკმარისია ყველა კასპიისპირა ქვეყნისათვის. ყოველ ქვეყანას კასპიის ზღვაში თავისი სექტორი გააჩნია და იგი ამ სექტორში მდებარე ბუნებრივი რესურსების პატრონია. აზერბაიჯანი თავისი სექტორის საზღვრებში მოქმედებს. აზერბაიჯანის სექტორში ნავთობისა და გაზის დიდი რესურსები არსებობს.

მტრულად განწყობილმა ზოგიერთმა წრეებმა, რომლებმაც ხელი ვერ შეუშალეს ნავთობის ჩვენი სტრატეგიის განხორციელებას, დაიწყეს სხვადასხვა აზრების, ჭორების გამოგონება და გავრცელება, აქაოდა აზერბაიჯანს მსოფლიო გაერთიანებისათვის ცრუ ინფორმაცია მიუწოდებია, ვითომდა კასპიის ზღვაში არ არსებობს ნავთობის ისეთი მარაგი, რამდენსაც ვარაუდობდნენ და ვითომ ზოგიერთი ნავთობკომპანია

კასპიის ზღვისა და, კერძოდ, აზერბაიჯანის სექტორისადმი ინტერესს კარგავს. ეს ტყუილია, მონაჭორია!

ბუნებრივია, რომ ეს უსაფუძვლო ინფორმაცია საზოგადოებრივ აზრს ვერ შეცვლის. იმისათვის, რომ ამ საკითხს ნათელი მოვფინო, საჭიროა აღვნიშნო, რომ ხელმოწერილი 16 ხელშეკრულების განხორციელებისათვის აზერბაიჯანში დაახლოებით 50 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა ჩაიდოს. ამ საკონტრაქტო ტერიტორიაზე ნავთობის მოცულობა 4 მილიარდი ტონიდან 10 მილიარდ ტონამდეა განსაზღვრული. მაგრამ ეს მხოლოდ პირველადი მონაცემებია. სხვათაშორის, ჩვენთან კასპიის ზღვაში და ხმელეთზე ამთვისებელთა მოლოდინში ნავთობის მრავალი საბადაა. ახლო მომავალში ამერიკის ნავთობკომპანიებთან მსხვილი ხელშეკრულების დადებას ვაპირებთ. აი ეს არის პასუხი იმ ჭორებზე, რომლებსაც ავრცელებენ ზოგიერთი ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები.

ამრიგად, 1994 წელს დაწყებული სამუშაოები თავის პრაქტიკულ შედეგებს უკვე იძლევა. ამისი ბრწყინვალე მაგალითია ბაქო-სუფსას ნავთობსადენი, აქ აშენებული მშვენიერი ტერმინალი, შესანიშნავი პირობები წარმატებული მუშაობისათვის და ნავთობის უწყვეტი ამოქაჩვისათვის, მისი მსოფლიო ბაზარზე გადაზიდვისათვის.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენი წარმოადგენს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ბრწყინვალე ნიმუშს. ჩვენი ხალხები ყოველთვის წარმატებით და ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა ჩვენი დიდი

სიმდიდრეა. ჩვენ ამ მეგობრობას ვიცავთ, ახალ პირობებში ვანვითარებთ და ვაფართოვებთ.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის მრავალი მაგალითი არსებობს, მაგრამ ბაქო-სუფსის ნავთობსადენი დღევანდელ პირობებში ამ თანამშრომლობის მწვერვალია.

ამავე დროს ჩვენს თანამშრომლობას დიდი პერსპექტივები გააჩნია. გასული წლის ოქტომბრის თვეში ანკარაში ხელი მოვაწერეთ დეკლარაციას ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ. სულ ახლახანს, რამდენიმე დღის წინ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული კვლევების ცენტრმა სტამბულში ბაქო-თბილისი-ჯეიხანის პროექტის განხილვა მოაწყო. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დღევანდელი თათბირის მონაწილეებმა ბატონმა მორნიგსტარმა და ბატონმა კალიტსკიმ, თურქეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა. იქ ხელი მოეწერა პროტოკოლს თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც ითვალისწინებდა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენის მშენებლობის განხორციელებისთვის კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას. დადგინდა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიხანის პროექტის განხორციელების მორიგ ეტაპზე გადასვლისთვის საჭიროა სამი თვის ვადაში შესწავლილ იქნეს ყველა ტექნიკური და ფინანსური საკითხი.

მეორე მნიშვნელოვანი პროექტი ითვალისწინებს თურქმენეთის გაზის ტრანსპორტირებას თურქეთში აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით. შეთანხმებას თურქეთსა და თურქმენეთს შორის ამის შესახებ ხელი მოეწერა გასული წლის ოქტომბრის თვეში და ახლა ხორციელდება ამ პროექტის რეალიზაცია. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში საქართველოსა და აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.

ერთი სიტყვით, წინ დიდი საქმეები გველის. ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენი, თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის გაზსადენი - ეს უდიდესი პროექტებია, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს თანამშრომლობას, და განსაკუთრებით საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობას.

მინდა აღვნიშნო, რომ ყოველივე ამაში მეგობრების მხარდაჭერასა და კეთილმოსურნეობას ვხვდებით. ამ მეგობრებს შორისაა უკრაინა და მისი პრეზიდენტი, დიდად პატივცემული ლეონიდ დანილის ძე კუჩმა.

აზერბაიჯანის და საქართველოს თანამშრომლობა უკრაინასთან, ამ საქმეში პრეზიდენტ ლეონიდ დანილის ძე კუჩმას აქტიური მხარდაჭერა მეტად დიდ როლს ასრულებს. ჩვენი ძალისხმევის შედეგად კასპიის ზღვა და შავი ზღვა ეკონომიკური თვალსაზრისით ერთმანეთს დაუკავშირდნენ. უკრაინა და საქართველო შავ ზღვაზე, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, რუსეთი და სხვა კასპიისპირა ქვეყნები ჩვენი რეგიონის დიდი პროექტების განხორციელებისათვის ერთმანეთს კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ.

მთელი ეს სამუშაო, მოცემულ შემთხვევაში კი ბაქო-სუფსის ნავთობსადენი კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი შენატანია. ჩვენ ძალიან გვჭირდება მშვიდობა. ჩვენ მშვიდობიანი კავკასია და სტაბილურობა გვჭირდება. ბოლო უნდა მოვუღოთ შეიარაღებულ კონფლიქტებს, საჭიროა დავამყაროთ კარგი და კეთილი ურთიერთობები კავკასიის ქვეყნებსა და ჩვენი რეგიონის მოსაზღვრე ქვეყნებს შორის. ამ თვალსაზრისით ბაქო-სუფსის ნავთობსადენი წარმოადგენს ჩვენს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორს.

ყოველივე ამაზე საუბრისას, უსამართლობა იქნებოდა არ აღმენიშნა იმ მრავალი ქვეყნის მხარდაჭერა,

რომლებიც დაინტერესებულნი არიან კასპიის ზღვაში არსებული ნახშირწყალბადოვანი რესურსებით, განსაკუთრებით ეს ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩვენ ვაფასებთ იმ მხარდაჭერას, რომელიც მივიღეთ 1994 წელს "საუკუნის კონტრაქტის" ხელმოწერის დროს. ჩვენ ვაფასებთ იმ მხარდაჭერას, რომელიც მივიღეთ "ბაქო-სუფსის" დასავლეთის მარშრუტის მშენებლობის საკითხის გადაწყვეტისას. ჩვენ ვაფასებთ იმ მხარდაჭერას, რომელსაც ვიღებთ ახლა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენის მშენებლობის დროს. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის დიდი ძალისხმევით წყალობით რეალობად იქცა თურქმენეთ-თურქეთის ტრანსკასპიის გაზსადენის პროექტი. დიდ სიხარულს ვგრძნობთ იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ამ საზეიმო ცერემონიალთან დაკავშირებით მოლოცვა გამოგიგზავნა. მიმაჩნია, რომ ყოველივე ამან კარგი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს, აზერბაიჯანისა და უკრაინის თანამშრომლობას დასავლეთის, ევროპის, ევროკავშირის ქვეყნებთან და ამერიკის შეერთებული შტატებთან. ჩვენ ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და შემდგომში ყველა ზომას მივიღებთ, რათა მომავალში ეს თანამშრომლობა უფრო წარმატებული გახდეს.

ძვირფასო მეგობრებო, გულითადად ვულოცავ საქართველოს პრეზიდენტს, ჩემს მეგობარს ედუარდ შევარდნაძეს, მთელ ქართველ ხალხს, აქ შეკრებილ ყველა მეგობარს ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. ძვირფასო მეგობრებო! გისურვებთ ბედნიერებას, კეთილდღეობას და ახალ წარმატებებს.

აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიას ვულოცავ იმ ფრიად კარგ შედეგებს, რომელსაც მან მიაღწია "საუკუნის კონტრაქტის" განხორციელებისას, ბაქო-ნოვოროსისისკის, ბაქო-სუფსის ნავთობსადენების

მშენებლობისას. მოკლე ვადაში შესრულებულია უდიდესი სამუშაო. მინდა აღვნიშნო, რომ ის ძალები, რომლებიც ჩვენი გეგმების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, მაშინ ამბობდნენ, რომ ეს პროექტი არარეალურია, განუხორციელებელია. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში შესრულდება ხუთი წელი კონტრაქტის დადების დღიდან, მაგრამ შეხედეთ, რა დიდი სამუშაოა შესრულებული და როგორი დიდი საძირკველია ჩადებული იმისათვის, რომ ეს სამუშაოები კვლავაც გაგრძელდეს. დიდი მადლობა აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის კონსორსიუმში შემავალ ყველა კომპანიას და ამ კომპანიათა ხელმძღვანელებს.

გულითადად მივესალმები ლეონიდ დანილის ძე კუჩმას აქ, საქართველოში და ამავე დროს აზერბაიჯანში - ეს ფაქტიურად ერთი და იგივეა. საქართველოში ყოფნა აზერბაიჯანში ყოფნასაც ნიშნავს. მივესალმები მას და მოხარული ვარ, რომ მან დიდი ყურადღება გამოიჩინა ამ მოვლენისადმი. მოხარული ვარ, რომ უკრაინას თავისი გეგმები გააჩნია კასპიის ზღვის რესურსების ათვისების საქმეში. მიმაჩნია, რომ ოდესა-ბოროდის და იქიდან კი პოლონეთისაკენ გასაყვანი ნავთობსადენი რეალობას წარმოადგენს და ჩვენ ეს რეალობა მხედველობაში უნდა მივიღოთ და ვიმუშაოთ მისი ხორცშესხმისათვის. ამიტომაც უკრაინის პრეზიდენტის, პატივცემული ლეონიდ კუჩმას მონაწილეობა აქ სავსებით კანონზომიერია და ამავე დროს ყოველი ჩვენთაგანისათვის მეტად სასიხარულო მოვლენაა.

ყველას გულითადად გილოცავთ და მჯერა, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენი იგოცხლებს და იმუშავებს მთელი 21-ე საუკუნის განმავლობაში.

დიდი მადლობა ყურადღებისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და კეთილდღეობას.

## აზერბაიჯანის ქართულ სათვისტომოს ბაქო, 1999 წლის 19 ივნისი

ძვირფასო თანამემამულენო!

გულითადად მივესალმები თქვენს თავყრილობას, რომელიც ტარდება აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების ეროვნულ-კულტურული ორგანიზაციის დაარსების მიზნით. გისურვებთ წარმატებებს ქართული სათვისტომოს თქვენ მიერ დაარსებული ორგანიზაციის მომავალ საქმიანობაში.

აზერბაიჯანელები და ქართველები წარმოადგენენ კავკასიის ხალხთა შორის ერთ-ერთ ყველაზე უძველესს ერებს. მათ ყოველთვის აკავშირებდა გულწრფელი მეგობრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა. ჩვენი ხალხები ათასწლეულების განმავლობაში, ცხოვრობდნენ რა ერთ გეოგრაფიულ სივრცეში, მუდამ ერთმანეთის ჭირსა და ღიზს იზიარებდნენ. მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა სამხრეთი კავკასიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომლებიც ჩვენი ხალხების ურყევი მეგობრობისა და თანამშრომლობის მოწმენი არიან. ყოველი ჩვენთაგანის წმინდა ვალია, განვაფიქროთ და მომავალ თაობებს გადავცეთ ჩვენი შორსმჭვრეტელი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეს სახელოვანი ტრადიციები.

გლობალური პოლიტიკური მოვლენებით მდიდარი მეოცე საუკუნის ბოლოს აზერბაიჯანმა და საქართველომ კვლავ მიიღეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თავისუფალი და სუვერენული რესპუბლიკა, – ეს ჩვენი ხალხების ისტორიული უფლებებია, – ატარებს დამოუკიდებელ შიდა და საგარეო პოლიტიკას, ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენი ხალხების ინტერესებს საერთაშორისო არენაზე. მეტად საპასუხისმგებლო

ისტორიულ ეტაპზე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობა და აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები აქტიურად მონაწილეობენ რა იმ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომლის მოქალაქეებიც არიან, ღირსეულად ასრულებენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში.

დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, რომელიც მტკიცედ მიიწევს წინ სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზით, ყველა მოქალაქის, მათ შორის ეროვნული უმცირესობების, უფლებები და თავისუფლება უზრუნველყოფილია საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, მათი ენის, აღმსარებლობისა და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად. რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველებიც სარგებლობენ ადამიანის უფლებებით, რომლებიც განმტკიცებულია კონსტიტუციით. და, ამდენად, აზერბაიჯანის აბსოლუტურ და თანასწორუფლებიან მოქალაქეებს წარმოადგენენ.

ამჟამად აზერბაიჯანისა და საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, ყოველმხრივ თანამშრომლობენ რა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში, სტრატეგიული პარტნიორობის დემონსტრირება მოახდინეს ჩვენი ქვეყნების ბედნიერი მომავლისთვის. ამ საქმეში, უეჭველად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახალხო დიპლომატია, ადამიანებსა და ხალხებს შორის თბილი და მეზობლური ურთიერთობა. მინდა გამოვხატო რწმენა, რომ აზერბაიჯანის ქართული სათვისტომო და თქვენ მიერ დაარსებული ნაციონალურ-კულტურული ორგანიზაცია ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენი

ხალხების და სახელმწიფოების უფრო მეტად დაახლოების, ღრმა ისტორიული ფესვების მქონე კავშირების განმტკიცების საქმეში.

ძვირფასო თანამემამულენო!

ყველა თქვენთაგანს ვუსურვებ ბედნიერებას და კეთილდღეობას, წარმატებებს საკეთილდღეო საქმიანობაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის, აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ურყევი მეგობრობისათვის.

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი

## შედეგა „შახდენიზის“ საზადოდან ბაქო-თბილისი-ერზერუმის მარშრუტით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონია 2001 წლის 29 სექტემბერი

2001 წლის 29 სექტემბერს ბაქოში პრეზიდენტის სასახლეში შედეგა „შახდენიზის“ საზადოზე მოპოვებული ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონია.

შეთანხმებას აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის მეშვეობით ბუნებრივი აირის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის შესახებ აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიაზე და მის გარეთ საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწერა საქართველოს საერთაშორისო სანავთობო კორპორაციის პრეზიდენტმა, ხოლო აზერბაიჯანის მთავრობის სახელით - სათბობისა და ენერჯეტიკის მინისტრმა.

შემდეგ ამავე დოკუმენტს - შეთანხმებას აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით ბუნებრივი აირის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის შესახებ ამ ქვეყნების ტერიტორიებზე და მათ ფარგლებს გარეთ - ხელი მოაწერეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა.

ხელმოწერის ცერემონიაზე განცხადებებით გამოვიდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ჰიდარ ალიევი და საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დიდ შეფასებას აძლევს ამ შეთანხმების ხელმოწერას. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჰიდარ ალიევი გააკეთა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა მომხდარიყო ამ პროექტისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის რეალიზაცია, საქართველოს სასარგებლოდ კი მიიღო გადაწყვეტილება. თუ ქვეყანა, რომელიც შენი მეზობელია და დაკავშირებულია შენს სამშობლოსთან ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული კავშირებით, იგი ცხოვრობს და უზრუნველყოფილია ნავთობითა და გაზით, ესე იგი ეს საიმედო მეზობელია და ამით უზრუნველყოფილია აზერბაიჯანის უსაფრთხოება. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: „ჩვენ ბედნიერი ხალხი ვართ. არა იმიტომ, რომ მდიდრულად ვცხოვრობთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს მომავალი. ვინაიდან ჩვენ გვაქვს დიდი რეზერვები. ამიტომ ჩვენს შორის, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, არსებობს განსაკუთრებული ურთიერთობები. თანამედროვე ენაზე ამ ურთიერთობებს სტრატეგიული ურთიერთობები ეწოდება. ეს ურთიერთობები შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ძმურ ურთიერთობებად და ეს მართლაც ასეა“.

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის  
ჰიდარ ალიევის განცხადება აზერბაიჯანის  
რესპუბლიკასა და საქართველოს შორის  
„შაჰდენიზის“ საბადოდან ბაქო-თბილისი-  
ერზერუმის მარშრუტით ბუნებრივი გაზის  
ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების  
ხელმოწერასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე  
2001 წლის 29 სექტემბერი**

პატივცემულო პრეზიდენტო, ბატონო ედუარდ შევარდნაძე!

პატივცემულო სტუმრებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

ჩვენ ხელი მოვაწერეთ დოკუმენტებს, რომლებმაც შეაჯამეს საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ბატონი ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანში. დღეს ნაყოფიერი შეხვედრა ჩავატარეთ. შედგა საქართველოს პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან. შედგა შეხვედრები და მოლაპარაკებები საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციებს შორის. ყველა ეს შეხვედრა მიმდინარეობდა მეგობრობის, ურთიერთგაგების სულისკვეთებით, ძმურ ატმოსფეროში. ამ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ.

დოკუმენტი სამრეთ-კავკასიური გაზსადენის ანუ აზერბაიჯანის გაზის ტრანსპორტირების შესახებ „შაჰდენიზის“ საბადოდან თურქეთში საქართველოს გავლით, ანუ ბაქო-თბილისი-ერზერუმში გაზსადენის შესახებ, წარმოადგენს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილის ნავთობის სტრატეგიისა, ნავთობის დოქტრინისა, რომელიც 1994 წლიდან ხორციელდება აზერბაიჯანის მიერ საქართველოსთან და თურქეთთან



ერთად. ბუნებრივია, აზერბაიჯანის ნავთობის ამ სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს „საუკუნის კონტრაქტი“, რომელიც დაიდო 1994 წლის სექტემბერის თვეში აზერბაიჯანის ნავთობკომპანიასა და ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ნორვეგიის, რუსეთის და სხვა ქვეყნების უმსხვილეს ნავთობკომპანიებს შორის.

პირველი კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ ჩვენი ამოცანა, რასაკვირველია, მდგომარეობდა მის რეალიზაციაში. მაგრამ რეალიზაციის დროს ჩვენ უნდა გვეფიქრა უცხოური კომპანიებისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ერთობლივი ძალებით მოპოვებული ნავთობის ექსპორტირებაზე მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ ვიხილავდით ნავთობის ექსპორტირების სხვადასხვა ვარიანტებს. და დღეს, მას შემდეგ, რაც დრო გავიდა, მიმაჩნია, რომ სწორი გზა ავირჩიეთ. დღეს უკვე რეალობაა ბაქო-ნოვოროსისკის მილსადენი - ნავთობის ტრანსპორტირების ეგრეთ წოდებული ჩრდილოეთი მარშრუტი, და ბაქო-სუფსის ნავთობსადენი - დასავლეთის მარშრუტი. და, რასაკვირველია, მომავალში უნდა ჩაგვეტარებინა დიდი სამუშაო ჩვენი ძირითადი ჩანაფიქრის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის რეალიზაციისთვის.

ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა. ეს ამოცანები უკვე შევასრულეთ და თანაც წარმატებით. 1997 წელს აზერბაიჯანში დაიწყო ნავთობის მოპოვება აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ერთობლივი ძალებით, ნოემბერში ჩვენ ეს აღვნიშნეთ როგორც დიდი მოვლენა. ამაში ჩვენს სხვა მეგობრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჩვენმა მეგობარმა, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. აგებულია

ნავთობსადენი „ბაქო-სუფსა“. ამ ნავთობსადენის საზეიმო გახსნა მოხდა 1999 წლის აპრილში. და დღეს კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში მდებარე „ჩირაგის“ საბადოდან უკვე ამოღებულია დაახლოებით 16 მილიონი ტონა ნავთობი. აქედან 14 მილიონ ტონაზე მეტი საექსპორტოდ გავიდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენით.

მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ ვიხილავდით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის რეალიზაციის პროგრამის საკითხს და შევძელით ეს. 1988 წელს ხელი მოვაწერეთ ანკარას დეკლარაციას, ხოლო შემდეგ, 1999 წელს, სტამბულში - საბოლოო შეთანხმებას ამ საკითხზე. შემდეგ დაგვიკრიდა შეთანხმების მიღწევა აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის და აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. ესეც შესრულდა. ამჟამად ხორციელდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის რეალიზაცია.

მაგრამ ჩვენ უფრო შორს მივდივართ. კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში „მაჰდენიზის“ მიდამოებში გაცხენით გაზის უდიდესი საბადო. წინასწარი მონაცემებით მისი მარაგი შეადგენს გაზის 1 ტრილიონ კუბურ მეტრს. და, ბუნებრივია, ისევე დადგა საკითხი გაზის ექსპორტირების შესახებ. მაგრამ ჩვენი ადრინდელი ხაზი კვლავ გრძელდება. ჩვენ გადავწყვიტეთ გაზის ექსპორტირება მოვახდინოთ თურქეთში საქართველოს გავლით. ამ საკითხზე საკმაოდ დიდი ხანია ვმუშაობთ და დღეს ეს სამუშაო დავასრულეთ. ანუ ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს გაზსადენის პირობების შესახებ. 12 მარტს ანკარაში ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას თურქეთის მთვრობასა და აზერბაიჯანს შორის თურქეთში გაზის მიწოდების შესახებ საქართველოს გავლით.



ამის შემდეგ ჩვენ გავაგრძელებთ სამუშაო საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. უნდა აღვნიშნო, რომ სამუშაო მეტად რთული იყო. მაგრამ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები ჩემი აზრით მტკიცედ და ღირსეულად შრომობდნენ ამ შეთანხმების მოსამზადებლად. შეთანხმება მზადაა და დღეს ჩვენ მას ხელი მოვაწერეთ.

თამამად შემძლია ვთქვა, რომ ეს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნებისათვის, მთლიანად სამხრეთი კავკასიისათვის. იგი მნიშვნელოვანია ევროპული რეგიონისთვისაც. მნიშვნელობა აქვს დასავლეთის ქვეყნებთან ჩვენი ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისითაც.

ახლა, პრეს-კონფერენციაზე, აუცილებელი არ არის შევჩერდეთ დეტალებზე. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანის ნავთობის სტრატეგია წარმატებით ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზაზე მრავალ სირთულეს, წინააღმდეგობას წააწყდით, ხელი უკვე მოეწერა სამ დიდ შეთანხმებას თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის და ხდება ჩვენი პროგრამის ნაწილის რეალიზაცია.

უდავოა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიც წარმატებით და დადგენილ ვადებში იქნება აგებული და ნავთობი და გაზი კასპის ზღვიდან, აზერბაიჯანიდან დაიწყებს დინებას საქართველოს გავლით თურქეთში და უფრო შორს. ბუნებრივია, რომ საქართველოსაც აქვს უფლება ისარგებლოს ამ უძვირფასესი რესურსებით.

გილოცავთ, ედუარდ ამბროსის ძევ, ვულოცავ ჩვენს სტუმრებს, აზერბაიჯანის ყველა მოქალაქეს ვულოცავ ამ

მნიშვნელოვანი ისტორიული ნაბიჯის გადადგმას და ჩვენ მიერ მიღწეულ წარმატებებს. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც გაბედულად ვივლით წინ და მივაღწევთ ახალ წარმატებებს. ამ პროგრამებს აქვთ უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნებისათვის. ამასთანავე მათ აქვთ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. და ეს მდგომარეობს იმაში, რომ, ჯერ ერთი, მიდის მჭიდრო ინტეგრაცია სამხრეთ კავკასიას, ევროპასა და დასავლეთს შორის, და მეორეც, ეს ნავთობ- და გაზსადენები წარმოადგენენ უსაფრთხოების, სტაბილურობის და მშვიდობის არსებით გარანტიას ჩვენს რეგიონში.

ჩვენ ყველაფერ ამას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და ვიმედოვნებთ, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები იმ ყველაფრისა, რასაც ვაკეთებთ, უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნების ეკონომიკის განმტკიცებას, უზრუნველყოფენ სტაბილურობას, უსაფრთხოებას, მშვიდობას ჩვენს რეგიონში და სულ უფრო მეტად დაგვაახლოებენ ევროპულ საზოგადოებასთან, მსოფლიო, მოწინავე, დემოკრატიულ საზოგადოებასთან.

მოხარული ვარ, რომ საქართველოს პრეზიდენტის, ჩემი მეგობრის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი ამჟერადაც, ისევე როგორც მისი ყველა წინა ვიზიტი, აღინიშნება ასეთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებით. ვფიქრობ, რომ ყოველ ჯერზე ჩვენ ვდებთ ახალ მყარ აგურს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარების შენობის განმტკიცების საქმეში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ დღეს ხელმოწერილი შეთანხმების წარმატებულ რეალიზაციას.

## აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის მოხსენება "სამი ზღვის ლეგენდის" სახელწოდების კონფერენციის გახსნის ცერემონიაზე 2002 წლის 25 ივნისი, სტამბული

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე!  
პატივცემულო კონფერენციის მონაწილეონ!  
გულითადად მოგესალმებით და კონფერენციის  
მუშაობაში წამატებებს გისურვებთ.

დღევანდელ განსახილველ საკითხს ხანგრძლივი  
ისტორია გააჩნია. კონფერენცია "სამი ზღვის ლეგენდა" -  
კასპიის ზღვის - შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის -  
კონფერენცია უკვე ხუთი წელია ტარდება. რატომ არ  
ტარდებოდა ის ადრე? იმიტომ, რომ ჯერ ერთი ძალიან  
ცოტა ინფორმაცია იყო იმის შესახებ, რომ ჩვენი  
საქმიანობა შეიძლებოდა, ასეთ მჭიდრო  
ურთიერთკავშირში ყოფილიყო, თანაც ცოტა ვინმეს თუ  
სჯეროდა ამისა. ამას მე აზერბაიჯანის საქებრად არ  
ვამბობ. მას მერე, რაც პირველად დაისვა საკითხი  
აზერბაიჯანში, კასპიის ზღვაზე გაზისა და ნავთობის  
უმდიდრესი საბადოების არსებობისა და მათი ათვისების  
შესახებ, მას მერე, რაც 1994 წელს ხელი მოეწერა  
კონტრაქტს, რომელსაც "საუკუნის კონტრაქტი" ეწოდება,  
მთელ მსოფლიოში დაიწყო კასპიის ზღვასთან  
დაკავშირებული საკითხების განხილვა. იმიტომ, რომ  
ადრე მსოფლიოში ბევრმა არ იცოდა კასპიის ზღვაში  
გაზისა და ნავთობის ასეთი მდიდარი საბადოების  
არსებობის შესახებ.

ჩვენ კი აზერბაიჯანში ვიცოდით ეს. იმიტომ, რომ  
აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა, გეოლოგებმა ჯერ კიდევ  
50-60 წლის წინ დაიწყეს ნავთობისა და გაზის მოპოვება

კასპიის ზღვის სიღრმეებიდან. 150 წლის წინ სწორედ  
აზერბაიჯანში მსოფლიოში პირველად დაიწყო  
ნავთობის მოპოვება სამრეწველო მეთოდით. და 50 წლის  
წინ სწორედ აზერბაიჯანში მსოფლიოში პირველად  
დაიწყეს ნავთობის მოპოვება ზღვის სიღრმიდან. ჩვენ-  
აზერბაიჯანში ვიცოდით ამის შესახებ და ვმუშაობდით  
ამაზე.

მაგრამ აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი  
დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მას მერე, რაც ის  
თვითონ გახდა თავისი ბუნებრივი სიმდიდრის ბატონ-  
პატრონი, ჩვენმა რესპუბლიკამ დაიწყო დიდი ნაბიჯების  
გადადგმა ამ რესურსების ფართო და ეფექტიური  
გამოყენების გზაზე. პირველი ნაბიჯი რომელმაც  
საფუძველი ჩაუყარა ამ საქმეს იყო 1994 წლის  
სექტემბერში ბაქოში ხელმოწერილი კონტრაქტი  
აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიასა და  
მსოფლიოს 11 მსხვილ ნავთობკომპანიას შორის,  
რომელსაც "საუკუნის კონტრაქტი" ეწოდა და რომელიც  
ეხებოდა კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში  
მდებარე საბადოების აზერი-ჩირაგი-გუნეშლის  
ერთობლივ ათვისებას.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ იმ დროს, როცა ჩვენ  
ხელშეკრულებას ხელს ვაწერდით, მსოფლიოში არ იყო  
საკმარისი ინფორმაცია კასპიის ზღვის შესახებ. დღეს კი  
ცნობილია, რომ კასპიის ზღვა თავისი  
ნახშირწყალბადოვანი რესურსების მოცულობით სულ  
ცოტა ჩრდილოეთის ზღვას შეიძლება შევადაროთ.

და თუ ჩრდილოეთის ზღვის რესურსების დარჩენილი  
მარაგი, რომლის მოცულობაც შესაძლებელია 22  
მილიარდ ტონას შეადგენს, მარტო კასპიის ზღვის აზერი,  
ჩირაგი, გუნეშლის საბადოების დამტკიცებული მარაგი,  
რომლის მოცულობაც შესაძლებელია დაახლოებით 730  
მილიონ ტონას უდრის. საუბარია მხოლოდ ამ

საბადოებზე, აზერბაიჯანში კი მსოფლიოს სხვადასხვა კომპანიებთან 20-მდე ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ბუნებრივია, ისინი თანაბარი მასშტაბისანი არ არიან და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ თუკი მათ რესურსებს შევაჯამებთ, დავრწმუნდებით, თუ რაოდენ ფართო შესაძლებლობები არსებობს კასპიის ზღვის მხოლოდ აზერბაიჯანის კუთვნილ სექტორში.

დღეს ცნობილი გახდა, რომ კასპიის ზღვის ყაზახეთის სექტორშიც ნავთობისა და გაზის უზარმაზარი საბადოები არსებობს. დიდი საბადოები რუსეთის სექტორშიც და სხვა სექტორებშიც არსებობს. ასე რომ 1994 წლიდან დაწყებული ჩვენ კასპიის ზღვას პროპაგანდას ვუწევთ. იგი ცნობილი გახდა. თუკი მიწის სიღრმიდან ნავთობისა და გაზის დიდი რაოდენობები ამოღება შეიძლება. ე.ი. აუცილებელია მისი ექსპორტირება, გაყიდვა. ამისთვისაც იძებნება გზები. მაშინ პირველად აღიძრა საკითხი კასპიის ზღვიდან სხვადასხვა ნავთობსადენების გაყვანის შესახებ.

ამჟამად უკვე ცნობილია, რომ ჩვენ 1997 წელს კასპიის ზღვიდან შავ ზღვაზე ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენი გავიყვანეთ. ე.ი. ჩვენ კასპიის ზღვა შევაერთეთ შავ ზღვასთან. 2 წლის შემდეგ 1999 წელს კასპიის ზღვის "ჩირაგის" საბადოდან ამოღებულ ნავთობს ნოვოროსიისკის მილსადენით ექსპორტირებას ვერ შევძლებდით. ამიტომაც ჩვენ გავიყვანეთ ძალიან ეფექტური მეორე ნავთობსადენი ბაქოდან საქართველოს შავ ზღვაზე მდებარე ნავსადგურ სუფსამდე. შემიძლია ვთქვა, რომ 1999 წლიდან დღემდე ამ ნავთობსადენით 20 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობის ექსპორტირება მოხდა და ამ ნავთობისადენს მომავალშიც დიდი მნიშვნელობა ექნება.

მაგრამ ჩვენ ესეც არ გვაკმაყოფილებდა. ჯერ კიდევ 1994 წლიდან ვფიქრობდით ბაქო-თბილისი-ჯეიხანის

ნავთობსადენის შესახებ. მაგრამ ამისა ძალიან ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა. ხელის შემშლლებიც ბევრნი იყვნენ და დღემდე ზოგიერთს ეს ილუზიად მიაჩნია, ან იმას ამტკიცებენ, რომ კასპიის ზღვაში არ არის საკმარის რაოდენობის ნავთობი, რათა მოხდეს მისი ექსპორტირება ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენით. ვპასუხობ რა მათ, დღეს მინდა ვთქვა, რომ 2010 წელს აზერი-ჩირაგი-გუნეშლის საბადოებიდან 50 მილიონი ტონა ნავთობი იქნება ამოღებული და ეს სახვებით საკმარისია ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენის ფუნქციონირებისათვის. მაგრამ სხვა საბადოებიც ხომ არსებობს.

აქ ჩემამდე გამოსულმა ჩემმა მეგობრებმა, პრეზიდენტებმაც აღნიშნეს ეს. ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ხაზით ისარგებლებენ ყაზახეთიც და კასპიისპირა სხვა სახელმწიფოებიც. ჩვენ უკვე დავიწყეთ ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენის მშენებლობა. ვიმედოვნებ, რომ მშენებლობა საკმარისად წარმატებული იქნება. მე ვაცხადებ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიხანის დიდი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა 2005 წელს დასრულდება და ჩვენ ყველანი დღევანდელი კონფერენციის მონაწილენი, ჩემი მეგობრები, პრეზიდენტები ერთად წავალთ ხმელთაშუა ზღვაზე მდებარე ჯეიხანის ნავსადგურში და იქ კასპიის ზღვიდან ამოღებული ნავთობის ტანკერებზე დატვირთვის მოწმენი გავხდებით.

ყოველივე ამან სამი ზღვის ლეგენდა შექმნა. ამიტომ მინდა აღვნიშნო, რომ მეხუთეჯერ ჩატარებულ ამ კონფერენციას - სამი ზღვის ლეგენდას - ერთი დედა ჰყავს. ეს კასპიის ზღვაა. დედის გვერდით კი აზერბაიჯანი დგას.

თავის დროზე წარმოუდგენელი იყო, რომ კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე მივიდოდით და იქიდან კი

ხმელთაშუა ზღვამდე. ჩვენ 2 ათასი კილომეტრი სიგრძის დიდი ნავთობსადენი გაგვყავს. ეს ნამდვილად ლეგენდაა.

მინდა ამ კონფერენციის მონაწილეებსა და მის ორგანიზატორებს ვაცნობო, რომ ეს ლეგენდა კიდევ გაგრძელდება, განვითარდება. ვიმედოვნებ, რომ კასპიის ზღვის საბადოებიდან ამოღებული ნავთობი და გაზი მიუხედავად იმისა, ეს საბადო ეკუთვნის აზერბაიჯანს, ყაზახეთს თუ ნებისმიერ სხვა სექტორს, გავა საექსპორტოდ. გაყვანილი იქნება ახალი მილსადენები.

მაგალითად როგორც აღნიშნა პატივცემულმა პრეზიდენტმა ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა აჰმედ ნეჯდეთ სეზარმა აზერბაიჯანის შაჰდენიზის საბადოსთან მიმართებაში, ჩვენ შეთანხმებებს ხელი უკვე მოვაწერეთ, ყველაფერი მოვამზადეთ. მილსადენის მშენებლობა მიმდინარეობს. მისი საშუალებით გაზი უშუალოდ თურქეთში ერზრუმში მივა. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი პუნქტია. ჩვენ მიგვაჩნია - რომ მომავალში კასპიის ზღვიდან ამოღებული გაზი კიდევ უფრო შორს - ევროპაშიც მოხვდება. ვინაიდან ჩვენ ბევრი შესაძლებლობები გაგვაჩნია.

ამრიგად „სამი ზღვის ლეგენდა“ მართლაც, რომ დიდი ლეგენდაა. ჩვენ ამ ლეგენდის შექმნის თანამონაწილენი ვართ და იგი რეალობად ჩვენ ვაქციეთ. ეს უკვე ლეგენდა აღარ არის, ეს რეალობაა. რეალობაა ის - რომ კასპიის ზღვიდან ნავთობსა და გაზს ამოვიღებთ. რეალობაა ის, რომ ბაქო-ნოვოროსისისკის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენები მოქმედებენ. რეალობაა ის, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა დაიწყო. ყოველივე ეს განხორციელდა. ყოველივე ეს რეალობაა.

დღეს მინდა ჩემს პატივცემულ სტუმრებს შევთავაზო, რომ მათ ახალი ლეგენდის შესახებ იფიქრონ. რადგან ეს ყველაფერი უკვე ლეგენდა აღარ არის. ეს რეალობაა. მე

დღეს ძალიან მიხარია, რომ ამ კონფერენციის მონაწილე ვარ. პატივცემულო თავმჯდომარეებო, დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემი აქ მოპატიჟებისათვის. ჩემი მეგობრების, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, პატივცემული აჰმედ ნეჯდეთ სეზარის, საქართველოს პრეზიდენტის, პატივცემული ედუარდ შევარდნაძის, რუმინეთის პრეზიდენტის, პატივცემული იონ ილიესკოს, უკრაინის პრეზიდენტის, მშვენიერი ადამიანის, ლეონიდ კუჩმაშ მიმართ ჩემს პატივისცემას გამოვხატავ. მოხარული ვარ, რომ ჩვენ დღეს დილიდან ჩვენი დელეგაციების წარმომადგენლებთან ერთად ნაყოფიერ სამუშაოს ვაწარმოებთ.

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ.

## შედგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი მილსადენის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია 2002 წლის 18 სექტემბერი

18 სექტემბერს აზერბაიჯანის დედაქალაქის მახლობლად სანგაჩალის ტერმინალზე შედგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი მილსადენის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია.

ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, თურქეთის პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. ცერემონიას ესწრებოდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ენერჯეტიკის მინისტრი სპენსერ აბრაჰამი და მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი.

სტუმრებს გააცნეს ვრცელი ინფორმაცია სანგაჩალის ტერმინალისა და მისი ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ. აღინიშნა, რომ ამჟამად ტერმინალს შეუძლია მიიღოს 140 ათასი ბარელი ნედლი ნავთობი დღეში. მომავალი წლიდან ეს მაჩვენებელი გაიზრდება 180 ათასამდე.

შემდეგ დაიწყო ცერემონიის ოფიციალური ნაწილი. ცერემონია შესავალი სიტყვით გახსნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სანავთობო კომპანიის პრეზიდენტმა. მისი მისასალმებელი სიტყვის შემდეგ მოხსენებებით გამოვიდნენ სახელმწიფოთა მეთაურები.

თურქეთის პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა აღნიშნა, რომ იგი აღვსილია სიამაყის გრძნობით ცერემონიაში მონაწილეობის გამო. პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა განაცხადა, რომ ეს პროექტი ხელს შეუწყობს როგორც სამივე ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას, ასევე მათ შორის მეგობრობისა და ძმობის ურთიერთობების გაძლიერებას.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მომავალი თაობა დაინახავს შედეგს იმისას, რაც დღეს აქ ხდება და მაღლიერების გრძნობით გაიხსენებს ამ მოვლენებს. პრეზიდენტმა შეაფასა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და დაახსიათა იგი როგორც საქართველოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა დამოუკიდებლობის 10 წლის განმავლობაში. აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს და განსაკუთრებით აღნიშნა, რომ აღმოსავლეთი-დასავლეთის ენერჯეტიკული დერეფნის რეალიზაცია მოხდა გმირობის, სიბრძნის, ურყევობისა და დასახული მიზნის სწორი გადაჭრის წყალობით.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის  
ჰეიდარ ალიევის სიტყვა აზერბაიჯანის  
დედაქალაქის მახლობლად სანგაჩალის სანაპირო  
ტერმინალზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის  
მთავარი საექსპორტო მილსადენის საძირკვლის  
ჩაყრასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო  
ცერემონიალზე,  
2002 წლის 18 სექტემბერი

თქვენო აღმატებულებავ, პატივცემულო თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტო, ახმედ ნეჯდეთ სეზერ!

თქვენო აღმატებულებავ, პატივცემულო საქართველოს პრეზიდენტო, ედუარდ შევარდნაძე!

პატივცემულო ამერიკის შეერთებული შტატების ენერჯეტიკის მინისტრო, სპენსერ აბრაჰამ!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,  
სტუმრებო!

ყველას გულითადად მოგესალმებით აზერბაიჯანში და  
დიდ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც აქ შეიკრიბა ამ  
დიდი მნიშვნელობის მქონე პროექტის  
განხორციელებასთან დაკავშირებით.

დღეს ტარდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი  
საექსპორტო მილსადენის მშენებლობისათვის  
საპირველის ჩაყრის ცერემონიალი, რამაც ყველანი  
შეგვკრიბა აქ, მათ შორის ისინიც, ვინც აზერბაიჯანში  
შორეული ქვეყნებიდან ჩამოვიდა, რათა ჩვენთან ერთად  
მიიღოს მონაწილეობა ამ ზეიმში. ეს მსხვილი პროექტი  
უკვე მთელ მსოფლიოშია ცნობილი და მსოფლიო  
საზოგადოება რამდენიმე წელია მას იხილავს.

ამ პროექტს საფუძველი ჩაეყარა 1994 წელს,  
აზერბაიჯანის ნავთობის სტრატეგიის განხორციელების  
დასაწყისში, როცა 1994 წლის 20 სექტემბერს  
აზერბაიჯანში, ბაქოში, კასპიის ზღვის აზერბაიჯანის  
კუთვნილ სექტორში მდებარე საბადოების "აზერი",  
"ჩირაგი", "გუნეშლი" ერთობლივი ათვისების მიზნით  
აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიასა და  
მსოფლიოს 11 მსხვილ ნავთობკომპანიას შორის დაიდო  
ხელშეკრულება.

აღნიშნულმა ხელშეკრულებამ  
მსოფლიოში ფართო გამოხმაურება გამოიწვია და  
შემთხვევითი არ არის, რომ მას "საუკუნის კონტრაქტი"  
წოდებდნენ. ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას ჩვენ,  
ბუნებრივია, "აზერი", "ჩირაგი", "გუნეშლის"  
საბადოებიდან მომავალში წელიწადში 50 მილიონ  
ტონაზე მეტი ნავთობის ამოღებას ვგეგმავდით. მაგრამ  
საჭიროა ამოღებული ნავთობის გატანა მსოფლიო  
ბაზარზე. ამისათვის სხვადასხვა გზები და სხვადასხვა  
მარშრუტები არსებობდა. მაგრამ ჩვენ - აზერბაიჯანის  
რესპუბლიკამ ჩვენს მეგობრებთან - თურქეთის

რესპუბლიკასა და საქართველოსთან ერთად და,  
ბუნებრივია, ამ პროექტში მონაწილე კომპანიებთან  
ერთად გადაწყვეტიტ მომავალში მოპოვებული ნავთობი  
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით  
მივაწოდოთ თურქეთის ხმელთაშუა ზღვაზე  
განლაგებულ ჯეიჰანის ნავსადგურს.

ამ გადაწყვეტილებამ ბევრი კამათი გამოიწვია, რადგან  
იმ დროს იყვნენ ადამიანები, რომლებიც გამოდიოდნენ  
ჩვენ მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების წინააღმდეგ  
და არ ეთანხმებოდნენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის  
მარშრუტით მილსადენის გაყვანას. ეს ცნობილია.  
პირველ რიგში ჩვენ, აზერბაიჯანს, გვიმლიდნენ ხელს,  
რადგან ჩვენ ნავთობის მფლობელები ვართ და თვითონ  
ვწყვეტთ, თუ რა მარშრუტით მოხდება ნავთობის  
ექსპორტირება.

ჩვენზე დიდ ზეწოლას ახდენდნენ. იმ დროს  
აზერბაიჯანში საზოგადოებრივი მდგომარეობა  
სტაბილური არ იყო. 1993 წელს აქ სამოქალაქო ომი  
მიმდინარეობდა. ჩვენ ამ ყველაფერს წინ აღვუდგეით და  
ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას. მაგრამ  
ხელშეკრულების ხელმოწერის დროს ჩვენს შორისაც  
იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც  
საზღვარგარეთის სხვადასხვა ორგანოებს  
ემსახურებოდნენ.

ისინი გამოთქვამდნენ თავის აზრს ამ ხელშეკრულების  
დარღვევის თაობაზე. თქვენთვის ეს საინტერესო უნდა  
იყოს, რადგან 1994 წლის 20 სექტემბერს ხელი მოვაწერეთ  
ხელშეკრულებას. ერთი დღის შემდეგ მოეწყო ოთხი  
საშინი დამნაშავის გაქცევა აზერბაიჯანის ნაციონალური  
უშიშროების სამინისტროს იზოლაციორიდან. ერთი  
კვირის შემდეგ ტერორისტული აქტი მოუწყეს  
აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის  
მოადგილეს. იგი მოკლეს. მოკლეს პოლკოვნიკი,



აზერბაიჯანის კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი. ასეთი ტერორის მოწყობით ჩვენს დამინებებს ცდილობდნენ. მაგრამ ჩვენ არ შევეშინდით.

ისინი კი თავიანთ ქმედებებს განაგრძობდნენ. ისეთმა ადამიანმა, როგორცაა სურათ ჰუსეინოვი, რომელსაც იმ დროს აუცილებლობის გამო ჩემ გვერდით სახელმწიფო მინისტრის თანამამდებობა ეკავა, ოთხ ოქტომბერს სცადა აზერბაიჯანში შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება მოეწყო. ჩვენ მას წინ აღვუდგით. პირველ რიგში ხალხის მხარდაჭერით. 1995 წლის მარტის თვეში მათ კვლავ სცადეს შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. ჩვენ ესეც აღვკვეთეთ. ამის შემდეგ შეეცადნენ ზოგიერთ ობიექტზე ტერორისტული აქტი მოეწყოთ ხიდის აფეთქება, დივერსიის ჩატარება. – ჩვენ დიდი დანაკარგი გვქონდა, მაგრამ ყოველივე ამას წინ აღვუდგეთ.

ჩემთვის ცნობილია, რომ სწორედ იმ დროს, როცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი შევიმუშავეთ, ჩემს მეგობარს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ელუარდ შევარდნაძეს ტერორისტული აქტი მოუწყვეს და იგი სასწაულებრივად გადარჩა.

ყველაფერი ეს და ჩვენზე წარმოებული პოლიტიკური ზეწოლა, სხვადასხვა ქმედებები იმით იყო განპირობებული, რომ ჯერ ერთი მათ არ სურდათ განხორციელებულიყო ნავთობის ხელშეკრულება, ეს საქმე კასპიის ზღვაში პირველად იქნა წამოწყებული. მეორეც, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გაყვანის წინამდებდე გამოდიოდნენ. აი, ასეთ ვითარებაში წამოვიწყეთ საქმე, ყველას დავანახეთ ჩვენი უდრეკი ნებისყოფა და არჩეულ გზას არ გადავუხვიეთ.

1999 წელს "ჩირაგის" საბოლოოდან ამოვიღეთ პირველი ნავთობი. ადრე მის ტრანსპორტირებას ვახდენდით ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით რუსეთში, შავ ზღვაზე

მდებარე ნოვოროსიისკის ნავსადგურის გავლით. მაგრამ ამავე დროს ჩვენ გაგვყავდა დასავლეთის მარშრუტი - ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, რომელიც უმოკლეს ვადაში გადავეციტ ექსპლუატაციაში. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირება დასავლეთის მარშრუტით ამ მილსადენით ხდება.

მაგრამ ყოველივე ეს პირველადი ნავთობის ტრანსპორტირებისთვის კეთდებოდა, ხოლო ჩვენ მიერ გათვალისწინებული დიდი ნავთობისთვის საჭირო იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. ჩვენ თანმიმდევრულად, სწრაფი ტემპით, შეუჩერებლად ვმუშაობდით ამ პროექტზე, ვიყენებდით ყველა ჩვენს შესაყებლობას. თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო ამ საქმეში ერთად იყვნენ, ერთად მუშაობდნენ ამ საკითხზე. მაგრამ აშშ-ს მთავრობის მუდმივი თანადგომა, რჩევები რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ამას ვერ მივალწევდით.

შემთხვევითი არ არის, რომ 1999 წლის ნოემბრის თვეში სტამბულში, ეუთოს სამიტზე ჩვენ - თურქეთმა, საქართველომ, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების თაობაზე. გარდა ამისა, ხელი მოვაწერეთ განცხადებას, რომელსაც შეუერთდა და ხელი მოაწერა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა. და ამანაც შეუწყო ხელი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის რეალიზაციას.

მე, თქვენ ეს პატარა ისტორია გაგაცანით, ვინაიდან აუცილებელია იცოდეთ, თუ რა გავაკეთეთ 8 წლის განმავლობაში, რა სიმძნელებს წავაწყდით და რა წინამდებდეგობები გადავლახეთ.



და ბოლოს, უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული პროცესები. პრობლემები მის დაფინანსებაშიც არსებობდა. მაგრამ ჩვენ ესეც მოვაგვარეთ. ამჟამად ამ საქმეს აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო "ბი-პი" ხელმძღვანელობს. მათ უკვე მოამზადეს ყველა გეგმა. ამიტომაც მოგიწვიეს აქ საძირკვლის ჩასაყრელად.

მინდა გაცნობოთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენის ოპონენტები ხშირად ამტკიცებდნენ, რომ ეს ყველაფერი ილუზიაა, რაღაც შეუსრულებელი, რომ აზერბაიჯანში ამდენი ნავთობი არ არსებობს და არც არასოდეს იქნება. ასე ხშირად ლაპარაკობდნენ. დიდი დრო ვავიდა, ამიტომ ზოგიერთს ამ მოთქმა-მოთქმისა სჯეროდა. მაგრამ ყველაფერი ეს საფუყველს მოკლებული იყო. ჩვენ ჩვენი საქმე შევასრულეთ.

ამ რამდენიმე ხნის წინ სტამბულში შედგა კონფერენცია სახელწოდებით "სამი ზღვის ლეგენდა". იქ ლეგენდის შესახებ მიდიოდა საუბარი. მე იქ მოხსენებით გამოვედი, ვთქვი: თქვენ აქ ლეგენდაზე ლაპარაკობთ. მე კი მინდა გითხრათ, რომ ეს ილუზია არ არის, არ არის ლეგენდა. სამი ზღვა – კასპიის ზღვა, შავი ზღვა და ხმელთაშუა ზღვა ერთმანეთს დაუკავშირდება. მათი შეერთება განახორციელეს თურქეთმა, საქართველომ და აზერბაიჯანმა, მათ მიერ განხორციელებულმა პროექტმა და აშშ-ს მუდმივმა თანადგომამაც. ამიტომ ილუზიები უკან დარჩა და ჩვენ რეალობას მივუახლოვდით.

თქვენ მიიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სახსრები იქნება ჩადებული აქ, თუ რა სამუშაო ჩატარდება. მე ამის შესახებ არ მინდა ვილაპარაკო. მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ყველა ეს პროექტი აზერბაიჯანის ეკონომიკის განვითარებაზე არის მიმართული. დღეს აქ ხელი მოეწერება დოკუმენტს

აზერი, ჩირაგი, გუნემლის საბადოების ათვისების მეორე ფაზის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ძალზედ დიდი ინვესტიციები მიიყრის თავს, სამუშაოები სწრაფი ტემპით განვითარდება.

მიგვაჩნია, რომ 2005 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენი მთლიანად იქნება მზად და ჩვენ ყველანი ერთად აქედან თურქეთის ჯეიხანის ნავსადგურში წავალთ და იქ აზერბაიჯანის, კასპიის ნავთობის ჯეიხანის ნავსადგურიდან გადაზიდვის მოწყობის გავხდებით.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბაქო-თბილისი-ჯეიხანის პროექტის დაფინანსებაში გარკვეული პრობლემები არსებობდა. აზერბაიჯანმა ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა, ჩვენ მისი დაფინანსების 25 პროცენტი ჩვენს თავზე ავიღეთ. დანარჩენი კი სხვადასხვა კომპანიებს შორის განაწილდა. მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ პროექტს 2,5 პროცენტით კომპანია "ენი", შემდეგ კი კომპანია "ტოტალი" შეუერთდა. დღეს შემატყობინეს, რომ პროექტს 2,5 პროცენტით იაპონიის კომპანია "იტოჩუ" შემოუერთდა, ხოლო გუშინ – 2,5 პროცენტით იაპონიის კომპანია "ინჰექსი". რას იმას ნიშნავს, რომ ამ მილსადენით სარგებლობა სურს არა მხოლოდ აზერბაიჯანს, არამედ ყველას.

როცა თავის დროზე ხელს ვაწერდით სტამბულში შეთანხმებას, მის ქვეშ ხელი მოაწერა აგრეთვე ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმაც, რომელმაც თქვა, რომ ყაზახეთიც გამოიყენებს ამ მილსადენს. ჩემთვის ცნობილია, რომ ამჟამად უცხოური კომპანიები ყაზახეთშიც ბევრს მუშაობენ. ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ჩვენს პროექტთან მათი შემოერთება და მასში ინვესტიციების ჩადება გვიჩვენებს, რომ მართლაც კასპიის სხვადასხვა სექტორების ნავთობი ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენით გავა საექსპორტოდ.

მინდა გაცნობოთ, რომ 2007-2008 წლებში აზერი, ჩირაგი, გუნემლის საზადოებიდან დაახლოებით 50 მილიონი ტონა ნავთობი იქნება ამოღებული. მაგრამ კასპიის ზღვაში ჩვენ სხვა საზადოებიც გაგვაჩნია. ჩვენ მრავალ კომპანიასთან ვთანამშრომლობთ. 30 ქვეყნის კომპანიასთან 21 ხელშეკრულება გვაქვს დადებული. რა თქმა უნდა, ისინიც ნავთობს ამოიღებენ, ჩვენც მათთან ერთად ვშუშაობთ. ამიტომ მომავალში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ტევადობაც კი საკმარისი არ იქნება. საჭირო გახდება მისი გაფართოება ან მეორე მილსადენის გაყვანა.

ყველაფერი, რაზედაც მე ვლაპარაკობ, მომავალს ეხება. ეს ჩვენი ხალხის მომავალია. ჩვენი საქმიანობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ აზერბაიჯანის მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. თქვენთვის ცნობილია, რომ აზერბაიჯანი ნავთობის უძველესი ქვეყანაა. აზერბაიჯანში ნავთობის ამოღება სამრეწველო გზით 150 წლის წინ დაიწყო, მაგრამ ნავთობი აზერბაიჯანელ ხალხს არ ეკუთვნოდა. კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის ყველა საზადო აზერბაიჯანელი მეცნიერებისა და გეოლოგების მიერაა აღმოჩენილი, მაგრამ ჩვენ მისი მფლობელები არ ვყოფილვართ. ახლა ჩვენ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო საკუთარი რესურსების ბატონ-პატრონი ვართ. ჩვენ ვამყარებთ ურთიერთობას ჩვენთვის საჭირო ქვეყნებთან და ასეთ საქმიანობას ვეწევი. მაგრამ რიგში დგას მეორე მილსადენიც. შაკდენიზის საზადოდან, რომლის მარაგი შეადგენს გაზის ერთ ტრილიონ კუბომეტრს, გაყვანილი იქნება ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი.

ასე რომ, მილსადენების რიცხვი მატულობს. ბუნებრივია, რომ მათ მეტად დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ არა მხოლოდ ეკონომიკური.

მიმამჩნია, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული სამუშაო (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) პოლიტიკურ ხასითსაც ატარებს. ეს პროექტი და მისი განხორციელება კავკასიის რეგიონში თავისუფლების, მშვიდობის, უშიშროების გარანტია გახდება. ეს მილსადენი, ფოლადის ეს მილები აზერბაიჯანს, თურქეთს და საქართველოს კიდევ უფრო დააკავშირებს ერთმანეთთან.

ჩვენ მეგობარი სახელმწიფოები ვართ. თურქეთი ჩვენი მოძმე და მეგობარი ქვეყანაა. საქართველო ჩვენი მოძმე სახელმწიფოა, ასევე ჩვენც მათთვის მოძმე სახელმწიფო ვართ. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაკავშირებს. მაგრამ ჩვენ ამ ურთიერთობებს კიდევ უფრო განვამტკიცებთ. ერთ-ერთი ასეთი შემაკავშირებელი გახდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი. ეჭვი არ მეპარება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ საკითხებში კვლავაც მხარს დაგვიჭიერენ. ამიტომ ამ ცერემონიაზე მადლობას მოვასხენებ თურქეთის რესპუბლიკას, მის პრეზიდენტს, პატივცემულ ახმედ ნეჯდეთ სეზარს. მადლობას მოვასხენებ საქართველოს, მის პრეზიდენტს, პატივცემულ ედუარდ შევარდნაყეს. მადლობას მოვასხენებ ამერიკის შეერთებული შტატებს, მის პრეზიდენტს ბატონ ჯორჯ ბუშს.

სულ ახლახანს ბატონ ჯორჯ ბუშისაგან გულთბილი წერილი მივიღე, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლევა აზერბაიჯანის საქმიანობას ანტიტერორისტულ კოალიციაში. გასული წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი საშინელი ტერორისტული აქტების შემდეგ ჩვენ ანტიტერორისტულ კოალიციას შევუერთდით. ამ კოალიციაში ჩვენს მისიას ვასრულებთ და მომავალშიც შევასრულებთ. ამჟამად აღნიშნულ სფეროში ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობებს ვანვითარებთ, უფრო მაღალ ხარისხობრივ დონეზე აგვყავს.

გუშინ პატივცემულმა მინისტრმა ჩემთან საუბრისას პრეზიდენტ ბუმის გულითადი სალამი და თბილი სიტყვები გადმომცა. ყოველივე ამისათვის და ზოგადად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის რეალიზაციაში მხარდაჭერისათვის მადლობას მოვასხენებ ამერიკის შეერთებულ შტატებს, მის ხალხსა და პრეზიდენტ ბატონ ბუმს.

ძვირფასო მეგობრებო!

ძვირფასო სტუმრებო!

კიდევ ერთხელ გულითადად მოგესალმებით და ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი უსათუოდ წავა წინ, წინ, წინ !

## მიმართვა აზერბაიჯანულ ხალხს 2003 წლის 1 ოქტომბერი

ძვირფასო თანამემულენო, აზერბაიჯანის პატივცემულო მოქალაქეო!

ამ დღეებში სრულდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩემი ხელმძღვანელობის 34 წელი მთლიანობაში და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრეზიდენტად ყოფნის 10 წელი. ამ წლებში მთელი ჩემი ცხოვრების იდეა როგორც რიგითი აზერბაიჯანელისა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქისა და ასევე მისი ხელმძღვანელისა, პრეზიდენტისა მდგომარეობდა თქვენს, აზერბაიჯანელი ხალხის, რომელიც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი განვითარების მსახურობაში. ამ გზაზე მთელ ჩემს ძალას და მონდომებას მე ჩემი ბრძენი და მადლიერი ხალხისგან ვსესხულობდი. ყველაზე მწელ მომენტებში, ყველაზე რთულ სიტუაციებში მე მხოლოდ ჩემს ხალხს ვეყრდნობოდი. ეს კი მაძლევდა გამძლეობას, ნებისყოფას, უზრუნველყოფდა ყველა ჩემს წარმატებას.

აზერბაიჯანელმა ხალხმა დაიკავა თავისი ღირსეული ადგილი მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ხალხთა რიგებში. დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია მისი სულიერი სამყარო, ღირსეული წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში, მსოფლიო ცივილიზაციის ფასეულობებისადმი ზიარების უნარი. ამჯამად არავის აკვირვებს, რომ აზერბაიჯანელები თავისი შრომისა და ნიჭის წყალობით თანდათან უფრო ინტენსიურად ინტეგრირებენ მსოფლიოს ხალხთა ოჯახში ყველა სფეროში.

დღეს ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო ვითარდება მსოფლიოს ქვეყნების ყველაზე მოწინავე გამოცდილებისა და ფასეულობების გამოყენებით. დემოკრატიული საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოს, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა უზენაესობის და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპების ხელმძღვანელობით აზერბაიჯანი მსოფლიოსა და ევროპის ყველაზე მოწინავე და ძლიერ ქვეყნებთან მხარდამხარ მოღვაწეობს. ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო საზოგადოებაში ღირსეული ადგილი დაიკავა. დღეს მსოფლიოს, რეგიონისა და ჩვენი გარემომცველი სამყაროს ძირითადი სტრატეგიული და გლობალური საკითხები არ წყდება ჩვენი აზრისა და ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ჩვენ გვიცნობენ, მიგვიღეს და ანგარიშს გვიწევენ მთავარ საკითხებში.

აზერბაიჯანის ეკონომიკური ცხოვრება ახლიდან შენების, აღორძინების და მაღალი დინამიზმით განვითარების პროცესშია. ყოველ წელს ქვეყნის ეკონომიკაში შიდა და გარე კაპიტალდაბანდებათა მოცულობა იზრდება, ხდება აგრარული სექტორის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მოდერნიზაცია, ეკონომიკაში იზრდება არანავთობური სექტორის წილი, შენარჩუნებულია მანათის სტაბილურობა, იზრდება სავალუტო რესურსები, ჩნდება სულ უფრო ახალი და ახალი სამუშაო ადგილები დიდი სახელფასო ანაზღაურებით. ეს ყველაფერი 1994 წლიდან განხორციელებული ნავთობისა და ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგიის შედეგია. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ ასე გავაგრძელებთ, მომდევნო რამდენიმე წელიწადში აზერბაიჯანში აღარ დარჩება არც ერთი უმუშევარი და უმწეო ადამიანი. დიდი ტემპით გაიზრდება სახელფასო ანაზღაურება, პენსიები და ადამიანთა საერთო შემოსავალი.

აზერბაიჯანის სახელმწიფო, ჩვენი საქმიანი ხალხი შეძლებს მიიღოს მონაწილეობა ყველაზე პერსპექტიულ და მომგებიან პროექტებში, დააბანდოს ინვესტიციები არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

ჩვენი სახელმწიფო თანდათან ზრდის თავის თავდაცვისუნარიანობას, სამხედრო ძალას. ჩვენი ეროვნული ჯარი ითვისებს მოწინავე გამოცდილებას და ტექნოლოგიებს, ახალგაზრდობა სიამოვნებით მიდის ჯარში.

ამ ყველაფერს იოლად როდი მივაღწიეთ. გასულ პერიოდში ჩვენ თქვენთან ერთად შევაჩერეთ ძალზედ სახიფათო რეაქცია, პროვოკაცია და სხვა არაჯანსაღი აქციები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარედან, გადავლახეთ დიდი სიძნელეები. თქვენ ეს ძალიან კარგად იცით.

აზერბაიჯანის მთავრობის გაუბედობის გამო თავის დროზე ვერ მოხერხდა სომხების მიერ 1988 წელს მთიან ყარაბაღში გაჩაღებული ავანტიურისტული ნაგონალოსტური სეპარატიზმის შეჩერება. სომხეთის ჯარმა ისარგებლა ჩვენს რესპუბლიკაში 1990-1993 წლებში გაჩაღებული პოლიტიკური და სამთავრობო კრიზისით, უმართაობით და ქაოსით, მოახდინა აზერბაიჯანული მიწების ოკუპაცია, მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე ლტოლვილად და იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა. ქვეყნის მოქალაქეებს რესპუბლიკის შიგნით ერთმანეთში შეიარაღებულ შეტაკებებისკენ აქეზებდნენ და ჩვენი სახელმწიფოს და სახელმწიფოებრიობის დასაშლელად და გასაუქმებლად უდიდესი ძალები იყო ამოქმედებული. ჩვენ თავიდან ავიცილეთ ეს ყველაფერი. მაგრამ ჯერ ვერ მოვახერხეთ ქაოსისა და ანარქიის პერიოდში დარღვეული აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის, ლტოლვილთა და იძულებით გადასახლებულ პირთა დაბრუნების პრობლემის

გადაჭრა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკითხსაც აუცილებლად მოვაგვარებთ.

ამის მიუხედავად, გასულ წლებში ჩვენ შევძელით გადაგვეწყვიტა საკითხები, რომელთაც ჩვენი ხალხისათვის და სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

პირველ რიგში ჩვენ მივალწიეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტაბილურობას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრიობის საძირკველს წარმოადგენს, ჩავუყარეთ საფუძველი სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ეროვნულ ერთობას და კანონების უზენაესობას ეყრდნობა.

მეორე, ახლიდან ავაშენეთ და განვითარების გზაზე დავაყენეთ ქვეყნის ეკონომიკა, რაც ყოველი ქვეყნის მიზანია, მისი არსებობის არსია.

მესამე, ჩვენ შევძელით აგვეშენებინა აზერბაიჯანელი ხალხისთვის სასურველი და ნანატრი დემოკრატიული ქვეყანა ყველა სათანადო ინსტიტუტებით, უზრუნველგვეყო მისი დამოუკიდებლობის ურყეობა.

მხოლოდ დამოუკიდებელ ქვეყანაში, რომელიც ხასიათდება ეროვნული ერთიანობით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტაბილურობით, დინამიურად განვითარებადი ეკონომიკით, ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებით და რომელიც დემოკრატიულ და სამოქალაქო საზოგადოებას ეყრდნობა შესაძლებელია ყველა საკითხის, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება.

აზერბაიჯანის ძვირფასო მოქალაქენო, ჩემო ძვირფასო ხალხო!

ჩემი შინაარსით აღსავსე ცხოვრების ზუსტად 60 წელი მე ვცხოვრობდი ჩემი ხალხის აწმყოთი და მომავლით. ამათგან ბოლო 10 წელი აზერბაიჯანის დამოუკიდებელი

სახელმწიფოსთვის სამსახურში გავიდა. თქვენთვის ცნობილია სამუშაო, რომელიც ამ მიმართულებით გატარდა, მაგრამ მე კიდევ ბევრი დაუშთავრებელი პერსპექტიული გეგმა დამრჩა. ბოლო ხანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემები საშუალებას არ მამლევეს დავამთავრო მთელი ეს დაწყებული საქმე, რომლის შედეგი ჩემთვის უკვე ნათელია. ამის მიუხედავად, ჩემი კანდიდატურა წამოწეული და დარეგისტრირებულია მომავალ 2003 წლის 15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე მონაწილეობის მისაღებად. საარჩევნო კამპანიაში ჩართული ასი ათასობით ადამიანი ატარებს აგიტაციას ჩემს სასარგებლოდ. ვსარგებლებ შემთხვევით და ამ ადამიანებს, პარტია "იენი აზერბაიჯან"-ის ყველა წევრს, რომლებმაც წამოაყენეს და მხარი დაუჭირეს ჩემს კანდიდატურას, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებს, მეგნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს და მთელ აზერბაიჯანელ ხალხს, ვუხდი მადლობას, ყველას მიმართ გამოვთქვამ ღრმა მადლიერებას. იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში, აღვიდგენ რა ჯანმრთელობას, დავებრუნდები სამშობლოში და ისევ ვიქნები ჩემს ხალხთან ერთად. ახლა კი ჩემს კანდიდატურას ვხსნი ილჰამ ალიევის სასარგებლოდ.

მოგმართავთ რა თქვენ – ჩემს თანამემამულეებს, მოგიწოდებთ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარი დაუჭიროთ პრეზიდენტობის კანდიდატს, ჩემს პოლიტიკურ მემკვიდრეს, პარტია "იენი აზერბაიჯან"-ის თავჯდომარის პირველ მოადგილეს ილჰამ ალიევს.

იგი არის მაღალინტელექტუალური, ენერგიული და თაოსანი პიროვნება პრაგმატულად მოაზროვნე, იგი მშვენივრად ერკვევა თანამედროვე მსოფლიო

პოლიტიკაში და ეკონომიკაში. გარწმუნებთ, რომ როგორც ილჰამ ალიევი, ასევე პარტია "იენი აზერბაიჯანი"-ი, მომავალშიც მჭიდროდ შემოიკრებიან გარშემო ჩვენი ხალხის ყველაზე ღირსეულ შვილებს და ბევრს გააკეთებენ ჩვენი ხალხისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოს განვითარებისა და კეთილდღეობის გზაზე. მჯერა, რომ თქვენი დახმარებით და მხარდაჭერით ილჰამ ალიევი შეძლებს დაასრულოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები, გეგმები, რომელიც მე ვერ მივიყვანე ბოლომდე. მე, მისი მჯერა როგორც საკუთარი თავისა და მის მომავალზე დიდ იმედებს ვამყარებ.

ღრმა პატივისცემით,

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი

## აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ჰეიდარ ოღლუ ალიევი

ილჰამ ჰეიდარ ოღლუ ალიევი დაიბადა 1961 წლის 24 დეკემბერს ქალაქ ბაქოში.

1967 - 1977 წლებში სწავლობდა ქალაქ ბაქოს საშუალო სკოლაში.

1977 წელს მოეწყო საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში (МГИМО).

МГИМО-ს დამთავრების შემდეგ 1982 წელს ჩააბარა საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1985 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1985 - 1990 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში.

1991 - 1994 წლებში პრეზიდენტი ალიევი მუშაობდა კერძო ბიზნესის სფეროში. ხელმძღვანელობდა რიგ სამრეწველო-კომერციულ საწარმოებს.

1994 წლიდან 2003 წლის აგვისტომდე იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (ГНКАР) ვიცე-პრეზიდენტი, შემდეგ კი პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო. იღებდა მონაწილეობას "ჰეიდარ ალიევის ნავთობის სტრატეგიის" განხორციელებაში.

არის სუვერენული აზერბაიჯანის ნავთობის პოლიტიკის გეოპოლიტიკური ასპექტების დარგში ჩატარებული მთელი რიგი კვლევითი სამუშაოების ავტორი. პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ორჯერ, 1995 და 2000 წლებში, არჩეულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში (პარლამენტში).



2003 წელს მოიხსნა დეპუტატის უფლებამოსილება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით.

1997 წლიდან დღევანდლამდე იგი არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის დაჯილდოვებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ორდენით.

1999 წელს არჩეული იყო მმართველი პარტიის "ენი აზერბაიჯან"-ის თავმჯდომარის მოადგილედ, 2001 წელს - პირველ მოადგილედ, ხოლო 2005 წელს - თავმჯდომარედ.

2001 წლიდან 2003 წლამდე იყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (PACE) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის (პარლამენტის) დელეგაციის ხელმძღვანელი.

2003 წლის იანვარში არჩეულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილედ და PACE-ს ბიუროს წევრად.

2003 წლის 4 აგვისტოს მილი მეჯლისის (პარლამენტის) მიერ დამტკიცების შემდეგ დაინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

2003 წლის 15 ოქტომბერს არჩეულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად. საპრეზიდენტო არჩევნებზე ილჰამ ალიევის ხმა მისცა 76%-ზე მეტმა ამომრჩეველმა. თანამდებობა დაიკავა 2003 წლის 31 ოქტომბერს.

2004 წლის აპრილში PACE-ს მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის და ევროპული იდეალებისადმი ერთგულებისათვის დაჯილდოვდა PACE-ს საპატიო წევრის დიპლომით და PACE-ს მედლით.

სრულყოფილად ფლობს აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და თურქულ ენებს.

ჰყავს ცოლი და სამი შვილი.

ორდენები და წოდებები, რომლებიც მიენიჭა პრეზიდენტ ილჰამ ალიევს: ჰეიდარ ალიევის ორდენი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), იხსან დოგრამაჩის პრემია მშვიდობისთვის და საერთაშორისო ურთიერთობებისთვის (თურქეთი), ორდენი „რუმინეთის ვარსკვლავი“ (რუმინეთი), მეფე აბდულაზიზის ორდენი (საუდის არაბეთის სამეფო), დიდების ორდენი (საქართველო), საპატიო ლეგიონის დიდი ჯვარი (საფრანგეთი), შეიხულისლამის ორდენი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ღირსეული მამა სერგი რადონეველის პირველი ხარისხის ორდენი, დიდების ორდენი „დიდი კორდონი“ (საერთაშორისო სამხედრო-სპორტული საბჭო), დსთ-ს ქვეყნების სპორტული ორგანიზაციების საერთაშორისო კონფედერაციის დიდების ორდენი, ФИЛА-ს საპატიო დარბაზის უმაღლესი ორდენი „სპორტის ლეგენდა“: „პოლონეთის რესპუბლიკის დამსახურების ორდენის დიდი ჯვარი“, უკრაინის რესპუბლიკის თავად იაროსლავ ბრძენის I ხარისხის ორდენი.

ლინკოლნის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (აშშ); საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი; ლ. გუმბილიოვის სახელობის ევრაზიის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი (ყაზახეთი); ბილკენტის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (თურქეთი); ეროვნული საგადასახადო აკადემიის საპატიო დოქტორი (უკრაინა); ნავთობისა და გაზის პლოსტის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (რუმინეთი); ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (ბულგარეთი); კიუნგ ხის უნივერსიტეტის საპატიო

დოქტორი (სამხრეთი კორეა); იორდანის  
უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (იორდანია);  
კორეინუს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ  
მეცნიერებათა საპატიო დოქტორი; მ. ლომონოსოვის  
სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საპატიო პროფესორი; ტარას შევჩენკოს სახელობის  
კიევის ეროვნული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

## ბაქო- თბილისი – ჯეიჰანის (ბოჯ) ნავთობ მილსადენის ამუშავებისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონიალი შედგა 2006 წლის 13 ივლისი

13 ივლისს თურქეთის ქალაქ ჯეიჰანში ბაქო-  
თბილისი – ჯეიჰანის (ბოჯ) ნავთობ მილსადენის  
ამუშავებისადმი მიძღვნილი ოფიციალური  
ცერემონიალი შედგა.

ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდა კომპანია ბფ-ის  
ხელმძღვანელი ჯონ ბრაუნეი. მან ბოჯ-ს ამუშავებას  
მსოფლიო ნავთობ მრეწველობის ისტორიაში  
მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა. მისი  
თქმით, მილსადენის მშენებლობის დასრულებამ, საკმარის  
არასტაბილურ რეგიონში ასეთი გლობალური პროექტის  
განხორციელების შესაძლებლობის ეჭვქვეშ დამყენებელთ  
უჩვენა, რომ ისინი ცდებოდნენ. „ ბოჯ-ის ამუშავებამ  
მსოფლიო ენერჯო რუკა შეცვალა“, განაცხადა ჯ. ბრაუნმა.

კომპანია „ბფ აზერბაიჯანი“ს ხელმძღვანელმა დევიდ  
ვუდვორდმა, კი დასძინა, რომ ბოჯ-ის მოღვაწეობის  
დაწყებამ შესაძლებელი გახდა, რომ კასპიის ნავთობი  
მსოფლიო ბაზრებზე გასულიყო. მან დასძინა რომ ბოჯ-ის  
ამუშავება შესაძლებელს გახდის, რომ ახლო მომავალში  
მსოფლიო ბაზრებზე, ყოველ დღე 1 მილიონი ბარელი  
ნავთობი იქნას გატანილი.

თათბირზე სიტყვით გამოსულმა აშშ-ის ენერჯეტიკის  
მინისტრმა კლეი შელმა კი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის  
მისალოცი წერილი წაიკითხა. მისალოცი წერილში ჯორჯ  
ბუშმა, ბოჯ-ს ნავთობ მილსადენს, კასპიის რეგიონის  
ენერჯო რესურსების განვითარებაში მნიშვნელოვანად  
წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა. ბუშის აზრით,  
პროექტის განხორციელება მსოფლიო ენერჯეტიკის

განვითარებისა და მსოფლიო ენერჯო უსაფრთხოების საქმეში წინგადადგმული დიდი ნაბიჯია.

თურქეთის პრემიერ მინისტრმა რაჯაბ თეიბ არდოღანმა განაცხადა, რომ ბოჯ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად შეცვლის. მის აზრით, 2030 წლამდე მსოფლიოში ნავთობის მოთხოვნილება 60%-ით გაიზრდება და თუ ყაზახეთის ამ მილსადენში ჩართვას გავითვალისწინებთ, ბოჯ-ს მნიშვნელობა აუცილებლად გაიზრდება.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, კი შენიშნა, რომ ბოჯ-ის ნავთობ მილსადენსა და ბაქო-თბილისი- არზურუმის გაზსადენს საქართველოს ენერჯო უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ცერემონიის დასასრულს სიტყვით გამოსულმა თურქეთის პრეზიდენტმა ახმედ ნეჯდათ სეზარმა თქვა, რომ ბოჯ-ს პროექტი, არა მარტო აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოემსახურება, არამედ დადებით როლს ითამაშებს მთელი რეგიონის განვითარებაში.

შემდეგ ბოჯ-ის აუქციონერთა კომპანიის წარმომადგენლებმა სიმბოლური მილსადენი დადგეს. მათი ბოლოები აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის პრეზიდენტებმა, თურქეთის პრემიერ მინისტრმა და ბგ-ს ხელმძღვანელმა შეაერთეს.

## აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის სიტყვა ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის გახსნის ცერემონიაზე 2006 წლის 13 ივლისი

პატივცემულო პრეზიდენტო აჰმედ ნეჯეთ სეზერ!  
პატივცემულო პრეზიდენტო მიხეილ სააკაშვილო!  
პატივცემულო პრემიერ-მინისტრო რეჯებ თაიბ ერდოღან!

ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო მეგობრებო!

დღეს ისტორიული დღეა. ექსპლუატაციაში შედის ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ამ ისტორიულ დღეს ჩვენ ერთად აღვნიშნავთ ჯეიჰანის ტერმინალზე. მოკლემეტრაჟიან ფილმში, რომელიც ჩვენ გვიჩვენებს ცერემონიის წინ, კიდევ ერთხელ გაცოცხლდა ისტორიული მომენტები. ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ ვნახეთ 1994 წელს „საუკუნის კონტრაქტის“ ხელმოწერის კადრები. მართლაც, მთელი ეს სამუშაო, გრანდიოზული პროექტები სწორედ 1994 წელს დაიწყო. „საუკუნის კონტრაქტის“ ხელმოწერის მომენტიდან აზერბაიჯანში დაიწყო დიდი სანავთობო პოლიტიკა. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ინიციატივით შექმნილმა აზერბაიჯანის ახალმა სანავთობო სტრატეგიამ საშუალება მოგვცა ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით ყველა დასახული მიზნისათვის მიგვეღწია. აზერბაიჯანის ნავთობი, რომლის მოპოვება ხდება „აზერი-ჩირაგი-გიუნენლი“-ს ნავთობის საბადოების ათვისების შედეგად, დღეს სხვადასხვა მარშრუტით საექსპორტოდ გადის მსოფლიო ბაზარზე.

მინდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ აზერბაიჯანმა პირველად მოიწვია უცხოელი ინვესტორები კასპიის ზღვის მის კუთვნილ სექტორში. ამ დრომდე უცხოურ კომპანიებს კასპიის ზღვაში არასოდეს უმუშავიათ. მთლიანობაში აზერბაიჯანი ცნობილია, როგორც ნავთობის ქვეყანა. სწორედ ჩვენთან მსოფლიოში პირველად დაიწყო ნავთობის მოპოვება სამრეწველო მეთოდით. პირველად ნავთობის მოპოვება ზღვაში მდებარე საბადოებიდან სწორედ აზერბაიჯანში, კასპიის ზღვაში დაიწყო. 1994 წელს მიღებულმა ახალმა პროექტებმა დაუბრუნეს აზერბაიჯანის რესპუბლიკას წარსული სანავთობო დიდება. დღეს აზერბაიჯანი, ეფექტურად იყენებს რა ამ შესაძლებლობებს, ამყარებს თავის ეკონომიკურ პოტენციალს. აზერბაიჯანში მიმდინარე ეკონომიკურ ზესვლას უკვე ყველა ხედავს. გასულ წელს ქვეყნის ეკონომიკა გაიზარდა 26 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში - დაახლოებით 40 პროცენტით. ამ შედეგებს საფუძველი ჩაუყარა „საუკუნის კონტრაქტმა“, რომელსაც ხელი მოეწერა 1994 წელს აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის ინიციატივით.

იმ დროს აზერბაიჯანი მეტად რთულ, მიმე მდგომარეობაში იყო. ქვეყანა, რომელმაც სულ ახლახანს მიიღო დამოუკიდებლობა, კრიზისს განიცდიდა. არცთუ ისე სახარბიელო იყო აგრეთვე პოლიტიკური სიტუაცია. ქვეყანაში სტაბილურობა ჯერ კიდევ სრულად არ იყო დამკვიდრებული.

აზერბაიჯანს მიიჩნევდნენ დიდი რისკების ქვეყანად. ასეთ პირობებში უცხოური ინვესტიციების მოხმობა, ინვესტორების დაკერება იმაში, რომ მათი კაპიტალი არ დაიკარგება, პირიქით, დამატებით შემოსავალს მოუტანს - ამ ყველაფრისთვის, რასაკვირველია, დიდ

პოლიტიკური მოხერხება, სიბრძნე, შორსმჭვრეტელობა იყო საჭირო. აზერბაიჯანის საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის საქმიანობის შედეგად დღეს ჩვენ ამ მშვენიერ წამებს განვიცდით. თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც ქვეყანაში, ისე მთელ რეგიონში და, გარკვეულწილად, მთელ მსოფლიოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მიმართ ნდობა არცთუ ისე მაღალი იყო, შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ამ პროექტის განხორციელება. ზოგიერთს არ სჯეროდა, ზოგი ცდილობდა, არ დაეშვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, პრობლემებს გვიქმნიდა, გვაფერხებდა. მაგრამ ჩვენი ხალხის ნებამ, აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს ხელმძღვანელობის ნებამ, ჩვენმა ერთობლივმა საქმიანობამ ეს მითი რეალობად აქცია.

ბოლო 12 წლის მანძილზე აზერბაიჯანში მხოლოდ ნავთობისა და გაზის მრეწველობაში ჩადებული იყო ინვესტიციები, რომელთა თანხა 20 მილიარდ დოლარს აღემატებოდა. დღეს აზერბაიჯანული ნავთობი გადის მსოფლიო ბაზარზე სამი საქსპორტო ნავთობსადენით, რომელთაგან ყველაზე დიდია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომელიც ატარებს ჰეიდარ ალიევის სახელს. ამ წლების განმავლობაში მოხდა აზერბაიჯანის სანავთობო ინფრასტრუქტურის განახლება, მოდერნიზაცია. აზერბაიჯანში გამოჩნდნენ ახალი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მუშები. ჩვენი ერთობლივი საქმიანობის შედეგად, უცხოურ კომპანიებთან ერთად ჩატარებული სამუშაოს წყალობით დიდი ყურადღება ეთმობოდა ამ სფეროსაც. ვსარგებლობ რა შემთხვევით, დღეს მოცემული შესაძლებლობით, მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი უცხოური კომპანიების საქმიანობას. მე ძალიან მაღალ შეფასებას

ვამღვე საეთაშორისო კონსორციუმის მუშაობას, რომელიც აზერბაიჯანში ფუნქციონირებს 1994 წლიდან BP (ბი-ფი) კომპანიის ხელმძღვანელობით. კომპანია BP ამავე დროს წამყვან როლს ასრულებს პროექტში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. ჩვენ ძალიან დიდად ვაფასებთ ამ კომპანიის დამსახურებას აზერბაიჯანის წინაშე. ამ ყველაფერმა საშუალება მოგვცა მიგვეღწია აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარებისთვის ნავთობის ფაქტორის მარჯვედ გამოყენების გზით.

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ნავთობის ისტორია. ჩვენ შევისწავლეთ აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება. სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში ნავთობს მოაქვს ქვეყნისთვის, ხალხისთვის არა კეთილდღეობა, არამედ სირთულეები, სოციალური უსამართლობა, პრობლემები, დაძაბულობა. ჩვენ კი გვინდა, რომ ნავთობმა აზერბაიჯანს მოუტანოს მშვიდობა, განვითარება, თანამშრომლობა, რომ გაუმჯობესდეს ჩვენი ხალხის კეთილდღეობა. რასაკვირველია, სწორედ ამ მიზანს ემსახურება ყველაფერი, რაც გაკეთდა, რის თვალნათელ მტკიცებულებასაც წარმოადგენს საქმიანობა სახელმწიფო სანავთობო ფონდისა, რომელიც აზერბაიჯანში მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს.

დღეს განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანობას ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ განუწყვეტლივ ვგრძნობდით ამერიკის მხარდაჭერას, მისი იმედი გვქონდა. გარკვეულ მომენტებში ამ მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. ამერიკის მხარდაჭერა როგორც "აზერი-ჩირაგ-გიუნემლი"-ს ნავთობის საბადოების ათვისების საქმეში, ასევე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში მეტად მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ ძალიან

მაღალ შეფასებას ვამღვეთ ამას და მადლიერებას გამოვხატავთ აშშ-ს მთავრობის მიმართ.

ამ სამუშაოს წყალობით წარმოიშვა საერთაშორისო თანამშრომლობა: სამი ქვეყანა - თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, უცხოური ნავთობკომპანიები, საზღვარგარეთული საფინანსო სტრუქტურები, ადგილობრივი სპეციალისტები, მენავთობეები, მუშები, იურისტები. აზერბაიჯანის სახელმწიფოს სახელით მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ამ სამუშაოში იღებდა მონაწილეობას.

ნავთობსადენის ფუნქციონირების დაწყებით აზერბაიჯანის წინაშე ისახება ახალი ჰორიზონტები, ახალი შესაძლებლობები. აზერბაიჯანი გახდება ეკონომიკურად ძალიან ძლიერი სახელმწიფო. გადაიჭრება ქვეყნის ყველა სოციალური პრობლემა. აზერბაიჯანი არის მეტად მნიშვნელოვანი ქვეყანა, რომელიც ახდენს ნავთობის ექსპორტირებას. დარწმუნებული ვარ, რომ ნავთობიდან მიღებული შემოსავლების გამოყენებით აზერბაიჯანში ძალიან მალე გადაიჭრება ყველა სოციალური საკითხი და მოხდება ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო გაბედული ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკაში.

მიაქციეთ ყურადღება, როგორი მძლავრი იმპულსი გახდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ფუნქციონირების დაწყება რეგიონში მიმდინარე პროცესებისათვის. სულ მალე ექსპლუატაციაში შევა ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. ეს პროექტი თითქოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ჩრდილში იყო. მაგრამ დღეს ყველას ესმის, თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მას. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს და ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები ამჟამად მეტად მნიშვნელოვანია, ადვილია გავაცნობიეროთ ისიც, თუ რა სტრატეგიული

მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანული გაზის მიწოდებას საქართველოსა და თურქეთისათვის.

ჩვენ ახალ ფაზაში შევდივართ. შესაძლოა რამდენიმე წლის წინ გვეგონა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დასრულებასთან ერთად ჩვენი ძირითადი სამუშაო დასრულდებოდა. მაგრამ ცხოვრება ერთ ადგილზე არ დგას. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლუატაციაში შესვლა უბრალოდ ჩვენი სამუშაოს ახალი ეტაპის დაწყებას ნიშნავს. ამის შემდეგ მილსადენით მოხდება მსოფლიო ბაზარზე ყაზახეთის ნავთობის მიწოდება. გაზის მარაგებით მდიდარი აზერბაიჯანი დაიწყებს „შაჰდენის“ საბადოზე მოპოვებული გაზის მიწოდებას ევროპაში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მომდევნო მნიშვნელოვანი პროექტები ჩნდება სწორედ მისი ფუნქციონირების დაწყების შედეგად.

ეს არ არის ეკონომიკური პროექტი, ეს არ არის უბრალოდ ტექნიკური პროექტი, თუმცა ტექნიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მის წარმოშობას თან სდევდა დიდი სირთულეები. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. ეს პროექტი უკვე გასცდა რეგიონალურ ჩარჩოებს და გადავიდა გლობალურ სიბრტყეში. უკვე დღეს ამ პროექტს მსოფლიოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, და ეს მნიშვნელობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. და მაშინ გაიზრდება აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის მნიშვნელობაც. ამ დერეფნით სარგებლობის საშუალება მიეცემა სხვა ქვეყნებსაც. ხოლო აზერბაიჯანი ჩვენს მეგობრებთან ერთად დაიწყებს თავის საქმიანობას როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ქვეყანა და აგრეთვე როგორც ტრანზიტული ქვეყანა. ანუ ისახება მეტად ფართო შესაძლებლობები. ამ შესაძლებლობათა განმტკიცებისთვის, რეგიონში მათი გამოყენებისთვის

აუცილებელია უსაფრთხოების ზომების გაძლიერება. დარწმუნებული ვარ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. უსაფრთხოების ზომები, რეგიონალური თანამშრომლობა, მშვიდობის დამყარება - ეს ყველაფერი რეგიონს ესაჭიროება. ამიერიდან რეგიონის განვითარება სულ სხვა ფორმებით გამდიდრდება. დღეს აზერბაიჯანი, თურქეთი და საქართველო მოკავშირეები არიან რეგიონალურ სიბრტყეში. ჩვენმა კავშირმა თავისი ასახვა ცხოვრებაში უკვე ჰპოვა. მას რეგიონისთვის უსაფრთხოება, სტაბილურობა მოაქვს. ჩვენ ეს გვსურს, ჩვენ მშვიდობისა და სიმშვიდის პირობებში გვინდა ვიცხოვროთ. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა ხალხებმა შეძლებულად იცხოვრონ, რომ გადაიჭრას პრობლემები, რომ ჩვენი ქვეყნები გაძლიერდნენ. სამივე ქვეყანა მიიღებს დიდ სარგებელს აღნიშნული პროექტის რეალიზაციით. შესაძლოა, დღეს ამის სრულად გაცნობიერება ძნელია, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩვენ ამის მოწმეები გავხდებით.

ჩვენ წინაშე დგას ახალი ამოცანები, ახალი პროექტები. დღის წესრიგში უკვე დადგა ყარსი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობის საკითხი. ჩვენ ამ საკითხზე ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ. მთლიანობაში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ძველთაძველი აბრეშუმის გზის აღდგენისთვის. ერთი სიტყვით, აღნიშნული პროექტი უკვე გლობალურ ხასიათს ატარებს, რაც განპირობებულია სამი ქვეყნის ნაყოფიერი ურთიერთქმედებით, თანამშრომლობით.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები როგორც თურქეთთან, ასევე საქართველოსთან მეტად მაღალ დონეზე ვითარდება. ეს ურთიერთობები ძმური ხასიათისაა, კიდევ უფრო აახლოებენ ჩვენს ხალხებს,



ასეთი გრანდიოზული პროექტების განხორციელების საშუალებას იძლევიან. დღეს აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტები ხომ მსოფლიოს უდიდეს ენერგეტიკულ პროექტებს წარმოადგენენ. მსოფლიოს მდგომარეობა კი ენერგეტიკულ წყაროებთანაა დაკავშირებული. უკვე ყველამ იცის და ხედავს, რომ ენერგეტიკულ უსაფრთხოებას დიდ წვლილი შეაქვს ქვეყნის საერთო უსაფრთხოებაში. ენერგეტიკული დამოუკიდებლობა ხელს უწყობს ქვეყნის დამოუკიდებლობის გამყარებას.

საქართველო და აზერბაიჯანი - ეს ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნებია. ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობა აღსდგა მხოლოს 15 წლის წინ. დამოუკიდებლობა ჩვენთვის - ეს ყველაზე დიდი საკუთრებაა, ყველაზე დიდი განძი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი გამყარებს ჩვენს სუვერენიტეტს, უზრუნველყოფს ჩვენს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. და მაშინ, გავატარებთ რა დამოუკიდებელ პოლიტიკას, ჩვენ გავაუმჯობესებთ ჩვენი ხალხების კეთილდღეობას, უფრო დამაჯერებლად დავიცავთ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. ამიტომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს აქვს ძალიან ფართო ასპექტები. მათი ჩამოთვლა დღეს დიდ დროს წაიღებს. ერთი სიტყვით, ეს არის პროექტი, რომელსაც აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც განაპირობებს ჩვენი ქვეყნების ბედ-იღბალს, მათ ბედნიერ მომავალს.

მოხარული ვარ, რომ დღეს აქ ვიმყოფები. ჯეიჰანის ტერმინალს ასევე მიეკუთვნა აზერბაიჯანის საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის სახელი. ეს შემთხვევითი როდია. ჰეიდარ ალიევის სახელს ატარებს როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ასევე ჯეიჰანის ტერმინალი. ჰეიდარ ალიევი იყო ამ პროექტების ინიციატორი, არქიტექტორი. სამწუხაროა,

რომ იგი ვერ მოესწრო დღევანდელ დღეს. ღმერთმა დღევანდლობის დანახვის საშუალება არ მისცა. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი სული დღეს ჩვენთანაა. მისი სული დღეს ჩვენთან ერთად ხარობს. აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის ურთიერთობა, ძმობა, თანამშრომლობა მომავალშიც გამყარდება და ჩვენს რეგიონს მშვიდობას და სტაბილურობას მოუტანს.

ძვირფასო მეგობრებო, კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ ამ შესანიშნავ, ისტორიულ მოვლენას. მოძმე თურქ, ქართველ და მშობლიურ აზერბაიჯანელ ხალხებს ვუსურვებ მშვიდობას, სიმშვიდეს, ბედნიერებას. გმადლობთ.

## ქალაქ თბილისში ჰეიდარ ალიევის ბიუსტის გახსნის ცერემონიალი შედგა 2007 წელი 12 მაისი

12 მაისს თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ უბანში – აბანოთუბანში მდებარე ჰეიდარ ალიევის პარკში საყოველთაო ეროვნული ლიდერის ბიუსტის გახსნის ცერემონიალი შედგა.

ცერემონიალზე მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტ ილჰამ ალიევის 2004 წელს, საქართველოში ვიზიტის დროს, ამ პარკს საყოველთაო ლიდერის სახელი ეწოდა. აზერბაიჯანის სახალხო მხატვრის, მოქანდაკის ნათიგ ალიევის მიერ გრანტიტისაგან დამზადებული ბიუსტისა და პოსტამენტის სიმაღლე ოთხ მეტრს უდრის.

პარკში მოსული ათასობით თბილისელი – ქართველი და აზერბაიჯანელი გულთბილად მიესალმა სახელმწიფო მეთაურებს.

აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ბიუსტის თეთრი საფარი გადახსნეს.

სახელმწიფო მეთაურები ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდნენ.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე ორ ქვეყანას შორის არსებული ისტორიული ძმობის, მეგობრობის ბრწყინვალე ნიმუშია. მან, განაცხადა, რომ აზერბაიჯანი და აზერბაიჯანელები ყოველთვის იყვნენ საქართველოს ერთგული მეგობრები. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები, ეს ხალხი, რომელიც უფრო თხილდება და ავითარებს თავის კულტურულ თვითმყოფადობას და ენას, ამავე დროს, მშობლიური

ქვეყნის მომავლის განუყრელი ნაწილიცაა. ასევე აზერბაიჯანი საქართველოს მომავლის განუყოფელი ნაწილია. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჰეიდარ ალიევმა, ამ რეგიონის ისტორიაში დიდად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, მან როდესაც 1990-იანი წლების დასაწყისში განაცხადა, რომ აზერბაიჯანი მსოფლიო ბაზრებზე საქართველოს მემკვიდრით უნდა გავიდეს, ამ შემთავაზებას, კომერციული თვალსაზრისით, არც ისე დიდი უპირატესობა გააჩნდა, პოლიტიკური თვალსაზრისით კი დიდად სარისკო იყო. რეგიონის გეოპოლიტიკა სწორედ, რომ ჰეიდარ ალიევის ამ გადაწყვეტილების შემდეგ შეიცვალა. ამავე დროს, ის თანამედროვე აზერბაიჯანული სახელმწიფოს ფუძემდებელი და თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის მამაა.

მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მკიდროდ შეკრული აზერბაიჯანი, მეგობარი აზერბაიჯანი, წარმატებული აზერბაიჯანი საქართველოსათვის ინტეგრაციისა და წარმატების, ჩვენი საერთო მომავლის გარანტიაა. დღევანდელი სტრატეგიული პარტნიორობა, მუდმივ სტრატეგიულ პარტნიორობას ნიშნავს. სტრატეგიული პარტნიორობა კი გრძელ ვადიან და მუდმივ პარტნიორობას ნიშნავს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მტერი ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს მტერია, რადგანაც ჩვენი ძალა ერთობაშია.

საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, რომ: „ამჟამად 2007 წელია და ამ გადასახედიდან ჩვენ ვჭკვრეტთ საქართველოსა და აზერბაიჯანს 2017 წელში. დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალშიც, მომავალ ათწლეულშიც, ეს ორი ძმა თავის მომავალს კიდევ უფრო კარგად განსაზღვრავს და თავიანთი ერთობით, თავიანთი ბრძნული წარმატებებით, ნიმუშის მიმცემნი

იქნებიან და მსოფლიო საქმეებში კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ."

## აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის სიტყვა წარმოთქმული ქ. თბილისში ჰეიდარ ალიევის ბიუსტის საზეიმო გახსნის ცერემონიაზე.

2007 წლის 12 მაისს

მადლობას გიხდით, ძვირფასო ძმავო მიხეილ, ასეთი გულთბილი სიტყვებისათვის!

მე დიდი სიამაყის გრძობა მეუფლება იმის გამო, რომ დღეს ჩვენს ხალხებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, იმ ქვეყნების ურთიერთობაში, რომლებმაც 15 წლის წინ მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ადგილი აქვს მოვლენას, რომელიც კიდევ უფრო გვაახლოვებს ერთმანეთთან.

დღეს მშვენიერ ადგილას, თბილისის ცენტრში, გავხსენით აზერბაიჯანის საყოველთაო ეროვნული ლიდერის - ჰეიდარ ალიევის ბიუსტი. მე მინდა პირველ რიგში მადლობა გადავუხადო ჩემს ძმას მიხეილს ბიუსტის დადგმაზე გადაწყვეტილების მიღების გამო, იმის გამო, რომ ამისთვის შერჩეულია თბილისის ერთერთი უმშვენიერესი, ულამაზესი, ისტორიული ადგილი. მინდა მადლობა გადავუხადო მთელ ქართველ ხალხს ჩვენი დიადი ლიდერის ხსოვნის პატივისცემისთვის.

დღევანდელი ცერემონია - ეს ჩვენი ერთიანობის, ჩვენი ძმობის სიმბოლოა. სიმბოლო იმისა, რომ ჩვენი ხალხები კვლავაც, ისევე როგორც ეს ადრე იყო, მრავალი ათეული წლებისა და საუკუნეების განმავლობაში ერთად, ერთმანეთის გვერდით იქნებიან, დაეხმარებიან

ერთმანეთს, გაიხარებენ ერთმანეთის წარმატებებით, როგორც ეს ახლა ხდება.

მე მახსოვს, რომ ამა წლის თებერვალში აქ, მახლობლად ჩვენ ერთად გავხსენით ჰეიდარ ალიევის სახელობის სანაპირო. ესეც საქართველოს ხელმძღვანელობის და პირადად პრეზიდენტის მიერ მიღებული მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო მშვენიერი მდინარის ნაპირზე ჰეიდარ ალიევის ხსოვნის უკვდავყოფის თაობაზე.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ბიუსტის გახსნას. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან გვაძნელებს. ეს კიდევ უფრო მეტად გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენი მეგობრობა და ძმობა საუკუნოდ გაგრძელდება.

ჰეიდარ ალიევმა უდიდესი როლი შეასრულა აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიაში, აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ისტორიაში. ჩვენს ისტორიაში, საქართველოსა და აზერბაიჯანის ერთობლივ ისტორიაში უკვე იყო პერიოდი, როდესაც რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად ჩვენ დამოუკიდებლობა მივიღეთ. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ხანგრძლივი არ იყო - სულ 2 წელი იარსება. შემდეგ ჩვენ დამოუკიდებლობა დაკარგეთ. 1990-იანი წლების დასაწყისში უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენმა ხალხებმა კვლავ მოიპოვეს დამოუკიდებლობა არსებობის, საკუთარი ბედის განსაზღვრის, ყველა თავისი ამოცანის გადაწყვეტილება და სამომავლო გეგმების დასახვის დიდი ბედნიერება. აზერბაიჯანშიც დამოუკიდებლობის მიღებიდან მომდევნო ორი წლის განმავლობაში პროცესები მიმდინარეობდა ნეგატიური, გაუთვალისწინებელი მიმართულებით. ტოტალური ქაოსი, ეკონომიკის კრიზისი, პოლიტიკური და სამხედრო კრიზისი, სამოქალაქო ომი - ანუ ზოგადად ყველაფერი, რასაც

საქართველოშიც ჰქონდა ადგილი. და აზერბაიჯანულ ხალხს მაშინ სიბრძნე რომ არ გამოეჩინა და ჰეიდარ ალიევი ქვეყნის სათავეში რომ არ მოეწვია, არავინ იცის, რითი დასრულდებოდა ეს ყველაფერი და შევძლებდით თუ არა დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას. მან არა მხოლოდ შეინარჩუნა ეს, არამედ აზერბაიჯანის მმართველობაში ყოფნის ათი წლის განმავლობაში შექმნა საფუძველი და სერიოზული ზაზა მომავალში ჩვენი ქვეყნის წარმატებული განვითარებისთვის. ყველაფერს, რაც დღეს გვაქვს, რაც ჩვენს ხელთაა, რითაც ვამაყობთ, როგორც ჩვენი ეროვნული მიღწევით, საფუძველი სწორედ მან ჩაუყარა, მისი სიბრძნის, გამბედაობის, სიმამაცის და მიღებული გადაწყვეტილებების სისწორში რწმენის წყალობით. და დღეს აზერბაიჯანი ქვეყანაა, რომელიც საკუთარ ძალებს ეყრდნობა, ქვეყანაა, რომელმაც დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი უკვე ურყევი და მუდმივი გახადა. ამიტომ ყველა აზერბაიჯანელის, ჩვენი ხალხის, ყველა პატრიოტის მეხსიერებაში ჰეიდარ ალიევი მარად ცოცხალი იქნება.

ასეთივე დამოკიდებულებას ვხედავდით მოძმე ქართველი ხალხის მხრიდან. დღეს ამ ბიუსტის გახსნა ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ჰეიდარ ალიევს ძალიან უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი, ყოველთვის დიდ სითბოს და დიდ პატივისცემას გამოხატავდა მის მიმართ. იგი მრავალჯონის ყოფილა საქართველოში 70-იან წლებშიც, 80-იან წლებშიც და დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პრეზიდენტის სტატუსშიც. და ყოველთვის, ოჯახურ წრეში მოყოლილ ამბებში, დიდი სიყვარულით ლაპარაკობდა ქართველ ხალხზე, ქართულ კულტურაზე, ქართველი ხალხის ისტორიაზე. ალბათ გარკვეულწილად, და შესაძლოა მნიშვნელოვნწილადაც, ამან დიდი როლი შეასრულა

იმაში, რომ ჩვენმა ხალხებმა, რომელთა შორის მრავალი საუკუნის მანძილზე არასოდეს ყოფილა ომი და რომლებიც ყოველთვის მშვიდობიანად თანაარსებობდნენ, - რაც, სხვათაშორის, ყოველთვის არ არის დამახასიათებელი მეზობლებისთვის, - დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდშიც არ დაკარგეს ადრინდელი კავშირები, არ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირიქით, როგორც ერთიანი ორგანიზმი, როგორც მძლავრი რეგიონალური ძალა გამოვიდნენ თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად და იმ პროექტების წინ წასაწევად, რომლებიც დღეს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის და უფრო ფართო გაგებით კონტინენტისთვისაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

როგორც მიხილმა აღნიშნა, გუშინ პოლონეთში ჩატარებულ სამიტზე ჩვენ მივალწიეთ გარკვეულ შეთანხმებებს ჩვენი ენერგეტიკული პარტნიორობის ახალი ეტაპის თაობაზე, რომელსაც საფუძველი სწორედ 1994 წელს ჩაეყარა. მაშინ ეს რომ არ ყოფილიყო, დღეს ჩვენ არამც თუ ჩვენი მეზობლების - საქართველოს - ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, საკუთარ თავსაც კი ვერ ვუზრუნველყოფდით. და ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ რა მოხდებოდა მაშინ ჩვენს რეგიონში, რა დაემართებოდა აზერბაიჯანს, როგორი იქნებოდა მისი დღევანდელი მდგომარეობა. ამიტომ ამ საკითხში ყოველთვის უნდა დავეყრდნოთ ისტორიულ მეხსიერებას, რომელიც ყოველთვის აერთიანებდა ქართველებს და აზერბაიჯანელებს, და ჩვენს დღევანდელ მიღწევებს. ჩვენს მომავალ საქმიანობაშიც ჩვენ ყოველთვის უნდა დავეყრდნოთ ამ მიღწევებს, ამ წარმატებებს, ამ ძმობას, ამ ურთიერთმხარდაჭერას.

დღეს, როცა საქართველო თავისი აღმავლობის, მე ვიტყვოდი აყვავების, პერიოდს განიცდის, როდესაც

წარმატებით ხორციელდება უდიდესი გარდაქმნები, ტარდება პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები და ხალხი ამას ხედავს, ჩვენ ყოველივე ამის შედეგად უფრო ვძლიერდებით. რაც უფრო გაძლიერდებით თქვენ, მით უფრო გაძლიერდებით ჩვენი. ჩვენი საერთო ისტორია, ჩვენი ძმური კავშირების წარსული, მათი დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენი ეროვნული ინტერესები გვკორანახობენ, რომ ერთად უნდა ვიყოთ. ერთად ჩვენ დიდ ძალას წარმოვადგენთ. თუ ამას დავუმატებთ პირად ურთიერთობებსაც პრეზიდენტებს შორის, რომლებიც ძმებს არა მარტო უწოდებენ ერთმანეთს, არამედ სინამდვილეშიც ძმები არიან, წარმოგვიდგება ჩვენი განვითარების მეტად ოპტიმისტური, მრავლის მთქმელი სურათი.

დარწმუნებული ვარ, რომ გადაჭრით ჩვენ წინაშე მდგარ ყველა ამოცანას. ბოლოს მოვუღებთ სეპარატიზმს, საკუთარ კერებს დავუბრუნებთ ხალხს, რომლებიც დაზარალდნენ ეთნიკური წმენდის შედეგად, ადვადგენთ ეროვნულ სუვერენიტეტს მთელს ტერიტორიაზე. ამისთვის ძლიერები უნდა ვიყოთ, ერთად უნდა ვიყოთ. ჩვენ ამას ვაკეთებთ. ჩვენ ვძლიერდებით და კიდევ უფრო მეტად ვუახლოვდებით ერთმანეთს.

დღევანდელი დღე დიდხანს, ალბათ სამარადჟამოდ, დარჩება აზერბაიჯანელი ხალხის მეხსიერებაში. ეს ჩვენი ერთიანობის დღეა, ხსოვნის დღეა უდიდესი აზერბაიჯანელისა, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა როგორც აზერბაიჯანს, ასევე მოძმე საქართველოს. დღე, როცა ჩვენ განვსაზღვრავთ ჩვენს მომავალ განვითარებას, განვსაზღვრავთ რეგიონის გეოპოლიტიკური განვითარების სტრატეგიას, როცა იზრდება საქართველოს და აზერბაიჯანის მნიშვნელობა ევროპისა და მსოფლიოსათვის. ჩვენი საზღვრების ფართობისა და ჩვენი თანამემამულეების რაოდენობის შესახებ

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჩვენ ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით პატარა ქვეყნები ვართ, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს ვთამაშობთ.

ეს პროცესი უკვე მიდის და კვლავაც გაგრძელდება. ამ მშვენიერ დღეს მე მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ჩემს მეგობარსა და ძმას მიხეილს მიღებული გადაწყვეტილების გამო, მადლობა გადავუხადო მთელ ქართველ ხალხს ძმობისთვის, მხარდაჭერისთვის. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ თქვენს მხარდაჭერას. დღეს მიხეილმა უკვე თქვა იმის შესახებ, რომ მძიმე პერიოდში აზერბაიჯანი თქვენს გვერდით იყო და ამაში უჩვეულო არაფერია, ეს ნორმაა, ასეც უნდა იყოს. თუ ჩვენ მეგობრები ვართ, - და ეს ნამდვილად ასეა, - ჩვენ ყოველთვის ერთად უნდა ვიყოთ, გავიხაროთ ერთმანეთის წარმატებებით და მძიმე წუთებში ყოველთვის პირველები უნდა ვიყოთ, რომც არ დაგვიძახონ, რათა მხარში ამოვუდგეთ, დახმარება გავუწიოთ ერთმანეთს და ერთად ვიაროთ წინ. ჩვენი ქვეყნების მომავალი მხოლოდ ასეთ ერთიანობაშია შესაძლებელი. ეს როგორც ჩემი, ასევე მიხეილის ღრმა რწმენაა. საქართველოსა და აზერბაიჯანის ყველა მოქალაქეს ვუსურვებ წარმატებას ძლიერი სახელმწიფოების მშენებლობის, მძლავრი ალიანსის შექმნის ამ გზაზე, ვუსურვებ გაბედულ სვლას მომავალისკენ. ჩვენ კიდევ ბევრი გეგმა გვაქვს და ერთობლივი ძალისხმევით ამ გეგმებს განვახორციელებთ.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

## ბაქო –თბილისი –გარსი რკინიგზის საქართველოს ნაწილის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალი შედგა 2007 წლის 21 ნოემბერი

საქართველოს თეთრი-წყაროს რაიონში – სადგურ მარაბდაში ბაქო-თბილისი-გარსის რკინიგზის საქართველოს ნაწილის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილი ცერემონიალი შედგა.

ცერემონიალზე მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გულმა და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ასევე ევრო კავშირიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა .

ბაქო-თბილისი-გარსის რკინიგზის ამუშავება, რომელიც ჩინეთსა და ევროპას შორის უშუალო საგზაო ურთიერთობაზეა გათვლილი „ რკინის აბრეშუმის გზის“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს,ის ხელს შეუწყობს სასომხეთ – აზერბაიჯანის კონფლიქტთან დაკავშირებით 1993 წელს თურქეთსა და შუა აზიას შორის შეწყვეტილი სარკინიგზო ურთიერთობის აღდგენას .

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, უწოდა რა ამ მოვლენას დიდი გეოპოლიტიკური რეკოლუცია, განაცხადა, რომ პროექტის განხორციელება საქართველოსათვის, საერთოდ სამხრეთ კავკასიისათვის დიდად მომგებიანი იქნება,

გაიხსენება ასობით სამუშაო ადგილი.ჩინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან გამოგზავნილი ტვირთი ამ რკინიგზის მეშვეობით გადაიგზავნება ევროპაში. პრეზიდენტმა აღნიშნა,რომ ამ პროექტის განხორციელებაში აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ერთად იღვწოდა.

თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გულმა კი თქვა ,რომ დღეს არა მარტო ბაქო, თბილისი და გარსი , არამედ ჩინეთი და ლონდონიც უკავშირდება ერთმანეთს. ეს დიდი პროექტია. ჩინეთიდან გამოსული ვაგონები , ლოკომოტივები გაივლიან ჯერ კასპიის ზღვას , შემდეგ ბაქოს, თბილისს , გარსს და სტამბულს მიაღწევენ. სტამბულში სწრაფად მშენებარე „ მარმარის რაი“ს გზის საშუალებით ზღვის ქვეშ გაივლის, მიაღწევს ევროპას და ლა-მანშის სრუტით ლონდონში ჩავა.

## აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის სიტყვა, წარმოთქმული ბაქო- თბილისი-გარსის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთის საძირკვლის ჩადების ცერემონიაზე 2007 წლის 21 ნოემბერს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტებო!  
პატივცემულო მეგობრებო, ქალბატონებო და ბატონებო!

პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ძვირფას ძმას, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, მადლობა ამ შესანიშნავ ცერემონიაზე მოპატიჟებისათვის. მე დიდი სიამოვნებით მივიღე ეს მოპატიჟება და დღეს ჩვენ ერთად ვდგამთ მორიგ ისტორიულ ნაბიჯს. დღეს სამი ქვეყანა - საქართველო, თურქეთი და აზერბაიჯანი საფუძველს უყრიან ახალ პროექტს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის და მთელი მსოფლიოსთვის.

ჩვენს თანამშრომლობას ძალიან ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩვენი ხალხები საუკუნეების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ და ერთად იღვწოდნენ. საქართველოსა და



აზერბაიჯანის მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთმა პირველმა გავიწია დახმარება. ჩვენ ეს არასოდეს გვავიწყდება და არც დავივიწყებთ. დღეს, როცა საქართველო და აზერბაიჯანი უფრო ძლიერნი ხდებიან, ამყარებენ თავის დამოუკიდებლობას და ინტეგრირებას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკაში, ჩვენსა და თურქეთს შორის ურთიერთობები, რასაკვირველია, ახალ დონეზე გადადის. ჩვენი ურთიერთქმედებით ჩვენ უკვე ვაძლიერებთ, მხარს ვუჭერთ ერთმანეთს და ჩვენ მიერ, ჩვენი ინიციატივით რეგიონში განხორციელებულ პროექტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ჩვენი ქვეყნებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც.

ბაქო-თბილისი-გარსის რკინიგზის მშენებლობა - ეს უდავოდ ისტორიული მოვლენაა. ამ პროექტზე მსჯელობა მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ანუ ის არსებობდა, მაგრამ მისი მომავალი გარკვეული არ იყო. მოლაპარაკებებს, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში ვაწარმოებდით სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამწუხაროდ, არავითარი შედეგი არ მოჰქონდა. მაგრამ დღეს ჩვენი ქვეყნები, იჩენენ რა ნებისყოფას, თვითონ ახდენენ ამ პროექტის რეალიზაციას. გადაჭრილია ყველა ფინანსური, ტექნიკური საკითხი, მზადაა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და დღეს ჩვენ შევუდგებით გზის მშენებლობას. აქ უკვე ითქვა, რომ ამ გზის მშენებლობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რეგიონისთვის და მსოფლიოსთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ბაქო-თბილისი-გარსის რკინიგზის შესვლა ექსპლუატაციაში რეგიონს უფრო მეტ უსაფრთხოებას მოუტანს, თანამშრომლობის მეტ შესაძლებლობას

მისცემს და ქვეყნები, რომლებიც გამოიყენებენ ამ შესაძლებლობებს, რასაკვირველია, უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს რეგიონალური თანამშრომლობის თვალსაზრისითაც.

ძალიან მიხარია, რომ რეგიონში საქართველოსთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან ერთად დაწყებული ყველა პროექტის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს. შემიძლია ვთქვა, რომ ბაქო-თბილისი-გარსის რკინიგზის მშენებლობის დაწყებაში თავისი როლი, რასაკვირველია, შეასრულა ჩვენს სამ ქვეყანას შორის არსებულმა თანამშრომლობის მიმართულებებმა და პარამეტრებმა.

ამ რკინიგზის შექმნაში, ალბათ, ასევე დიდი როლი შეასრულა მსხვილმა ენერგეტიკულმა პროექტებმა, რომელთა რეალიზაცია აზერბაიჯანში 1990-იან წლებში დაიწყო. ჩვენს თანამშრომლობას უკვე ძალიან ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბაქო-თბილისი-გარსის პროექტი ლოგიკური შედეგია ნავთობისა და გაზსადენების პროექტებისა, რომელთა რეალიზაცია მოხდა აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის მსხვილი საბადოების ათვისების შედეგად და რომლებმაც დააკავშირეს აზერბაიჯანი საქართველოსთან და თურქეთთან. ბაქო-სუფსა, შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტების მზგავსად დარწმუნებული ვარ, რომ ბაქო-თბილისი-გარსის პროექტიც წარმატებული იქნება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თუ ჩვენი ქვეყნები გამოიჩინენ პოლიტიკურ ნებას, ქვაკუთხედის სათვეში დააყენებენ მეგობრულ ურთიერთობებს, თანამშრომლობის პროინციპებს ნებისმიერი პროექტის რეალიზაცია შესაძლებელი გახდება. მოხდა ისეთი პროექტების რეალიზაცია, რომელთა განხორციელება თავიდან ძალიან დიდ ეჭვს ბადებდა. ყველასთვის

ცნობილია, რომ ზოგიერთ წრეში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტებს რეალურად არ მიიჩნევდნენ. მათ სკეპტიკურად უყურებდნენ. ამბობდნენ იმასაც, რომ აზერბაიჯანში არ არის ნავთობის საკმარისი მოცულობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის შესავსებად. მომავალ წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი სრული სიმძლავრით ამუშავდება. მისი მეშვეობით მოხდება 50 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირება. და ეს მთლიანად აზერბაიჯანული ნავთობი იქნება. თავის დროზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობის საჭიროებაც არ არსებობს, ვინაიდან აზერბაიჯანში გაზის საკმარისი მარაგი არ არის. მაგრამ დღეს აზერბაიჯანი ქვეყანაა, რომელიც გასულ წელს საზღვარგარეთ ყიდულობდა 4,5 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს, ამჟამად გაზის იმპორტს კი არ ეწევა, არამედ უკვე თვითონ ახდენს თავისი გაზის ტრანსპორტირებას სამ ქვეყანაში. აზერბაიჯანის გაზი მიდის საქართველოში და თურქეთში, ხოლო ორი დღის წინ თურქეთის ტერიტორიის გავლით გავიდა საბერძნეთის ბაზარზე. ეს ნიშნავს, რომ აზერბაიჯანის გაზი უკვე ევროპული კავშირის ბაზარზეც გავიდა.

ბევრი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ბაქო-თბილისი-გარისის პროექტის მიმართაც, წინააღმდეგობას უწევდნენ მის რეალიზაციას, ჩვენ,მათ მოსაზრებებს ვიცნობთ. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენი ქვეყნების ნებამ გადაწყვეტი როლი ითამაშა. ეს დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა. ეს არ არის უბრალოდ სატრანსპორტო პროექტი ან პროექტი, რომელიც სამ ქვეყანას აერთიანებს, თუმცა ის ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. ეს პროექტი იმას ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყნები წარმოადგენენ არა მხოლოდ ინიციატორებს პროექტებისა, რომლებიც რეგიონში

მასშტაბური თანამშრომლობის იმპულსს იძლევიან, არამედ აფინანსებენ კიდევაც მათ, ახდენენ მათ რეალიზაციას. ჩვენი ქვეყნების ერთიანი ნება დადებით გავლენას ახდენს აგრეთვე რეგიონის განვითარებაზე. განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი: ჩვენ მიერ დაწყებული და წარმატებით რეალიზებული ყველა პროექტი თანამშრომლობისა და მეგობრობის ფაქტორების გამყარების საქმეს ემსახურება. ეს პროექტები არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, არამედ ძირითადად მეგობრობაზე და თანამშრომლობაზე არის ორიენტირებული. ჩვენ მეგობრული, მოძმე ქვეყნები, მოძმე ხალხები ვართ და ნებისმიერი პროექტის რეალიზაციის სრული უფლება გვაქვს, რათა ვუზრუნველყოთ ჩვენი ხალხების ეროვნული ინტერესები, და ამას ვაკეთებთ კიდევაც. ამიტომ მე ამ პროექტს სწორედ ამ კუთხით ვიხილავ. მოხარული ვარ, რომ დღეს ამ გრანდიოზული საქმეების რეალიზაციას ერთად ვახდენთ. მომავალში ეს პროექტი, რასაკვირველია, მიგვიყვანს ჩვენი ხალხების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, რეგიონში თანამშრომლობის არსებული ტენდენციების გაძლიერებასთან. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ პროექტის დასრულების შემდეგ მას შეუერთდება მრავალი მხარე და ქვეყანა. დღესაც სხვა ქვეყნებს აქვთ სურვილი მონაწილეობა მიიღონ ყველა ჩვენს ენერგეტიკულ პროექტში და ჩვენ ამას მივესალმებით. ჩვენ ვხსნით ამ გზას, გავხსენით ენერგეტიკული დერეფანი აღმოსავლეთი - დასავლეთი. პირველად წარვადგინეთ მსოფლიო ბაზრებზე კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოები. ჩვენ ძალიან სერიოზულ ყურადღებას ვუთმობთ ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს. დღეს ყველამ იცის, რომ მსოფლიოში, და განსაკუთრებით ევროპაში, ენერგეტიკული

უსაფრთხოების საკითხებს პრიორიტეტული ადგილი უკავია. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნების უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. ჩვენ ვუზრუნველვყავით საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოება. რის ხარჯზე? ერთობლივი მუშაობის, მეგობრობის, ძმობის, სამი ქვეყნის გაერთიანების ხარჯზე. დღეს ჩვენი ქვეყნები თავის როლს ასრულებენ ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში. ხდება აზერბაიჯანში მოპოვებული გაზის ტრანსპორტირება ევროპული კავშირის ქვეყნებში საქართველოს და თურქეთის ტერიტორიების გავლით. ჩვენი ქვეყნები მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დივერსიფიკაციის საკითხებში და მომავალში ეს როლი კიდევ უფრო გაიზრდება. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მოკმედ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას შემოუერთდებიან სხვა ქვეყნებიც, რეგიონალური თანამშრომლობა, რასაკვირველია, ახალი ფორმებით გამდიდრდება.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი პოზიტიურ გავლენას მოახდენს რეგიონში სატრანსპორტო უსაფრთხოებაზეც. დღეს ენერგეტიკული საკითხები წინა პლანზეა წამოწეული, ამიტომ საუბარი უფრო ხშირად ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე მიდის. მაგრამ სატრანსპორტო უსაფრთხოებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს. ამ გზის შექმნით ჩვენ გარკვეული წვლილი შეგვაქვს სატრანსპორტო უსაფრთხოების საკითხებში. დარწმუნებული ვარ, დადგება დღე - და ეს, ალბათ, უახლოეს დროს მოხდება, - როცა მხარეები, ქვეყნები ან საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურები, რომლებიც დღეს ამ პროექტის მიმართ არ ავლენენ გულწრფელ დამოკიდებულებას, ჩვენთან თანამშრომლობას დაიწყებენ, რათა მას შემოუერთდნენ. ჩვენ მზად ვართ ასეთი თანამშრომლობისათვის. მთელ ჩასატარე-

ბელ სამუშაოს მიემართავთ პოზიტიური შედეგების მიღებისაკენ - თანამშრომლობისკენ, რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ, მშვიდობის შენარჩუნებისკენ, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების კონსოლიდაციისკენ. აქ ჩვენი ინტერესები თანხვედრა ერთმანეთს. საქართველო, თურქეთი და აზერბაიჯანი - ეს დიდი რეგიონალური ძალაა. ჩვენ გვაქვს ბუნებრივი რესურსებიც, სატრანზიტო შესაძლებლობებიც, განვითარებული ინფრასტრუქტურაც და მსხვილი სამრეწველო პოტენციალიც. და, რაც მთავარია, ჩვენს სამ ქვეყანას შორის არსებობს მეგობრული, ძმური ურთიერთობები. ეს დასაფასებელია და მომავალშიც მაქსიმალურ ძალისხმევას ამისკენ მიემართავთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ბაქო-თბილისი-გარისი რკინიგზის აშენების წყალობით მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება და ეს რეგიონისთვის სასარგებლო იქნება.

ძვირფასო მეგობრებო, კიდევ ერთხელ გულითადად მოგილოცავთ ამ მშვენიერ ისტორიულ მოვლენას. ჩვენს ხალხებს - ქართველ, თურქ, აზერბაიჯანელ ხალხს ვუსურვებ კეთილდღეობას, აყვავებას და გამარჯვებებს. გამადლობთ.

**ბათუმში გაფართოებული შემადგენლობით  
შეხვედრის შემდეგ შედგა აზერბაიჯანის  
რესპუბლიკის პრეზიდენტის და საქართველოს  
რესპუბლიკის პრეზიდენტის მიხეილ  
საკაშვილის ერთობლივი პრესკონფერენცია  
2010 წლის 18 ივლისი**

თავის სიტყვაში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებულმა ხანგრძლივმა თანამშრომლობამ დადებითი შედეგი გამოიღო ბაქოსა და ბათუმს შორისაც. მან აღნიშნა, რომ ბათუმში მუშაობენ ბაქოდან ჩამოსული მეწარმეები და ამავე დროს ბაქოში საქმიანობას ეწევიან ბათუმიდან ჩასული მეწარმეები. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბათუმში გაიხსნება აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანიის ოფისი და ამ მიზნით აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის თანხმობით შეიქმნება საჭირო ინფრასტრუქტურა. გამოხატა რა კმაყოფილება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ვიზიტის გამო, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრობას აქვს დიდი ისტორია და მან მრავალ გამოცდას გაუძლო. მიხეილ სააკაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ იმ დროს, როცა ქართველი ხალხი მის ქვეყანაში ინფრასტრუქტურის აფეთქების შემდეგ ზამთრის სუსხის პირობებში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მას სწორედ აზერბაიჯანმა გაუწია დახმარება. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს აზერბაიჯანის მხარდაჭერას. საქართველოს პრეზიდენტმა ეს შეაფასა არა მხოლოდ როგორც სტრატეგიული პარტნიორობის შედეგი, არამედ აგრეთვე როგორც ძმობის სიმბოლო. მიხეილ სააკაშვილმა

აღნიშნა, რომ ურთიერთობებმა ორ ქვეყანას შორის ბოლო წლებში უმაღლეს დონეს მიაღწიეს და ეს უნდა გაგრძელდეს. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ურთიერთობებს საფუძველი ჩაუყარა და განამტკიცა ჰეიდარ ალიევმა, ხოლო ილჰამ ალიევის ძალისხმევით ისინი კიდევ უფრო გაძლიერდა.

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის  
ილჰამ ალიევის განცხადება პრესის  
წარმომადგენელთა წინაშე გაკეთებული  
2010 წლის 18 ივლისს**

დიდი მადლობა, პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, ჩემო ძვირფასო მეგობარო! უპირველეს ყოვლისა მინდა გამოვხატო ჩემი მადლიერება საქართველოში მოპატივებისთვის. მე მოხარული ვარ კვლავ ვესტუმრო ბათუმს. აქ დანახული ცვლილებები, განვითარების ტემპები ძალიან მახარებს, როგორც მეგობარს. ეს პრეზიდენტის თანამდებობაზე თქვენი მოღვაწეობის უშუალო შედეგია. ბათუმი დღითი დღე ლამაზდება და უფრო კეთილმოწყობილი ხდება, იგება თანამედროვე შენობები და სასტუმროები, იქმნება მშვენიერი ინფრასტრუქტურა. მე ვიყავი ბათუმში ორი წლის წინ და ახლა შედარების გაკეთების შესაძლებლობა მაქვს. ხილული ძალიან მახარებს, ვინაიდან თქვენი წარმატება ჩვენი წარმატებაცაა. თქვენი საქმიანობის შედეგად საქართველო ძალიან მიმზიდველი ქვეყანა გახდა უცხოური ინვესტიციებისთვის. საქართველოში ხდება მილიარდების ჩადება და ნდობას უცხოური კომპანიების მხრიდან მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს წარმატებული და სტაბილური განვითარების დიდი რწმენა არსებობს.

მე ძალიან მიხარია, რომ მათ შორის, ვინც საქართველოში ინვესტიციებს სდებს, არიან აზერბაიჯანული კომპანიებიც. აზერბაიჯანული კომპანიები საქართველოს მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ, ხალხით შეაქვთ ინვესტიციები. ამ ინვესტიციების მოცულობა დღითი დღე იზრდება. ბუნებრივია, რომ პირველი ინვესტიციები ჩაიდო ენერგეტიკის სექტორში. მაგრამ მე ვიმედოვნებ, რომ აზერბაიჯანული კომპანიები სხვა სფეროების ინვესტირებასაც მოახდენენ.

ჩვენს შორის კავშირები მდიდარ ისტორიას ეყრდნობა. საუკუნეების მანძილზე ჩვენი ხალხები მეგობრობისა და ძმობის ატმოსფეროში ცხოვრობდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ და ყოველთვის ერთად იყვნენ. ეს ისტორიული მეხსიერება მეტად მნიშვნელოვანია დღევანდელი მთავრობისთვისაც. დღეს ორი სწრაფად განვითარებადი დამოუკიდებელი სახელმწიფო - საქართველო და აზერბაიჯანი მეტად აქტიურად თანამშრომლობენ ყველა სფეროში. ჩვენი თანამშრომლობა მრავალმხრივია, ყველა სფეროს მოიცავს და, როგორც ადრე აღვნიშნე, მყარ ისტორიულ საფუძველზეა აგებული. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განვავითაროთ ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობისა და ძმობის არსებული ტრადიციული კავშირები, გავამდიდროთ ახალი შინაარსით და, ამგვარად, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული თანამშრომლობის შესაძლებლობები.

ჩვენ გვავრთიანებს მსოფლიო მასშტაბის მსხვილი, გრანდიოზული პროექტები, რომლებიც ერთად განვახორციელებთ. ნავთობსადენები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-სუფსა, გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზერუმი დღეს არა მარტო უზრუნველყოფენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ინტერესებს, არამედ

თავისი წვლილი შეაქვთ ენერგეტიკული უსაფრთხოების გამყარების საქმეში. ამ პროექტების წარმატებული რეალიზაციის წყალობით ჩვენ წამოვიწყეთ სარკინიგზო პროექტები. ერთერთი იმ საკითხთაგან, რომლებიც დღეს განვიხილეთ, იყო თანამშრომლობა ელექტროენერჯის სფეროში. ჩვენ დიდი ინტერესით და წადილით ვიხილავთ თანამშრომლობას სხვა სფეროებშიც. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მიერ დასახული ამოცანების გადაჭრა მოხდება. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ აქამდე დასახულ ამოცანებს ჩვენ ერთად ვწყვეტდით, ძლიერი კოორდინაციის თანხლებით.

დღევანდელი მდგომარეობა რეგიონში და ორმხრივი კავშირების მაღალი დონე გვკარნახობს, რომ წინ უნდა ვიყუროთ, გამოვავლინოთ ახალი პროექტები და მათი რეალიზაცია მოვახდინოთ და ამით კიდევ უფრო გავამყაროთ კავშირები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის.

კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ძალიან მიხარია მოძმე საქართველოს მიწაზე ყოფნა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველო მომავალშიც წარმატებით განვითარდება და თქვენ მიერ დასახული ყველა ამოცანა წარმატებით გადაიჭრება.

გმადლობთ.



## აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ერთობლივი პრესკონფერენცია ბათუმში, 2010 წლის 18 ივლისი

**ტელეარხი „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტი:** ცოტა ხნის წინ შედგა თქვენი შეხვედრები პირისპირ და გაფართოებული შემადგენლობით. მიადწიეთ თუ არა რაიმე კონკრეტულ შეთანხმებას?

**პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი:** ჩვენ აქ ვისაუბრეთ რკინიგზის შესახებ, რომელიც სატრანსპორტო დერეფნის განვითარების საფუძველი გახდება, და აღვნიშნეთ, რომ შეგვიძლია უზრუნველყოთ უკეთესი გასასვლელი ჩინეთიდან ევროპაში ცენტრალური აზიის გავლით. ჩვენ აღვძარბთ კოორდინაციის საკითხი. ყველაფერი ეს ჩვენი ეკონომიკების განვითარების, ჩვენს ქვეყნებში ინვესტიციების მოზიდვის საწინდარი იქნება.

ჩვენ ერთად ვმუშაობთ სარკინიგზო პროექტის რეალიზაციაზე. ეს ძალიან დიდი პროექტია. რკინიგზა შეიძლება გადაიჭიმოს ჩინეთიდან ლონდონამდე ჩვენი ქვეყნების ტერიტორიებზე გავლით. ის შესაძლოა ტრანსციმბირის მაგისტრალზეც კი უფრო გრძელი იყოს. ჩვენ ამ პროექტს განვახორციელებთ.

ამავე დროს 2012 წელს დაგეგმილია ბაქოდან ბათუმში მიმავალი საავტომობილო გზის პროექტი. ეს იქნება ოთხხოლიანი ავტომარგისტრალი აზერბაიჯანიდან საქართველოს საზღვრამდე და მის შემდეგ. ეს ნიშნავს, რომ გამარტივდება თბილისის მახლობლად მდებარე ქალაქ რუსთავიდან გამოსასვლელი. ერთი ქალაქიდან მეორეში ჩასასვლელად საჭირო იქნება სულ 18 წუთი. ამ საავტომობილო გზის მემეგობით გამარტივდება

აზერბაიჯანის საზღვარზე გასვლა. ამ გზის გამოყენებით შესაძლებელი გახდება სტამბულში ჩასვლაც კი. ამ საავტომობილო გზის აშენების შემდეგ გაიზრდება ბათუმში დასასვენებლად ჩასულ აზერბაიჯანელთა რიცხვიც.

ერთმა აზერბაიჯანულმა კომპანიამ ქალაქ ბათუმში გადაწყვიტა მაღალი კლასის სასტუმროს აშენება. ეს ნიშნავს, რომ სასტუმროს მშენებლობის პერიოდში სამსახურით იქნება უზრუნველყოფილი ბევრი ადგილობრივი მოქალაქე, ამავე დროს ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო გალამაზდება. ანუ ჩვენი ქალაქები გალამაზდება ჩვენი მეზობლების მონაწილეობის წყალობითაც.

ბუნებრივია, რომ ამ თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა 1993 წლის შემდეგ. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო სწრაფი განვითარება და პოზიტიური ცვლილებები, რომლებსაც ადგილი აქვს აზერბაიჯანში. აზერბაიჯანი თანდათან გარდაიქმნება მეტად მნიშვნელოვან რეგიონალურ ცენტრად. ეს თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. დღითი დღე იზრდება აზერბაიჯანის მნიშვნელობა არა მარტო კავკასიის რეგიონისთვის, არამედ ევროპისთვისაც. იზრდება აზერბაიჯანის ავტორიტეტი მსოფლიოში. ბოლო წლებში აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაურის შორსმჭვრეტელური პოლიტიკის წყალობით გაიზარდა ამ ქვეყნის ავტორიტეტი, ამავე დროს წინ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები აზერბაიჯანის ყველა სფეროში. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ დივერსიფიკაციას და განვითარებას. ჩვენ ვხედავთ აზერბაიჯანის ამ წარმატებებს, თვალს ვადევნებთ ამ ცვლილებებს. ყველაფერი ამის მიღწევა არცთუ ისე ადვილი იყო. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ



აზერბაიჯანი უკვე ძლევაძმოსილი ქვეყანაა, რომლის ავტორიტეტი თანდათან იზრდება.

**პრეზიდენტი ილჰამ ალიევი:** ჩვენ წარმატებით ვთანამშრომლობთ ყველა სფეროში. ხდება ჩვენი გეგმების რეალიზაცია სარკინიგზო სფეროში, ენერგეტიკის სფეროში ერთობლივად დაწყებული პროექტები, რომლებიც წარმატებით რეალიზდება, დღეს უკვე გამოვიდნენ რეგიონალური სიბრტყიდან. საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული მეგობრობა და მოკავშირეობა უკვე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია მსოფლიო მასშტაბში. ჩვენი კავშირების გამყარების, რეგიონში ახალი საკითხების გადაჭრის შედეგად შეიძლება შეიქმნას უფრო პროგნოზირებადი სიტუაცია. ჩვენ ამ კავშირების მომხრენი ვართ. როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს კავშირებს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ეს ხალხთა შორის კავშირებია. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები ცხოვრობდნენ მეგობრობრულ და კეთილმეზობლურ პირობებში, ერთმანეთის მიმართ დიდი სიმპათიის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი. ხალხთა შორის ურთიერთობებს აგრეთვე შეაქვს თავისი წვლილი ორმხრივ ურთიერთობებში.

ჩვენ, რასაკვირველია, ძალიან სერიოზულად ვითათბირეთ ეკონომიკურ, სამრეწველო, პოლიტიკურ საკითხებზე. მაგრამ, ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას ჰუმანიტარულ სფეროში. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ჩვენს ქვეყნებს შორის გადებული ხიდის როლს ასრულებენ. ისინი ჩვენი ქვეყნების პატივცემული მოქალაქეები არიან, დიდი სიყვარულით ეპყრობიან თავის სამშობლოს და პატიოსნად ასრულებენ თავის პატრიოტულ მოვალეობას. ანუ ჩვენს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება

რომელიმე ერთი სფეროთი. ამ კავშირებს აქვს ღრმა ისტორიული ფესვები. ჩვენ ეფექტურად ვიყენებთ დღევანდელ რეალიებს და შესაძლებლობებს. ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ მომავალმა თაობებმაც ასევე იცხოვრონ ასეთივე აზრებით და გრძნობებით, რათა საქართველომ და აზერბაიჯანმა მუდამყამ იცხოვროს მეგობრობისა და ძმობის ატმოსფეროში.

**აზერბაიჯანის ტელევიზიის კორესპონდენტი:** ჩემი შეკითხვა საქართველოს პრეზიდენტს. ბატონო პრეზიდენტო, როგორ შეფასებთ აზერბაიჯანის მიერ თქვენს ქვეყანაში ჩადებულ ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში? გმადლობთ.

**მიხეილ სააკაშვილი:** ჩვენთვის ყველაზე რთულ პერიოდში აზერბაიჯანის მიერ გაწეული დახმარება გადამწყვეტი იყო. ეს უზრალოდ დახმარება კი არა, მეტად წარმატებული დახმარება იყო. ამან გააძლიერა ორმხრივი თანამშრომლობა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის („სოკარი“) საქმიანობა საქართველოში, მის მიერ ჩვენს პორტებში ჩატარებული სამუშაო მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე რკინიგზის პროექტი. ყველაფერი ეს ხორციელდება აზერბაიჯანულ კომპანიებთან ერთად. როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენთან ტურიზმის ინფრასტრუქტურაში აგრეთვე მუშაობს აზერბაიჯანული კომპანია. ჩვენთვის ესეც მნიშვნელოვანია. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ კავშირები არსებობს არა მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე, არამედ ცალკეულ ადამიანებს შორისაც, და მიუთითებს აგრეთვე ჩვენს თანამშრომლობაზე და ინტერესებზე ჰუმანიტარულ სფეროში. ყველაფერი ეს, ის საკითხებია, რომლებიც ბუნებრივად დაკავშირებული ერთმანეთთან. ეს ემსახურება ჩვენს შორის ინტეგრაციის შემდგომ გაღრმავებას. ჩვენ ვხედავთ აზერბაიჯანის მიერ

ჩატარებული სტრატეგიული პოლიტიკის პრაგმატულ, სწორ შედეგებს. ეს შორსმჭვრეტელოური პოლიტიკაა. მისი წყალობით ჩვენ პრაქტიკულად ყოველდღე ვიღებთ კარგ შედეგებს. ეს შედეგები მთავრობათა ინტერესების ჩარჩოებს გარეთაც კი გამოდიან, რადგან ჩვენ ერთმანეთის მიმართ მეგობრულად, გულწრფელად ვართ განწყობილი. ვცდილობთ ერთობლივად გადავჭრათ ჩვენთვის საინტერესო საკითხები. ყველაფერი ამის უკან დგას ჩვენი საერთო იდეები. ყველაფერი ეს ისტორიული პროცესის ნაწილია.

ყველა აქ მყოფს მადლობას მოვახსენებ ამ პრესკონფერენციისთვის. მადლობას მოვახსენებ ბატონ პრეზიდენტს იმისთვის, რომ იგი ეწვია საქართველოს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ქალაქი მოგეწონათ.

## ისტორიული ცნობა

### აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობები

*ორმხრივი ურთიერთობების ისტორიიდან:*

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ურთიერთობები უმაღლეს დონეზე განპირობებულია არა მარტო ამ ორი ქვეყნის გეოგრაფიული სიახლოვით, არამედ აგრეთვე მეგობრული კავშირებით, რომლებმაც დღისეულად გაუძღეს ისტორიის გამოცდას. როგორც აღნიშნავდა აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი: „ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ათასობით ფაქტი, მაგალითი, რომლებიც დაამტკიცებენ ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობას მთელი ისტორიის მანძილზე“. თბილისში დაიბადნენ ნ. ნარიმანოვი, ნიაზი, რ. ბეიბუტოვი და აზერბაიჯანის მრავალი სხვა საზოგადო მოღვაწე, ამ ქალაქთან არის დაკავშირებული ისეთი აზერბაიჯანელი მოაზროვნეების საქმიანობისა და ხელოვნების ძირითადი ნაწილი, როგორებიცაა ა. ბაკინანოვი, მ. ახუნდოვი და მრავალი სხვა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა თბილისში 1918 წლის 27 მარტს. პირველი ნომერი ჟურნალისა „მოლა ნასრედინი“, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამოიცა თბილისში 1906 წლის აპრილში. ჩვენი ორი ხალხის დაახლოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აზერბაიჯანული დიასპორა საქართველოში და ქართული დიასპორა აზერბაიჯანში.

*პოლიტიკური კავშირები:* დიპლომატიური ურთიერთობები აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დამყარდა 1992 წლის 18 ნოემბერს. 1995 წლის

თებერვალში გაიხსნა საქართველოს საელჩო ბაქოში, ხოლო 1996 წლის მარტში - აზერბაიჯანის საელჩო თბილისში.

თავის პირველ სიტყვაში ქვეყნის მმართველობაში დაბრუნების შემდეგ, 1993 წლის 15 ივნისს, ჰეიდარ ალიევმა აღნიშნა საქართველოსთან ურთიერთობის განვითარების მნიშვნელობა. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებამ განსაკუთრებული იმპულსი მიიღო ორივე სახელმწიფოს მეთაურთა გაცვლითი ოფიციალური ვიზიტების შედეგად. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში 1996 წლის მარტში. ამ ვიზიტის ჩარჩოებში ხელი მოეწერა ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს - ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთსაფრთხოების გამყარების შესახებ და დეკლარაციას კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ. 1996 წლის 9 მარტს საქართველოს პარლამენტის სპეციალურ სხდომაზე შედგა პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის სამოსვლა, რომელშიც მან შეკრებილთა წინაშე წარადგინა ფართო ინფორმაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაზე, მის ეკონომიკურ განვითარებაზე, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე, რომელიც სომხეთის სამხედრო აგრესიის შედეგად წარმოიშვა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს არაერთხელ განუცხადებია, რომ აზერბაიჯანი როგორც ქვეყანა, რომლის ტერიტორიული მთლიანობა საფრთხეშია სომხეთის სამხედრო აგრესიის გამო, ცნობს ანალოგიური პრობლემის მქონე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს ოფიციალური პირებიც ყოველთვის მხარს უჭერდნენ

აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხში. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა განვითარების ახალ ეტაპზე გავიდა აგრეთვე პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის საქართველოში ვიზიტის შემდეგ 2000 წლის მარტში. 2008 წლის 14 მარტს გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, რომელიც გაიმართა „აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი სიტუაციის“ შესახებ რეზოლუციაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით, საქართველომ რეზოლუციის მიღებას მისცა ხმა.

2003 წლის ოქტომბრის თვეში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული ილხამ ალიევი საქართველოსთან ურთიერთობის განვითარების საკითხში, ისევე როგორც ყველა სხვა საკითხში, აგრძელებს იმ გზას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჰეიდარ ალიევმა. 2004 წელს ხელისუფლების შეცვლამ არა მარტო არ შეასუსტა საქართველოს ინტერესი აზერბაიჯანის მიმართ, არამედ პირიქით, გადაიღგა ახალი ნაბიჯები ამ კვშირთა გაღრმავების საქმეში. 2004 წლის 4-5 მარტს შედგა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანში. ვიზიტის ჩარჩოებში მიხეილ სააკაშვილისა და პრეზიდენტ ილხამ ალიევის შეხვედრის მსვლელობაში გაკეთდა ერთობლივი განცხადება სეპარატიზმის წინააღმდეგ, რომელიც ორივე ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ვიზიტის მსვლელობაში ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის, შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ განათლების სფეროში, შეთანხმებას აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის საინფორმაციო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ბაქოში მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტის დროს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ "საქართველო და აზერბაიჯანი სტრატეგიულ პარტნიორებს, კეთილ

მეგობრებს და მოძმე ქვეყნებს წარმოადგენენ". მიხეილ სააკაშვილის სიტყვებით, ის ყველაფერს გააკეთებს, რაც კი შესაძლებელია, ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი კავშირების განსამტკიცებლად და კიდევ უფრო ფართო თანამშრომლობის მისაღწევად.

პრეზიდენტ ილხამ ალიევის საპასუხო ვიზიტი საქართველოში შედგა 2004 წლის ივნისში. ამ ვიზიტის მსვლელობაში ხელი მოეწერა მხარეებს შორის ერთობლივ განცხადებას, ახალ შეთანხმებებს ენერგეტიკის, სარკინიგზო ტრანსპორტის, საგადასახდო, ავიაციისა და ტელევიზიის სფეროებში. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან შეხვედრისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მათ სიტყვით მიმართა.

2007 წლის 7 თებერვალს პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ეწვია საქართველოს სამუშაო ვიზიტით. ვიზიტის მსვლელობაში შედგა ჰეიდარ ალიევის სახელობის პროსპექტის გახსნა საქართველოს დედაქალაქის ცენტრში.

2009 წლის 20 მაისს შედგა ილხამ ალიევისა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირისპირ შეხვედრა. შეხვედრისას მოხდა აზრთა გაცვლა ორმხრივ ურთიერთობებზე, რეგიონალურ თანამშრომლობასა და საერთაშორისო საკითხებზე.

მთლიანობაში, აზერბაიჯანსა და საქართველოს აერთიანებს შემდეგი პოლიტიკური მიმართულებები:

1. დამოუკიდებელი სახელმწიფოს განმტკიცება და საერთაშორისო კავშირების გაფართოება;
2. კავკასიაში შედარებითი პოლიტიკური სტაბილურობის დამყარება;
3. ნავთობისა და გაზის მაგისტრალების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
4. დემოკრატიული საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობას ახასიათებს მიხეილ სააკაშვილის შემდეგი სიტყვები: "ვფიქრობ, რომ აზერბაიჯანულ-ქართული თანამშრომლობა მაგალითია არა მარტო ჩვენთვის, არამედ მრავალი სხვისთვისაც".

**ეკონომიკური კავშირები:** საქართველო აზერბაიჯანის მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი საერთაშორისო პროექტების აქტიური მონაწილეა. აზერბაიჯანსა და საქართველოს პოლიტიკური მოკავშირეობის გარდა აერთიანებს აგრეთვე მჭიდრო ეკონომიკური და ენერგეტიკული პარტნიორობა. მოქმედებს ორი ქვეყნის ერთობლივი ეკონომიკური კომისია.

2004 წლის 18 ოქტომბერს პრეზიდენტებმა ილჰამ ალიევმა და მიხეილ სააკაშვილმა მონაწილეობა მიიღეს ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი სატრანსპორტო ნავთობსადენის აზერბაიჯანული და ქართული ნაწილების გაერთიანების ცერემონიაში აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე.

2005 წლის 26 მაისს შედგა აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტების ილჰამ ალიევისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა. ილჰამ ალიევმა მიხეილ სააკაშვილს წარუდგინა პლაკატი, რომელიც მომზადდა ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი სატრანსპორტო ნავთობსადენის გახსნასთან დაკავშირებით. მიხეილ სააკაშვილმა თქვა შემდეგი: "ეს პროექტი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. ნავთობსადენი, ხოლო მომავალ წელს გაზსადენიც, რეგიონს, და მათ შორის საქართველოსაც, ენერგეტიკული თვალსაზრისით სრულიად დამოუკიდებელს გახდიან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ჩვენი ქვეყნების განვითარებისათ-

ვის. ჩვენ ძალიან ახლო მეზობლები ვართ, არა, უბრალოდ მეზობლები კი არა - მძებნი. მე ნამდვილად მიმაჩნია ეს ისტორიულ მოვლენად, ვინაიდან რეგიონი იცვლება, მსოფლიო იცვლება. ამ რთულ პერიოდში მისთვის იმლება სრულიად ახალი პერსპექტივები. ჩვენს შორის არსებობს სრული ურთიერთგაგება ყველა საკითხში".

2006 წლის 12 ივლისს სტამბულში შედგა პრეზიდენტ ილხამ ალიევის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის რეჯებ ტაიფ ერდოგანის სამმხრივი შეხვედრა. შეხვედრის მსვლელობაში ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ძირითადი სატრანსპორტო ნავთობსადენის ექსპლუატაციაში გადაცემა შეფასდა როგორც აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის წარმატებული თანამშრომლობის კარგი ნიმუში.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ეს საერთაშორისო პროექტი სამივე ქვეყნის ინტერესებს ემსახურება. 2006 წლის 13 ივლისს ჩატარებულ ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენის გახსნის საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ასევე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა.

აზერბაიჯანის მიერ საქართველოში ინვესტიციების ჩადების პროცესის საფუძვლები ჩაყრილი იყო 2006 წლის დასაწყისში. ამ დროს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (სოკარის) მიერ საქართველოში შექმნილ იქნა ტერმინალი "კულევი", რომლის ოფიციალური გახსნა შედგა 2008 წლის 16 მაისს. ტერმინალის საწყისი სიმძლავრე შეადგენს 10 მილიონ ტონას, მომავალში ეს მაჩვენებელი გაიზრდება 20 მილიონ ტონამდე. 2008 წლის 25 აპრილს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის მიერ დაფუძნებულმა კომპანიამ "SOCAR Energy Georgia"

საქართველოში გახსნა პირველი ბენზინგასამართი პუნქტი სახელწოდებით "SOCAR"-ი. ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს "SOCAR"-ის 30-მდე ბენზინგასამართი პუნქტი. ნავთობპროდუქტების საცალო ვაჭრობის ბაზრის 75 პროცენტი თავმოყრილია აზერბაიჯანის ხელში.

2007 წლის 7 თებერვალს საქართველოში ვიზიტის მსვლელობაში ილჰამ ალიევი თბილისში შეხვდა მიხეილ სააკაშვილს. შეხვედრის დროს აღნიშნულ იქნა, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის კავშირების წარმატებით ვითარდება, მათ შორის ეკონომიკის სფეროშიც. პრეზიდენტებმა განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის თვალსაზრისით როგორც ორმხრივი, ასევე რეგიონალური კავშირების მნიშვნელობას. ვიზიტის ჩარჩოებში შედგა სამმხრივი შეხვედრა ილხამ ალიევს, მიხეილ სააკაშვილსა და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს რეჯებ თეიფ ერდოღანს შორის. 7 თებერვალს საქართველოს პარლამენტის შენობაში შედგა აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის სამმხრივი რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებზე ჩატარებული სამიტის დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონია.

2008 წლის 1 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩატარებულ დემორატისა და ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (სუამი) წევრ სახელმწიფოთა მეთაურების სამიტში მონაწილეობა მიიღო ილჰამ ალიევმაც. სუამის წევრ სახელმწიფოთა გაფართოებული სხდომის დამთავრების შემდეგ შედგა სახელმწიფოთა მეთაურების ერთობლივი კონფერენცია. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა სამიტზე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის ფაქტი. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე ბათუმის სამიტის წარმატებულ



ჩატარებას. საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა აგრეთვე სუამის მნიშვნელობა ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობისათვის.

2008 წლის 18 ნოემბერს აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს საქართველოში აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირების შესახებ ხუთი წლის განმავლობაში. მემორანდუმის პირობების თანახმად აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ (სოკარი) მიიღო საქართველოში გაზის რესურსების განაწილების კონტროლის უფლება. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების თანახმად სოკარმა უსასყიდლოდ მიიღო დისტრიბუტორობის უფლება ამ ქვეყნის 22 რაიონის გაზგამანაწილებელ ქსელში. სამი წლის განმავლობაში სოკარი საქართველოს გაზგამანაწილებელ ქსელში ჩადებს 40 მილიონი დოლარის მოცულობის ინვესტიციებს. ყველაფერი ეს საშუალებას მისცემს კომპანიას 2010 წლის განმავლობაში საქართველოს გაზის ბაზარზე გაზარდოს თავისი წილი 85 პროცენტამდე.

აზერბაიჯანი ინვესტიციებს აბანდებს საქართველოს არა მხოლოდ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში. ოფიციალური ბაქო აგრძელებს ინვესტიციების ჩადებას მეზობელი ქვეყნის სატრანსპორტო სექტორშიც. ამ მიზნით აზერბაიჯანმა ქართულ კომპანიას „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ გამოუყო 200 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი შეღავათიანი პირობებით (25 წლით, წლიური 1 პროცენტით) ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გაყვანის პროექტში საქართველოს წილის პროექტირების მიზნით. ამ თანხის ხარჯზე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს 29 კილომეტრი სიგრძის ახალი გზის, თურქეთის საზღვრამდე მონაკვეთის

მშენებლობა, ხოლო ძველ გზას უკეთდება რეკონსტრუქცია.

რკინიგზისა და მისი საშუალებით ტრანსპორტირების შედარებითი სარგებლობის გამო ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ჩინეთი, ყაზახეთი და საზღვარგარეთის მთელი რიგი სხვა სახელმწიფოებისა. ამის გამო ამ გზის სატრანზიტო მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება და პერსპექტივაში ეს ნიშნავს აზერბაიჯანისა და საქართველოს მიერ მარტო სატრანზიტო საშუალებებიდან მილიონი დოლარის მოცულობის შემოსავლის მიღებას.

სატრანსპორტო სექტორში აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობების ახალ ეტაპს წარმოადგენს ბაქო-ბათუმის ავიარეისის გახსნა. აზერბაიჯანის ინვესტიციები ძირითად როლს ასრულებენ ბათუმის სამშენებლო პროექტის რეალიზაციაშიც.

ეკონომიკის სფეროში საქართველოსთვის აზერბაიჯანის მნიშვნელობის გამაძლიერებელი ერთ-ერთი მომენტი ის, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა მთელი რიგი ქართული პროდუქციის, განსაკუთრებით კი მინერალური წყლისა და ლიმონათების გასაღების ერთ-ერთი მთავარი ბაზარია.

2009 წლის 20 მაისს მიხეილ სააკაშვილის აზერბაიჯანში ვიზიტის ჩარჩოებში ორი ქვეყნის პრეზიდენტების მონაწილეობით შედგა აზერბაიჯანულ-ქართული დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონია. ხელმოწერილ იქნა შემდეგი დოკუმენტები - 1996 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობების მიერ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელმოწერილ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის ოქმი; აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს



მთავრობათა შეთანხმება თანამშრომლობაზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

**კულტურული კავშირები:** აზერბაიჯანისა და საქართველოს დამახლოებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია ამ ქვეყანაში მცხოვრები 500 ათასი ჩვენი თანამემამულე. როგორც ოფიციალური, ასევე საზოგადოებრივი ღონისძიებათა მეშვეობით ხორციელდება მნიშვნელოვანი მუშაობა საქართველოს აზერბაიჯანელთა პრობლემების გადასაწყვეტად ენის, კულტურის, განათლებისა და სხვა სფეროებში. აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ მარნეულში, საგარეჯოში, ლაგოდეხში, თელავში, გორში, რუსთავში და საქართველოს სხვა ადგილებში.

უმველესი დროიდან საქართველოში იცნობდნენ დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის შემოქმედებას. XII საუკუნის ქართველი პოეტის ჩახრუხადის ლექსების კრებულში „თამარიანი“ ნახსენებია ნიზამის პოემის გმირების - ლეილისა და მეჯნუნის სახელები. გამოჩენილი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველიც ადწერს რა თავის უკვდავ პოემაში ნესტანთან განშორებით გამოწვეულ ტანჯვას ტარიელისას, მიმართავს ნიზამის ნაწარმოებს „ლეილი და მეჯნუნის“.

სწორედ თბილისში შექმნა თავისი ნაწარმოებები აზერბაიჯანული დრამატურგიის ფუძემდებელმა მირზა ფათალი ახუნდოვმა. თბილისში ჩაეყარა საფუძველი აზერბაიჯანულ-თურქულ თეატრს, ხოლო 1872 წელს ამ ქალაქში ნოვრუზის დღესასწაულის აღსანიშნავად თეატრის მუსულმანი მოყვარულების მიერ დაიდგა პირველი სპექტაკლი აზერბაიჯანულ ენაზე მირზა ფათალი ახუნდოვის ნაწარმოების მიხედვით „მოლა იბრაჰიმ-ხალილი, ალქიმისკოსი, ფილოსოფიური ქვის მფლობელი“. ამჟამად თბილისში ფუნქციონირებს მირზა-

ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი.

აზერბაიჯანის ლიტერატურული, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა განათლება მიიღო გორის სემინარიაში და თბილისის მასწავლებელთა ალექსანდრინის ინსტიტუტში.

2009 წლის 16-19 ივნისს საქართველოში ჩატარდა აზერბაიჯანის კულტურის დღეები. ქართველი მყურებლისა და საქართველოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების წინაშე წარსდგა სახელმწიფო კამერული ორკესტრი, ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, პანტომიმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივები. კულტურის დღეების ჩარჩოებში თბილისის სამხატვრო გალერეაში „ქარვასლა“ ჩატარდა თანამედროვე აზერბაიჯანული ხელოვნების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო 17 აზერბაიჯანელი ფოტოგრაფის ნაწარმოებები. ქართველი მომღერლები ვ. კიკაბიძე და თ. გვერდწითელი აზერბაიჯანის დედაქალაქში საყვარელი შემსრულებლები არიან. მრავალმა ქართველმა მსახიობმა შექმნა დაუვიწყარი სახეები აზერბაიჯანულ ფილმებში.

ყველაფერი ზემოთქმულის განზოგადებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო რეგიონში აზერბაიჯანის ყველაზე ახლო მოკავშირეა. გასულ პერიოდში ყველა სფეროში გრძელდებოდა სტრატეგიული თანამშრომლობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ამ ქვეყნების პრეზიდენტებმა.

დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანს აკავშირებს ისეთი გლობალური ენერჯენიკული, სტრატეგიული, საკომუნიკაციო პროექტები, როგორცაა ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიხანი, ბაქო-თბილისი-ერზერუმი და ტრასეკა. აღნიშნული პროექტები აკავშირებენ აღნიშნულ ქვეყნებს სტრატეგიული თვალსაზრისით. ამის

პარალელურად კიდევ უფრო განმტკიცდა ორმხრივი სტრატეგიული კავშირები ისეთ ორგანიზაციებში თანამშრომლობის ჩარჩოებში, როგორცაა სუამი, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და სხვა. პოლიტიკური დაახლოება ხდება ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე და ატარებს სტრატეგიულ ხასიათს. როგორც აღნიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა „აზერბაიჯანულ-ქართულ ურთიერთობებს აქვთ დიდი მნიშვნელობა რეგიონში. ჩვენი მეგობრული და ძმური ურთიერთობების განვითარება მეტად მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ხალხებისა და ქვეყნებისათვის, ასევე რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად“.

## აზერბაიჯანის საყოველთაო ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანულ- ქართული ურთიერთობების შესახებ

ჩვენ ყოველთვის გულწრფელი ძმური გრძნობებით ვადევნებდით თვალს საქართველოს ცხოვრებას, საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს და ვხარობდით ჩვენი მეგობრების, ძმების მიღწევებით, წარმატებებით.

ჩვენ ყოველთვის ვმეგობრობდით ქართველ ხალხთან, ბევრი რამ გვაერთიანებდა, ყოველთვის დავდიოდით ერთმანეთთან სტუმრად, ყოველთვის გვქონდა ურთიერთობა.

ჩვენ ერთად ვიყავით როგორც საქართველოსთვის, ასევე აზერბაიჯანისთვის მძიმე დღეებში და თვეებში.

საქართველოს და აზერბაიჯანს თანამშრომლობის დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ.

აზერბაიჯანს და საქართველოს ისტორიული წარსულის ერთიანობა, მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და თანამშრომლობა, ურთიერთმხარდაჭერა და კეთილი მეზობლობა აკავშირებს.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, ჩვენს ხალხებს შორის ყოველთვის იყო კეთილმეზობლური და გულითადი დამოკიდებულება.

თბილისი ჩვენთვის ყოველთვის საყვარელი ქალაქი იყო, ხოლო საქართველო - საყვარელი ქვეყანა.

მიუხედავად ყველა იმ სირთულისა, რომლებსაც ჩვენ დღეს ვაწყდებით, როგორც ქართველი, ისე აზერბაიჯანელი ხალხის მომავალი ნათელია და მშვენიერი.

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვნოთ ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობის დამადასტურებელი ათასობით ფაქტი, მაგალითი ჩვენი ხალხების მეზობ-

ლობის მთელი ისტორიის მანძილზე. ჩვენი ხალხების ყველაზე დიდი მიღწევა მდგომარეობს იმაში, რომ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის არასოდეს ყოფილა კონფლიქტი, დავა, წყენა.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კავშირები კულტურის, განათლების, ეკონომიკის სფეროებში სამაგალითოა სხვა ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის.

აზერბაიჯანში ჩვენ გულისყურით ვადევნებთ თავაყურს საქართველოს ცხოვრებას - მე ვგულისხმობ ჩვენს ძმურ გრძნობებს, ძმურ ურთიერთობებს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ხალხთა მეგობრობა სამაგალითოა მთელს მსოფლიოში.

## აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აზერბაიჯანულ-ქართულ ურთიერთობების შესახებ

ქართულ-აზერბაიჯანული კავშირები უადრესად მაღალ დონეზეა. მათ ძალიან ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ეს ისტორია ჩვენ კიდევ უფრო მეტად გვაერთიანებს. ორმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ ააგო თავისი ურთიერთობა ამ მყარ ისტორიულ საფუძველზე და ეს ურთიერთობები სწრაფად ვითარდებიან.

ჩვენს წარმატებით განვითარებად ურთიერთობებს საფუძველი ჩაუყარა ჯერ კიდევ ჩვენმა პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა.

კავშირები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ყოველთვის ძალიან მაღალ დონეზე იყო. ჩვენი ხალხები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ გულითადი მეგობრობისა და ძმობის ატმოსფეროში.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს შორის არსებული ტრადიციული მეგობრული და ძმური ურთიერთობები კიდევ უფრო განვითარდნენ ჩვენი ხალხების, ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

აზერბაიჯანის ყოველი მოქალაქის, საქართველოს ყოველი მოქალაქის მეგობრობა მნიშვნელოვანია. ამ საკითხშიც ქვეყნის მმართველები თავის მოქალაქეებს მშვენიერ მაგალითს უჩვენებენ.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პირადი მეგობრობა, ძმური ურთიერთობა მიხეილ სააკაშვილთან დიდი სტიმულია ჩვენი ქვეყნების მეტად წარმატებული განვითარებისთვისაც.

ჩვენი ხალხები, ქვეყნები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან.

საქართველოს წარმატება ჩვენი წარმატებაა, ხოლო აზერბაიჯანის წარმატება - საქართველოს წარმატებაცაა.

ვიმედოვნებ, რომ მომავალში ჩვენ კიდევ უფრო დიდი წარმატებები გველის. როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანს წინ დიდი პერსპექტივები აქვთ. ამ პერსპექტივების რეალიზაციისთვის საჭიროა ერთიანობა, მეგობრობა და მშობა ყველა დონეზე.

ჩვენი ხალხები კიდევ მრავალი ათეული წლისა და საუკუნის განმავლობაში ერთად იქნებიან, ერთმანეთთან ახლოს იქნებიან, დაეხმარებიან ერთმანეთს, ერთმანეთის წარმატებებით გაიხარებენ, როგორც ეს დღეს ხდება.

ჰეიდარ ალიევს ძალიან უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი, მის მიმართ ყოველთვის გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით იყო განწყობილი.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ყველა მოქალაქეს ვუსურვებ იღბალს და დამაჯერებელ წინსვლას წარმატებისაკენ მომავალში ძლიერი სახელმწიფოს, ძლიერი ალიანსის მშენებლობის გზაზე.

## ცნობარი – საძიებელი

### პერსონები

**ბილ კლინტონი (1946)** აშშ 41-ე პრეზიდენტი (1993-2001) წწ.

**ჯორჯ ბუში (1946)** აშშ 42-ე პრეზიდენტი 2001-2008 წწ.

**აბულფაზ ელჩიბეი (1938-2000)** აზერბაიჯანის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. დისიდენტი საბჭოთა კავშირის პერიოდში. აზერბაიჯანის პრეზიდენტი 1992-1993 წლებში. თავისი მმართველობის პერიოდში მიაღწია რუსეთის ჯარების გაყვანას აზერბაიჯანიდან და კასპიის ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გადაცემას აზერბაიჯანის საკუთრებაში. თუმცა დასაწყისში მიღწეული იყო გარკვეული წარმატებები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში, შემდგომში მისი ძალაუფლება შესუსტდა დამარცხებებისა და სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის გამო. 1993 წლის 4 ივნისს აზერბაიჯანის ქალაქ განჯაში დაწყებული ამბოხების გამო, ბაქოს დატოვებამდე, 1993 წლის 9 ივნისს მან ხელისუფლებაში მოიწვია აზერბაიჯანის ნახიჭევანის რეგიონის ხელმძღვანელი ჰეიდარ ალიევი, რომელიც აზერბაიჯანს მართავდა საბჭოთა პერიოდში, წარსულში სსრკ კომუნისტური პარტიის ცკ-ს პოლიტბიუროს წევრი. მმართველობაში მოსულმა ჰეიდარ ალიევმა ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზაცია მოახდინა. გარდაიცვალა ავადმყოფობის გამო 2000 წლის 22 აგვისტოს თურქეთის ქალაქ ანკარას სამხედრო-სამედიცინო ჰოსპიტალში „გიულჰანე“. დაკრძალულია საპატიო პანთეონში. დაკრძალვის ცერემონია ორგანიზებული იყო სახელმწიფო დონეზე და მასში მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა.

**ედუარდ შევარდნაძე (1928)** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1972-1985), სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-1990), საქართველოს ხელმძღვანელი (1992-1995), საქართველოს პრეზიდენტი 1995-2003 წწ.

**ამედი ნეჯდეთ სეზერი (1941)** თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2000-2007 წწ.

**ვათალი ხან ხოსკი (1875-1920)** აზერბაიჯანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე.

**იონ ილიესკუ (1930)** რუმინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1990-1992, 1992-1996, 2000-2004 წწ.

**იან კალიცკი (1948)** აშშ ვაჭრობის სამინისტროს მრჩეველი დსთ ქვეყნებისა და ბალტიისპირა ქვეყნების საკითხებში

**ლეონიდ კუჩმა (1938)** უკრაინის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1994-2005 წწ.

**მირზა ვათალი ახუნდოვი (1812-1878)** აზერბაიჯანელი მწერალი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე.

**ვაზეხ მირზა შაფი (1794-1852)** გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი, განმანათლებელი

**ნარიმან ნარიმანოვი (1870-1925)** აზერბაიჯანის და სსრკ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი

**ნიაზი თაგი-ზადე გაჯიბეკოვი (1912-1984)** აზერბაიჯანელი დირიჟორი, კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე

**ნიზამი განჯელი (1141-1209)** ნიზამი განჯელი (ფსევდონიმი), ნამდვილი სახელი - ილიას იუსიფ ოღლუ. დიდი აზერბაიჯანელი პოეტი და მოაზროვნე, აღმოსავლური აღორძინების უდიდესი წარმომადგენელი. მსოფლიო ლიტერატურაში შევიდა როგორც ავტორი „ხამსესი“, (ხუთეული)რომელიც შედგება ხუთი ეპიკური პოემისგან.

**რაშიდ ბეიბუტოვი (1915-1989)** აზერბაიჯანელი მომღერალი, სსრკ სახალხო არტისტი

**რიჩარდ მორნინგსტარი (1945)** აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი ენერგეტიკის საკითხებში.

**შოთა რუსთაველი (1160-1166-1216)** აღორძინების ხანის დიდი ქართველი პოეტი. ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსანი“- ავტორი.

**აბრახამ სპენსერი (1952)** აშშ ენერგეტიკის მინისტრი 2001-2005 წწ.

## დასახელებანი

**ტრასკვა** სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია.

**ევროპული კავშირი** ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ასოციაცია. ევროკავშირში შექმნილია ერთიანი შიდა ბაზარი, ლიკვიდირებულია აკრძალვები ქვეყნებს შორის საქონლის, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებაზე, ორგანიზებულია ერთიანი სავალიუტო სისტემა.

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი საბჭო** ასეთი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის სახელწოდება 1920-1991 წლებში.

**განჯა** აზერბაიჯანის მეორე დიდი ქალაქი. განლაგებულია ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. მოსახლეობა - 330 ათას ადამიანზე მეტი. შუა საუკუნეებში წარმოადგენდა აზერბაიჯანის ერთ-ერთ ძირითად ეკონომიკურ და სავაჭრო ცენტრს. 1139 წლის მიწისძვრის და მონღოლთა შემოსევების დროს განიცადა დიდი ნგრევა. სეფევიდების (XVI-XVII სს) მმართველობის პერიოდში იგი კვლავ აღორძინდა. შაჰბასმა ქალაქს აბასაბადი უწოდა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აზერბაიჯანის ყოფნის დროს ქალაქს ელიზავეტპოლუ ეწოდებოდა. 1918 წელს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი დედაქალაქი განჯა იყო. საბჭოთა პერიოდში 1935 წლიდან ქალაქს კაროვბადი ეწოდა. 1991 წელს მას დაუბრუნდა უწინდელი სახელწოდება. გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი, აღმოსავლური აღორძინების გამოჩენილი წარმომადგენელი ნიზამი განჯელი დაიბადა განჯაში.

**განჯის მოვლენები** 1993 წელს ამბოხების გამო მომხდარი შეტაკება განჯაში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის სამთავრობო ჯარებთან.

**სომხეთ-აზერბაიჯანის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი** ხელოვნურად შექმნილი პრობლემა, რომელიც გაჩნდა 1988 წელს სომეხი სეპარატისტების ქმედების გამო და მიმართული იყო აზერბაიჯანის ტერიტორიის, მთიანი ყარაბაღის ჩამოშორებაზე და სომხეთთან მის მიერთებაზე.

**ლაჩინი** ქალაქი აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ლაჩინის ადმინისტრაციული რაიონის ცენტრი (ფართობი 1835 კვ.კმ.) დაარსებულია 1924-1929 წლებში. 1929 წელს გამოცხადებულია ლაჩინის რაიონის ცენტრად. განლაგებულია სომხეთსა და აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის რეგიონს შორის, სადაც ცხოვრობს სომხური უმცირესობა. ოკუპირებულია 1992 წლის 8 მაისს აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართული სომხეთის აგრესიის შედეგად. ტერიტორიიდან იძულებით განდევნილია დაახლოებით 71 ათასი ადამიანი. ოკუპაციამდე სომეხი მოსახლეობა ლაჩინში არ ცხოვრობდა. ამჟამად იქ დასახლებულია დაახლოებით 10 ათასი ადამიანი (2005). სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის თაობაზე წარმოებულ მოლაპარაკებებში სომხები ითხოვენ ლაჩინის შენარჩუნებას დერეფნის სახით სომხეთთან კავშირის მიზნით. აზერბაიჯანის მთავრობა ითხოვს სომხეთის მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანის კუთვნილი ყველა ტერიტორიის დაბრუნებას, ლაჩინის ჩათვლით.

**კალბაჯარი** რაიონი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში. ოკუპირებულია სომხეთის სამხედრო ფორმირებების მიერ 1993 წლის 2 აპრილს/

**აღდამი** ადმინისტრაციული რაიონი აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია 1094 კვ.კმ. ოკუპირებულია სომხეთის სამხედრო ფორმირებების მიერ 1993 წლის 23 ივლისს.



**ფიზული** რაიონი აზერბაიჯანის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში. ტერიტორია 1386 კვ.კმ. ოკუპირებულია სომხეთის სამხედრო ფორმირებების მიერ 1993 წლის 23 აგვისტოს.

**ჯაბრალი** რაიონი აზერბაიჯანის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში. ოკუპირებულია სომხეთის სამხედრო ფორმირებების მიერ 1993 წლის 23 აგვისტოს.

**გუმადლი** რაიონი აზერბაიჯანის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია 802 კვ.კმ. ოკუპირებულია სომხეთის სამხედრო ფორმირებების მიერ 1993 წლის 31 აგვისტოს.

**ზანგილანი** რაიონი, რომელიც განლაგებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ოკუპირებულია 1993 წლის 29 ოქტომბერს სომხეთის რესპუბლიკის აგრესიის შედეგად.

**შუშა** ქალაქი აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის რეგიონში. შუშის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი (ფართობი 289 კვ.კმ). აშენდა XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ყარაბაღის ხანის ფანახალი-ხანის მიერ. იმ დროიდან აზერბაიჯანის ყარაბაღის სახანო გადაიქცა ძირითად პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. რუსეთის მიერ აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ შუშა წარმოადგენდა ყარაბაღის მთელი რეგიონის და აზერბაიჯანის ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს. შუშა არის აღმოსავლეთში პირველი ოპერისა და მუსიკალური კომედიის ავტორის, ცნობილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უზეირ გაჯიბეკოვის, აზერბაიჯანის ოპერის ცნობილი მომღერლის ბულ-ბულ ოღლის სამშობლო. ოკუპირებულია სომხეთის შეიარაღებული ძალებით 1992 წლის 8 მაისს. 1989 წლის მონაცემებით მისი მოსახლეობა შეადგენდა 20 579 ადამიანს. მათგან 19 036 იყო აზერბაიჯანელი, 1 377 ადამიანი - სომეხი. ამჟამად

სომხეთის მიერ ოკუპირების გამო იქ მხოლოდ სომხები ცხოვრობენ. ქალაქ შუშას განთავისუფლება ერთ-ერთი პრინციპული საკითხია, რომელსაც დაჟინებით ითხოვს აზერბაიჯანის მხარე სომხეთ-აზერბაიჯანის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე წარმოებულ მოლაპარაკებებში.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)** Международная организация, შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ 1945 წელს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, უსაფრთხოებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიზნით. 1992 წლიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკა ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა. 1993 წელს სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერ აზერბაიჯანის მიწების ოკუპაციასთან დაკავშირებით გაეროს უსაფრთხოების საბჭომ მიიღო რეზოლუციები №№ 822, 853, 874, 884. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეზოლუციებში გაიქცა სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერ აზერბაიჯანის ოკუპირებული მიწების განთავისუფლების მოთხოვნამ, დღევანდლამდე მათი რეალიზაცია არ მომხდარა.

**ეუთო** ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, მსოფლიოში უდიდესი რეგიონალური ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია უსაფრთხოების საკითხებით. მასში გაერთიანებულია 56 ქვეყანა.

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)** გაერთიანება, რომელიც შეიქმნა 1991 წელს 12 სახელმწიფოს მიერ, რომლებიც შევიდნენ თანამეგობრობაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, საქართველო, სომხეთი, მოლდავეთი).

**პარტია „ენი აზერბაიჯანი“ („ახალი აზერბაიჯანი“)** აზერბაიჯანის მმართველი პოლიტიკური პარტია.

შეიქმნა 1993 წელს ჰიდარ ალიევის მიერ, ხელისუფლებაში მის მოსვლამდე. დამფუძნებელი კრება ჩატარდა 1992 წლის 21 ნოემბერს ნახჩევანში და ჰიდარ ალიევი იყო არჩეული თავმჯდომარედ. პარტიამ გაიმარჯვა 1999 წლის მუნიციპალურ არჩევნებში, 2000 წლის საპარლამენტო არჩევნებში, 2004 წლის მუნიციპალურ არჩევნებში და 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებში. 1999, 2001 და 2005 წლებში ჩატარდა პარტიის I, II და III ყრილობები. ითვლის 400 ათასზე მეტ წევრს. პარტიის თავმჯდომარეა აზერბაიჯანის ახლანდელი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი.

**ნავთობსადენი ბაქო - სუფსა** ნავთობის მილსადენის მარშრუტი, რომლითაც 1999 წლიდან ხდება აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზარზე საქართველოს ტერიტორიის გავლით. წლიური გამტარუნარიანობა შეადგენს 6,5 მილიონ ტონას, სიგრძე - 970 კმ, პროექტის ღირებულება - 565 მილიონი აშშ დოლარი.

**ნავთობსადენი ბაქო - ბათუმი** გაყვანილია 1928-1930 წლებში. განკუთვნილია ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირებისთვის შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმის პორტში. 1897-1907 წელს აგებული იყო ამავე სახელწოდების ნავთობსადენი.

**აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია** სტრუქტურა, რომელიც ხელმძღვანელობს ნავთობისა და გაზის ძიებას, ამოღებას და გადამამუშავებას. შეიქმნა 1991 წელს.

**„საუკუნის კონტრაქტი“** საერთაშორისო შეთანხმება კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში მდებარე ნავთობისა და გაზის რესურსების გადამამუშავების შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 1994 წლის 20 სექტემბერს.

**ნავთობის საბადოები „აზერი“, „ჩირაგი“, „გიუნეშლი“** კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში მდებარე 3 საბადო ნახშირწყალბადებით მდიდარი მარაგით. ამ საბადოების ნავთობის მარაგი შეადგენს დაახლოებით 740 მილიონ ტონას.

**ნავთობსადენი ბაქო - ნოვოროსისკი** ნავთობის მილსადენი, რომლითაც 1997 წლიდან ხდება აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირება საზღვარგარეთის ბაზარზე რუსეთის ტერიტორიის გავლით. წლიური გამტარუნარიანობა შეადგენს 17 მილიონ ტონას, სიგრძე - 1411 კმ, პროექტის ღირებულება - 600 მილიონი აშშ დოლარი.

**ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი** ნავთობსადენი აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის ევროპაში. სიგრძე - 1773 კმ. გადის აზერბაიჯანზე (449 კმ), საქართველოზე (235 კმ) და თურქეთზე (1059 კმ). პროექტის ღირებულება შეადგენს 4 მილიარდ დოლარს.

**ტრანსკავკასიური გაზსადენი** გაზსადენი, რომელიც განკუთვნილია შუა აზიის გაზის ტრანსპორტირებისთვის კასპიის ზღვის გავლით აზერბაიჯანიდან საქართველოში და თურქეთში, იქიდან კი ევროპაში.

**აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია** კონსორციუმი საერთაშორისო კომპანიებისა, რომლებიც 1994 წლიდან დაკავებულნი არიან ნავთობის მოპოვებით აზერბაიჯანში.

**პორტი „ჯეიჰანი“** თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე ჯეიხანის და ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე განლაგებული ქალაქი. აზერბაიჯანული ნავთობის ევროპის ბაზარზე ნავთობსადენით ტრანსპორტირების ბოლო პუნქტი.

**„ბი-ფი“** ნავთობის ტრანსნაციონალური კომპანია (დიდი ბრიტანეთი). ერთ-ერთი უდიდესი ნავთობკომპანია.

„ენი“ ნავთობისა და გაზის იტალიური კომპანია. შეიქმნა 1953 წელს იტალიის მთავრობის მიერ. 1990 წელს მოხდა მისი ნაწილობრივი პრივატიზაცია.

„ტოტალი“ მსოფლიოს ათი მსხვილი ნავთობკომპანიიდან ერთ-ერთი. კომპანიამ, რომელიც შეიქმნა 1924 წელს სახელწოდებით „ნავთობის ფრანგული კომპანია“, 1985 წლიდან მიიღო დასახელება „ტოტალი“. კომპანიის ცენტრალური ოფისი 111 ათასი თანამშრომლით განლაგებულია პარიზში. კომპანია საქმიანობას აწარმოებს 130 ქვეყანაში, მოიპოვებს წელიწადში 130 მილიონ ტონა ნავთობს. კომპანიის წმინდა მოგება 2005 წელს შეადგენდა 12,3 მილიარდ ევროს. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული კომპანიამ დაიწყო საქმიანობა აზერბაიჯანში, ყაზახეთში და რუსეთში. 2003 წელს მან შეიძინა საფრანგეთის მეორე მსხვილი ნავთობკომპანია „ელფ აკიტენი“.

„იტოჩუ“ (Itochu Corp) იაპონიის ერთ-ერთი მსხვილი უნივერსალური ტრანსნაციონალური კორპორაცია. 1866 წელს დაარსებული კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს იაპონიაში. კომპანიაში, რომლის წლიური ბრუნვა შეადგენს 160 მილიარდ აშშ დოლარს, მუშაობს 8 ათასზე მეტი თანამშრომელი. 816 დამხმარე საწარმოს მქონე კომპანიას წარმომადგენლობა აქვს მსოფლიოს 164 ქვეყანაში. კომპანია, რომელმაც 1996 წელს გახსნა თავისი ოფისი ბაქოში, ახორციელებს საინვესტიციო პროექტებს ნავთობის და გაზის სფეროში. კომპანიის წილი კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში მდებარე „აზერი-ჩირაგი-გიუნეშლი“ საბადოების ერთობლივი დამუშავების კონტრაქტში (1994) შეადგენს 3,9%-ს. კომპანიის წილი „დან ულდუზუ“ და „ამრაფი“ საბადოების ერთობლივი დამუშავების კონტრაქტში მოპოვების გაყოფის პრინციპით (1997) შეადგენს 20%-ს.

„ინპექსი“ იაპონიის ნავთობკომპანია. აქვს 10% წილი „საუკუნის კონტრაქტში“

გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზერუმი გაზსადენი აზერბაიჯანის გაზის ევროპის ბაზრებზე ტრანსპორტირებისათვის.

„შაქდენიზი“ კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორის ნახშირწყალბადებით მდიდარი საბადო.

აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო ფონდი სტრუქტურა, რომელიც შეიქმნა ნავთობიდან მიღებული შემოსავლების შენახვისა და მათი მიზნობრივად ხარჯვის მიზნით.

რკინიგზა ბაქო-თბილისი-გარსი სარკინიგზო ხაზი, რომელიც აკავშირებს აზერბაიჯანს და თურქეთს საქართველოს გავლით. საფუძველი ჩაეყარა 2007 წლის 21 ნოემბერს აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის პრეზიდენტების მონაწილეობით

ჟურნალი „მოლა ნასრედინი“ აზერბაიჯანის პირველი ყოველკვირული სატირული ჟურნალი. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის 7 აპრილს თბილისში. 1906-1908 წლებში გამოიცემოდა თბილისში, 1921 წელს - თებრიზში, 1922-1931 წლებში - ბაქოში. ჟურნალის რედაქტორი და გამომცემელი იყო აზერბაიჯანელი მწერალი ჯალილ მამედგული-ზადე.

სუამი - დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანს და მოლდავეთს. შეიქმნა 1997 წელს საკონსულტაციო ფორუმის სახით. 2001 წლის 6-7 ივლისს იალტაში წევრი ქვეყნების სამიტზე მიღებულ იქნა ორგანიზაციის წესდება. უზბეკეთმა, რომელიც 1999 წელს შეუერთდა სუამს, 2005 წელს განაცხადა მისი სტრუქტურულიდან გამოსვლის შესახებ. 2006 წლის მაისში რიგით სამიტზე კიევში სუამს

ეწოდა დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია. ბოლო პერიოდში ორგანიზაციამ განიხილა ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც შეხვდნენ წევრი-სახელმწიფოები - აგრესიული სეპარატიზმი და ტერორიზმი.

*გორის სამასწავლებლო სემინარია* საშუალო პედაგოგიური სასწავლო დაწესებულება, რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს ძირითადად ამიერკავკასიის ადგილობრივი მოსახლეობიდან. გაიხსნა 1876 წელს საქართველოს ქალაქ გორში.

*შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია* შეიქმნა 1992 წელს 11 ქვეყნის მიერ. ორგანიზაციაში შედიან: აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, მოლდავეთი, რუსეთის ფედერაცია, რუმინეთი, თურქეთი, უკრაინა. ორგანიზაციის სამდივნო მდებარეობს სტამბულში. ორგანიზაციის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმებულ სფეროებზე ცალმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაფართოება.

## ახსნა-განმარტებები ფოტოსურათებისთვის

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ჰეიდარ ალირზა ოღლუ ალიევის გამოსვლა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის სხდომაზე - 1993 წლის 15 ივნისი

2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის შეხვედრა მორწმუნე თანამემამულეებთან ჯუმას მეჩეთში თბილისში - 1996 წლის 9 მარტი

3. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი თბილისში ფათალი ხან ხოისკის ძეგლის გახსნის ცერემონიაზე - 1996 წლის 9 მარტი

4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანში საქართველოს კულტურის დღეების ჩარჩოში გალა კონცერტის მონაწილე ორი ქვეყნის ხელოვნების ოსტატებთან- " რესპუბლიკის" სასახლე, 1996 წლის 22 მაისი

5. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ვარნა-ფოთი-ბათუმი-ილიჩევსკის ბორანის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე - ფოთი, 1999 წლის 17 აპრილი

6-7. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი სუფსაში ბაქო-სუფსა ნავთობსადენის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე - 1999 წლის 17 აპრილი

8. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი და საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე „შაჰდენიზის“ საბადოდან ბაქო-თბილისი-ერზერუმის მარშრუტით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკასა

და საქართველოს შორის შეთანხმების ხელმოწერის  
ცერემონიაზე - 2001 წლის 29 სექტემბერი

9. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ  
ალიევის გამოსვლა „სამი ზღვის ლეგენდისადმი“  
მიძღვნილი კონფერენციის გახსნის ცერემონიაზე -  
სტამბული, 2002 წლის 25 ივლისი

10-11. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი  
ჰეიდარ ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ  
შევარდნაძე და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი  
აჰმედ ნედეჯეთ სეზერი სანგაჩალის ტერმინალზე ბაქო-  
თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის  
საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიაზე - 2002 წლის 18  
სექტემბერი

12-13. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ  
ალიევი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ  
სააკაშვილი აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე  
ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქო- თბილისი-  
ჯეიჰანის ნავთობ მილსადენის აზერბაიჯანისა და საქართველოს  
ნაწილების შეერთების ცერემონიაზე - 2004 წლის 16  
ოქტომბერი

14-15. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ  
ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი  
და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ნედეჯეთ  
სეზერი ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქო-თბილისი-  
ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის  
აზერბაიჯანის მონაკვეთის ექსპლუატაციაში გადაცემის  
ცერემონიაზე - 2005 წლის 24-25 მაისი

16-17. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ  
ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი  
და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ნედეჯათ  
სეზერი ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქო- თბილისი-  
ჯეიჰანის ნავთობ მილსადენის საქართველოს ნაწილის  
გარდაბანში შემდგარ საზეიმოდ გახსნის ცერემონიაზე -  
2005 წლის 12 ოქტომბერი

18. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ  
ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი  
და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ნედეჯეთ  
სეზერი ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქო-თბილისი-  
ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის გახსნის  
საზეიმო ცერემონიაზე - 2006 წლის 13 ივლისი

19. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ  
ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი  
და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ნედეჯეთ  
სეზერი სამმხრივ შეხვედრაზე - სტამბული, 2006 წლის 12  
ივლისი

20. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ  
ალიევი და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი თბილისში ჰეიდარ ალიევის  
სახელობის პროსპექტის გახსნის ცერემონიაზე -  
2007 წლის 7 თებერვალი

21. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ  
ალიევი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ  
სააკაშვილი თბილისში ჰეიდარ ალიევის ბიუსტის გახსნის  
ცერემონიაზე - 2007 წლის 12 მაისი

და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აბდულა გული  
ბაქო-თბილისი-გარსის რკინიგზის ქართული მონაკვეთის  
სამირკვლის ჩაყრის ცერემონიაზე - 2007 წლის 21 ნოემბერი

24. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ  
ალიევისა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ  
სააკაშვილის დელეგაციის წევრებთან შეხვედრა – ბათუმი  
2010 წლის 18 ივლისი

25. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ  
ალიევის და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ  
სააკაშვილის ერთობლივი პრესკონფერენცია - ბათუმი,  
2010 წლის 18 ივლისი



## სარჩევი

მიმართვა მკითხველებს -----	113
ჰიდარ ალირზა ოღლი ალიევი – აზერბაიჯანელი -----	
ხალხის საყოველთაო ეროვნული ლიდერი -----	116
აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ჰიდარ ალირზა ოღლი ალიევის გამოსვლა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის სხდომაზე - 1993 წლის 15 ივნისს -----	121
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰიდარ ალიევის სიტყვა მორწმუნე თანამემამულეებთან შეხვედრაზე ჯუმას მეჩეთში საქართველოში თბილისი, 1996 წლის 9 მარტი -----	130
აზერბაიჯანში საქართველოს კულტურის დღეების ჩარჩოებში ჩატარდა ორი ქვეყნის ხელოვნების ოსტატთა გალა-კონცერტი - 1996 წლის 22 მაისი -----	133
აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ჰიდარ ალიევის გამოსვლა საქართველოს და აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატთა კონცერტზე, რომელიც გაიმართა აზერბაიჯანში საქართველოს კულტურის დღეების დასრულებასთან დაკავშირებით - "რესპუბლიკის სასახლე", 1996 წლის, 22 მაისი -----	134
გაიმართა ვარნა-ფოთი-ბათუმი-ილიჩევსკის საბორნე გადასასვლელის გახსნის საზეიმო ცერემონია 1999 წლის 17 აპრილი -----	137
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰიდარ ალიევის სიტყვა ვარნა- ფოთი--ბათუმი-ილიჩევსკი ბორანის გახსნაზე ფოთის პორტი, 1999 წლის 17 აპრილი -----	138
შედგა ბაქო-სუფსის საექსპორტო ნავთობსადენის და სუფსის სახმელეთო ტერმინალის გახსნა 1999 წლის 17 აპრილი -----	141
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰიდარ ალიევის მოხსენება სუფსაში, ბაქო,სუფსის	

ნავთობსადენის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე , 17 აპრილი 1999 წელი -----	142
აზერბაიჯანის ქართულ სათვისტომოს ბაქო, 1999 წლის 19 ივნისი-----	152
შედგა „შახდენიზის“ საბადოდან ბაქო-თბილისი- ერზერუმის მარშრუტით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონია - 2001 წლის 29 სექტემბერი -----	155
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰიდარ ალიევის განცხადება აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის „შახდენიზის“ საბადოდან ბაქო- თბილისი-ერზერუმის მარშრუტით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე - 2001წლის 29 სექტემბერი -----	157
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰიდარ ალიევის მოხსენება "სამი ზღვის ლეგენდის" სახელწოდების კონფერენციის გახსნის ცერემონიაზე 2002 წლის 25 ივნისი, სტამბული -----	162
შედგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი მილსადენის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია 2002 წლის 18 სექტემბერი -----	168
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰიდარ ალიევის სიტყვა აზერბაიჯანის დედაქალაქის მაზლოზლად სანგაჩალის სანაპირო ტერმინალზე ბაქო, თბილისი, ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო მილსადენის საძირკვლის ჩაყრასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ცერემონიაზე , 2002 წლის 18 სექტემბერი --	169
მიმართვა აზერბაიჯანელ ხალხს 2003 წლის 1 ოქტომბერი -----	179

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ჰეიდარ ოღლუ ალიევი -----	185
ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის (ბოჯ) ნავთობ მილსადენის ამუშავებისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონიალი შედგა - 2006 წლის 13 ივლისი -----	189
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის სიტყვა ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის გახსნის ცერემონიაზე ბაქო, 2006 წლის 13 ივლისი ----	191
ქალაქ თბილისში ჰეიდარ ალიევის ბიუსტის გახსნის ცერემონიალი შედგა - 2007 წელი 12 მაისი -----	200
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის სიტყვა წარმოთქმული 2007 წლის 12 მაისს ქ. თბილისში ჰეიდარ ალიევის ბიუსტის საზეიმო გახსნის ცერემონიაზე. -----	202
ბაქო – თბილისი – გარსი რკინიგზის საქართველოს ნაწილის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალი შედგა 2007 წლის 21 ნოემბერი -----	208
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის სიტყვა, წარმოთქმული ბაქო-თბილისი-გარსის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთის საძირკვლის ჩადების ცერემონიაზე 2007 წლის 21 ნოემბერს -----	209
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ერთობლივი პრესკონფერენცია ბათუმში, 2010 წლის 18 ივლისი -----	216
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადება პრესის წარმომადგენელთა წინაშე გაკეთებული - 2010 წლის 18 ივლისს -----	217
ბათუმში გაფართოებული შემადგენლობით შეხვედრის შემდეგ შედგა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ერთობლივი პრესკონფერენცია -	

2010 წლის 18 ივლისი -----	220
ისტორიული ცნობა -----	225
ცნობარი – სამიეხელი -----	241
ახსნა-განმარტებები ფოტოსურათებისთვის -----	253

**FOTOSƏNƏDLƏR**  
ფოტოდოკუმენტები











8



10



11



12



14



13





16



18



17



19













## **On the book “Heydar Aliyev: friendship of Georgia and Azerbaijani peoples is a model in the world”**

This book is the next publication of Heydar Aliyev Heritage Center. Relations between friendly countries are interpreted in the book “Heydar Aliyev: friendship of Georgia and Azerbaijani peoples is a model in the world” with the help of relevant speeches of the national leader Heydar Aliyev and the President of the Republic of Azerbaijan İlham Aliyev.

High level relations between Azerbaijan and Georgia are not necessarily related to geographical relations of two countries, but stipulate the historical friendship between these countries. As the national leader of Azerbaijan, Heydar Aliyev pointed out: “we can present a number of facts and examples of friendship between Georgian and Azerbaijani peoples throughout the neighboring history.” N. Narimanov, Niyazi, R. Behbudov and other Azerbaijani political figures were born in Tbilisi and activity of Azerbaijani intellectuals, A. A. Bakikhanov and M. F. Akhundov, is associated with this city. Azerbaijani Democratic Republic was declared in Tbilisi in March 17, 1918. “Molla Nasraddin” journal, which played a crucial role in the social life of our people, was first published in Tbilisi in April 1906. Azerbaijanis living in Georgia and Georgians living in Azerbaijan are of paramount significance in consolidating these relations.

Azerbaijani-Georgian friendship is underpinned with historical roots, and in all cases both parties share the same views. Thus, there is a mutual understanding between two parties. There is no problem between government institutions. Friendship and fraternal feelings prevail in these countries. This was clearly noticed after our countries gained independence. In this respect, it is worth mentioning the crucial role of the national leader Heydar Aliyev. Having set up close relations with Georgia in the Soviet period, Heydar Aliyev, upon his return to power in Azerbaijan, brought to the agenda the establishment of strategic partnership with the friendly and neighboring country. Having said that “Georgia and Azerbaijan possess great opportunities for cooperation”, he did his utmost to realize these opportunities and create mutual understanding.

Official visits of heads of states of two countries provided stimuli to the development of relations between the countries. In this respect, the official visit of Heydar Aliyev to Georgia in March 1996 should be notably emphasized. Two significant documents “Agreement on strengthening friendship, cooperation and mutual security” and “Declaration on peace, security and cooperation in the Caucasus region” were signed within the visit. In March 9, 1996, the national leader of Azerbaijan, Heydar Aliyev, made a speech at the special assembly of the Georgian Parliament. In his speech, he spelled out the foreign policy and economic development of Azerbaijan, and elaborated Nagorno-Karabakh conflict, which broke out as the result of the Armenian aggression.

The President of the Republic of Azerbaijan, Heydar Aliyev, reiterated that like the country, jeopardized territorially as the consequence of the Armenian aggression, he backs the territorial integrity of Georgia that suffers from the same problem. Georgian authorities have always supported the Azerbaijani side in Nagorno-Karabakh problem. March 2000 visit of Heydar Aliyev to Georgia is also of great significance in further development of relations between the countries. In March 14, 2008, Georgia voted in favor of adoption of the resolution in General Assembly of the U.N. on the situation of the occupied territories of Azerbaijan.

Georgia is an active participant of major international projects. Along with political partnership, cooperation in economic and energy spheres unites these countries. Joint economic commission operates between the countries.

Implementation of global oil-gas and transport projects is also the result of mutual understanding and sincere relations. Forces against these projects and attempts to prevent them are all clear examples. However, persistent position of previous and present leadership and friendship overcame the obstacles, and eventually global projects were carried out that aimed at contributing to the well-being of two nations and to strengthening our friendship.

One of the major streets of Tbilisi is named after Heydar Aliyev. His monument is erected in the same street. This is the appreciation of Georgian nation to the achievement of Heydar Aliyev, who showed great courage and political will to construct huge oil-gas

pipelines through Georgia. Joint efforts to ensure peace and security in the region, political discussions of issues, economic cooperation, energy projects, even historical friendship and fraternal feelings confidently show that Georgia and Azerbaijan are strategic partners and friendly neighbors.

In November 18, 2008, a memorandum was signed between Azerbaijani and Georgian governments on transportation of Azerbaijani gas to Georgia in five years. According to the terms of the memorandum, SOCAR has a right to control distribution of gas resources of Georgia. In accordance with the decision of the President of Georgia, dated May 26, 2008, SOCAR acquired gas distribution of 22 regions of the country without paying any resources. SOCAR will invest 40 million of USD on gas distribution of Georgia in three years.

Along with the cooperation in other spheres, strategic partnership of our countries is implemented in reputable international meetings where both parties support each other. This partnership is underpinned with a sustainable foundation.

Above all, the following political factors unite Azerbaijan and Georgia:

1. Strengthening of independent state and expansion of international relations;
2. Establishing political stability in the Caucasus;
3. Ensuring security of oil and gas transportation;
4. Establishing democratic society and legal state.

The following words of the President of the Republic of Georgia, Michael Saakashvili, indicate the essence of the relations between two countries: “I think cooperation of Azerbaijan and Georgia is a model not only for us, but also for others.”

To sum up all the aforementioned, Georgia is one of the partners of Azerbaijan in the region. The strategic partnership set up by the Presidents has continued in all spheres. Today, Georgia and Azerbaijan is united with the global energy, transport and communication projects, such as Baki-Supsa, Baki-Tbilisi-Ceyhan, Baki-Tbilisi-Erzurum and TRASECA. These projects strategically unite these countries. Moreover, cooperation within GUAM, Organization for Black Sea Economic Cooperation and in other institutions further strengthens bilateral strategic relations. Political

relations follow economic integration. As the President of the Republic of Azerbaijan, Ilham Aliyev, put into words: “relations between Georgia and Azerbaijan are of great importance. Development of friendly relations is not only significant for our nations and countries, but also for ensuring peace and stability in the region”.

This book, which is published in Azerbaijani and Georgian, does also include historical reference on “Azerbaijan-Georgia relations”, inquiry materials and photo gallery.

We are confident that this book will be of great asset for readers interested in Azerbaijan-Georgia relations.

Çapa imzalanıb: 02.03.2011.  
Həcmi: 17. Formatı: 60x90 1/16  
Sifariş: 28. Tiraj: 500



mətbəəsində çap olunub

Ar 2011  
159

Heydər Əliyev İrsini Araşdırma  
Mərkəzinin nəşri

Յեյդար ալիևիս  
մեմկվիդրուծիս կվևևիս  
ցենտրիս ցամուցեմա

[www.aliyevheritage.org](http://www.aliyevheritage.org)

**AZNM**

Azerbaijan New Media

053